პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე;
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—43.

შაბათი, 27 ნოემბერი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 272 (1727)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- მსოფლიო ეკონომიური კონგრესი მოწვეული იქნება ამსტერდამში.
- სოფიაში მოჰკლეს სტამბოლიისკის პარტიის წევრები.
- გაიხსნა ეგვიპტის პარლამენტი სესია: თავმჯდომარეთ აირჩიეს ნაციონალისტების ბელადი ზაღლულ ფაშა.
- პორტუგალიის დელეგაცია მიემგზავრება ლონდონში პორტუგალიის ვალების მოსაწესრიგებლად.
- იტალიას გადაწყვეტილი აქვს შექმნას მსოფლიოში უდიდესი სამხედრო ფლოტი.
- ალბანეთში აჯანყება შენელდა.

სოფლად მუშაობის საკითხები

პარტიის პოლიტიკა გლეხთა შორის მუშაობის დარგში დაფუძნებულია სოფლად სოციალისტური ელემენტების ზრდისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობაზე. იმისათვის, რომ პარტიის ძირითადი ხაზი გამართლებულ იქნას ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობით, საჭიროა ამ ელემენტების გამორჩევა სოფლის საერთო სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებიდან და მათი წარმატებისათვის ყოველ მხრივ გზის ვაწმენდა.

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენციამ თავის რეზოლიუციაში ჩვენი სამეურნეო მდგომარეობისა და პარტიის ამოცანების შესახებ სოფლის სოციალისტურ ელემენტების შორის განსაკუთრებული ყურადღება მიაკუთვნა კოოპერაციას. ამ რეზოლიუციაში ჩვენ ვკითხულობთ:

რამდენადაც სასოფლო - მეურნეობის შემდეგი განვითარება, მისი ტეხნიკისა და ორგანიზაციის უმაღლეს საფეხურამდე აწევა, სოფლის ჩაყოლება სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში, შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ კოოპერატიულ მუშაობის გაფართოება - გაუმჯობესების გზით, **კოოპერაციის განვითარება წინანდებურათ პარტიის ძირითად ამოცანად რჩება სოფელში.**

ამრიგად მუდამ ძველი და მუდამ ახალი საკითხი, საკითხი საბჭოთა კოოპერატიულ მშენებლობის შესახებ მისი ფართე გაგებით კვლავ მთელი თავისი მნიშვნელობით ისმება ჩვენს წინაშე. სამომხმარებლო და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია, კოლექტიური მეურნეობანი (კომუნები, არტელები, ამხანაგობები), სოფლის მექანიზაცია—აი საით უნდა იქნას მიპყრობილი ჩვენი მთავარი ყურადღება სოფლის ეკონომიურ აღმშენებლობის დარგში.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა ჩვენში ბევრგან საგრძნობლად მოიკოჭლებს. ფინანსიური ხელმოკლეობა, უსაქონლობა, საპაიო გადასახადის შეუკრებლობა, საორგანიზაციო მუშაობის საერთო სისუსტე, საქმისადმი დაუდევრობა და ზოგჯერ აშკარა ბოროტმოქმედობა ჩვენი ძირითადი კოოპერატიული ქსელის თითქმის საზოგადო სენათ გადაიქცა.

მართალია, სამომხმარებლო კოოპერაცია შეუჩერებლივ იზრდება რიცხვობრივად და განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში მას ამ მხრივ დიდი წინსვლა ეტყობა, მაგრამ ისიც უდაოა, რომ ამ რიცხვობრივ ზრდას ფეხ და ფეხ ვერ მიჰყვება კოოპერაციის ორგანიზაციული და სამეურნეო ზრდა. ამაში ობიექტიურ მიზეზებს გარდა, რომელზედაც ჩვენ ხშირად გვიყვარს მითითება, არის, რასაკვირველია, სუბიექტიური ხასიათის დაბრკოლებები და ეს უკანასკნელნი უაღრესად საგრძნობ ზიანს აყენებს კოოპერაციის შინაგან გაჯანსაღების საქმეს.

მაგრამ თუ მოიკოჭლებს სამომხმარებლო კოოპერაცია, არც სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაა სახარბიელო მდგომარეობაში. ჩვენი ქვეყანა სასოფლო-მეურნეობის დიდი და მრავალფეროვანი შესაძლებლობების მხარეა. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას აქ შეუძლია ფართედ გაშალოს ფრთები. სამწუხაროდ დღემდი ეს შესაძლებლობა მინიმალურად თუ გამოყენებული. სასოფლო სამეურნეო კოოპერაციამ ჩვენში მრავალი დაბრკოლებები განიცადა. განსაკუთრებით ადუნებდა მის მუშაობას ხელმძღვანელი ცენტრის სისუსტე. დღეს ასეთ მდგომარეობას ადგილი აღარ აქვს. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელობას ახალი ორგანო ჩაუდგა სათავეში. ამ ორგანოს გაძლიერებასა და განმტკიცებას ყოველ მხრივ უნდა შეუწყოთ ხელი.

კოოპერატიული მშენებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენენ სოფლად კოლექტიურ მეურნეობები. კოლექტიური მეურნეობა ღარიბ გლეხთა ეკონომიურად დარაზმვის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია. ჩვენში ამ სახის მეურნეობამ უკვე მოიპოვა ერთგვარი ნიადაგი. განსაკუთრებით მოიკიდა მან ფეხი აღმოსავლეთ საქართველოში.

საჭიროა კოლექტიურ მეურნეობათა ყოველ მხრივ ხელის შეწყობა. ბოლო ხანებში ზოგიერთი მათგანი დაიშალა. ამის მიზეზი იყო არა მარტო მატერიალური და ორგანიზაციული დაბრკოლებები, არამედ ჩვენი ძირითადი სახელმწიფო და პარტიული აპარატის ერთგვარი გულგრილობა კოლექტიურ მეურნეობებისადმი. კულაკის ეკონომიურ ბატონობისა, ღარიბ გლეხობის ექსპლოატაციის ერთი უძლიერესი საწინააღმდეგო იარაღი კოლექტიური მეურნეობაა. იგივე კოლექტიური მეურნეობა წარმოადგენს სოფლად ახალი კულტურის, ახალი ყოფა - ცხოვრების კერას. ამიტომ სოფლის სოციალისტურ ელემენტების განვითარების საქმეში კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. მათ განვითარებას ხელი უნდა შეუწყოთ ფულადი კრედიტით, სამეურნეო ინვენტარით, თავისუფალ საფონდო მიწების მიცემით და პოლიტიკურ - კულტურულ ხელმძღვანელობით.

ასეთია მოკლედ სოციალისტური ელემენტების ეკონომიური განვითარების გზები სოფლად. ამ გზით ვუზრუნველვყოფთ ჩვენ სოფლის სოციალიზმისაკენ უტყუარი და სწორი გზით სვლას.

ახალი ოპოზიციის წინადადებანი, რომელნიც გულისხმობდენ მრეწველობის პროდუქციაზე ფასების აწევას და სოფლისათვის საგადასახადო ტვირთის გადიდებას, ეკონომიურად დასცემდა გლეხკაცობას. შეუმცირებდა ნედლეულ ბაზარს მრეწველობას და ინდუსტრიალიზაციის ნაცვლად, რომელსაც სიტყვით მოითხოვდა ოპოზიცია, მოგვცემდა მრეწველობისა და სასოფლო - მეურნეობის დაქვეითებას.

პარტიის გზა სულ სხვაა. ესაა ღარიბ და საშუალო გლეხობის ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დარაზმვა და ამასთან სასოფლო - მეურნეობის განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელის მომართვა. ამას გავატარებთ ჩვენ ცხოვრებაში კოოპერაციის საშუალებით, ამ სიტყვის სრული გაგებით. კოოპერატიული მშენებლობა ჩვენი სამეურნეო მოღვაწეობის ქვაკუთხედია სოფლად. ამ მშენებლობის გაფართოება - განმტკიცებისაკენ უნდა იქნას მიპყრობილი პარტიისა და ხელისუფლების ყურადღება.

ახალი კოალიცია კანტონის წინააღმდეგ

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

ტიან-ცზინის კონფერენციის, რომელზედაც ჯერჯერობით მიღებული ცნობებით, შეიქმნა მჭიდრო კოალიცია ჩან-ძო-ლინსა, ჩან-ცზუნ-ჩანსა და სუნ-ჩუან-ფანს შორის, კოალიცია, რომელიც მიზნად ისახავს ჩრდილოეთ - ჩინეთის ყველა სამხედრო ძალების გაერთიანებას კანტონის არმიის წინააღმდეგ შეტევისათვის, მრავალ კომენტარიებს უკეთებს პრესა.

„ჩან-ძო-ლინის რესურსები მიმართული იქნება კანტონისა და სახალხო არმიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.“

„მუკდენი გაგზავნის ჯარებს და საომარ მასალას ყველგან, სადაც კი საჭირო იქნება“.

„შეგნებულად შეეცდებიან, რომ ძალით იქნას გაერთიანებული ჩინეთი. და თუ ეს წარმატებით დაგვირგვინდა, მაშინ ამას მოჰყვება ცდა იმისა, რომ შეიქმნას მთელი ჩინეთის საერთო მთავრობა, რომელსაც იცნობენ სახელმწიფოები და რომელიც პასუხისმგებელი იქნება მთელი ჩინეთის მმართველობაში“.

ასე სწერს თავის მოწინავეში ინგლისის იმპერიალისტური ორგანო „პეკინ ენდ ტიან-ცზინ-ტაიმსი“.

ინგლისის ოფოციოზი ჩინეთში აშკარად აზვიადებს. მაგრამ, რამდენადაც ცნობებია ჩინეთის რეაქციონერების კოალიციისა კანტონის წინააღმდეგ, დღემდე არავის არ უარუყვია, ჩვენ ფხიზლად და სერიოზულად უნდა ავსწონ - დავსწონოთ ყველა პერსპექტივები, რომელნიც მილიტარისტების შეთანხმებიდან გამომდინარეობენ.

დაუშვათ, რომ ტიან-ცზინში შეიქმნა მჭიდრო კოალიცია ჩან-ძო-ლინსა, ჩან-ცზუნ-ჩანსა და სუნ-ჩუან-ფანს შორის. რომ შანდუნის ჯარები უკვე შევიდენ პროვინცია ანხოიში და მიაღწიეს პინ-ფუმდე, რომ მუკდენის ჯარები წინ მიიწევენ სუი-იუ-ანისაკენ სახალხო არმიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. და რომ მუკდენის სხვა რაზმები მზად არიან შეუტიონ პეკინ - ხანკოუს რკინის გზის სამხრეთისაკენ, თუ უ-პეი-ფუ ვერ შესძლებს, ან არ მოისურვებს განაახლოს ბრძოლა კანტონის ჯარებთან. ვნახოთ რამდენად სცვლის ეს მდგომარეობას.

უკვე ის ფაქტი, რომ სუნ-ჩუან-ფანი, რომელიც უკანასკნელ ხანამდე გადაჭრით აცხადებდა უარს ყოველგვარ დახმარებაზე ჩან-ძო-ლინის მხრით და ეხლა თანახმა არის ამ დახმარებაზე, აშკარად ამტკიცებს იმას, რომ მან განაცადა უფრო მეტი მარცხი, ვიდრე ამაზე იუწყებოდენ დეპეშებში.

სუნ-ჩუან-ფანს რომ საკუთარი ძალების იმედი ჰქონდეს — ერთი-ორი პროვინციის შენარჩუნების ძალა, რომ შესწევდეს, იგი ასეთ კოალიციაში არ შევიდოდა. ეს პირველი.

მეორე, ჩან - ძო-ლინისა, ჩან-ჩზუნ-ჩანისა და უ-პე-ფუს მჭიდრო კოალიციის მაგივრად ჩვენ გვაქვს ეხლა იმავე ჩან-ძო-ლინის და ჩან - ჩზუნ-ჩანის კოალიცია პლიუს ნახევრად ლიკვიდაციაქმნილი სუნ-ჩუან-ფანი, რომლის კოალიცია არავითარი საფუძვლის მიხედვით არ შეიძლება უფრო ძლიერად იქნას ცნობილი.

მესამე, გაუგებრობა, რომელიც უკვე წარმოიშვა ახლად შექმნილ კოალიციისა და უ-პეი-ფუს შორის, შეიძლება, ამ უკანასკნელის სისუსტის მიუხედავად, გადაიქცეს მეტად სერიოზულ დაბრკოლებად მოკავშირეთა გეგმის გატარებისათვის.

მეოთხე, მუკდენის ჯარების ძალადობით შეჭრა პროვინცია ხენონში, ისევე როგორც მუკდენის ჯარების წინსვლა სუი-იუ-ანისაკენ, საბოლოო შედეგში შეიძლება დამღუპველი გახდეს მუკდენის დამპყრობელთათვის როგორც კანტონის, ისე თვითონ სახალხო არმიის ინტერესთა თვალსაზრისით.

ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საფრთხე არ არსებობს. პირიქით, კანტონს ელის ახალი საფრთხე და ამასთანავე მეტად სერიოზული. ვინაიდან ტია-ცზინის ყოველგვარ კონფერენციებისა და ყოველგვარ მილიტარისტურ კოალიციებზე უფრო საშიშია ის ნივთიერი დახმარება, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები და პირველ რიგში ინგლისი აღმოუჩენს ახლად შექმნილ კოალიციას. ხმების მიხედვით, რომლებსაც იუწყება საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტო, მილიტარისტები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას ინგლისისა და იაპონიის წარმომადგენლებთან სესხის შესახებ, ურომლისოდაც ახალი კოალიცია ნაკლებ საშიში იქნებოდა.

მაგრამ შეუძლებელია სათანადოთ არ იქნეს შეფასებული კანტონის ძალებიც.

თუმცა მილიტარისტული ბლოკი არმიის რიცხვისა, შეიარაღებისა და საომარი მასალის მიხედვით, რომელსაც იგი იღებს უმთავრესად იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან, გაცილებით ძლიერია კანტონისა და სახალხო არმიაზე. მაგრამ მხოლოდ ეს უპირატესობა სრულიადაც არ ნიშნავს ეროვნულ — რევოლიუციონურ ძალების დამარცხების აუცილებლობას მომავალ ბრძოლაში, ვინაიდან ამ ძალებს აქვთ ისეთი უპირატესობანი, რომლითაც ყველა მის ნაკლთა ანაზღაურება ხდება.

ეროვნულ - რევოლიუციონური ძალების უმთავრესი უპირატესობა, როგორც ეს არა ერთხელ იყო აღნიშნული, არის მძულვარების ატმოსფერა, რომელიც გარს არტყია ყველა მილიტარისტულ არმიებს, განსაკუთრებით ჩჟან-ცზუნ-ჩანის არმიას. ეს მილიტარისტული არმიები სძაგს იმ პროვინციების მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, რომლებშიაც მოუხდებათ მათ ომის წარმოება.

კანტონის არმიის მეორე უპირატესობა არის უძლეველობის სახელი, რომელიც მათ მოიპოვეს სამ უდიდეს პროვინციაზე ძლევა-მოსილი გავლით და ბრწყინვალე გამარჯვებით არა მარტო უ-პეი-ფუზე, არამედ სუნ-ჩუან-ფანზედაც, რომელმაც შარშან პროვინცია ცზიან-სუდან განდევნა მუკდენელთა და შანდუნელთა ჯარები. გარდა ამისა კანტონის არმიის ძირითად კადრებს, რომელნიც გამოზრდილნი არიან განუწყვეტელ ბრძოლებში, უპირატესობა აქვთ მილიტარისტული არმიების წინაშე არა მარტო თავისი ენთუზიაზმითა და დისციპლინით, არამედ, როგორც ეს უკვე აღიარა თვითონ სუ-ჩუან-ფანმაც, თავისი ჯარისკაცების სამხედრო გაწვრთნით და უფროსთა შემადგენლობის მომზადებით და ცოდნით.

დაბოლოს, რაც შეეხება ნივთიერ რესურსებს, ამ მხრივ კანტონის მდგომარეობა, რომელიც ამჟამად ფლობს ხუთ პროვინციას, რომელთა შორის სამი, სახელდობრ, — გუან-დუნი, ხუ-ნანი და ხუ-ბეი ცნობილია ჩინეთის ერთ უმდიდრეს პროვინციად, უეჭველად არ შეიძლება ჩაითვალოს. თუ ყოველივე ამას მიუმატებთ კანტონის მთავრობის კანტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიის არაჩვეულებრივ სიდიდეს, და აგრეთვე იმას, რომ როგორც წინანდელმა ომებმა გვიჩვენეს, ჩრდილოელი ჩინელები ვერ ეგუებიან ომის წარმოებას სამხრეთის მთეებით დასერილ ადგილებში, მაშინ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ჩრდილოელ მილიტარისტების ბლოკთან ბრძოლაში კანტონს ამჟამად აქვს მრავალი შანსი გამარჯვებისათვის და კიდევ უფრო მეტი შანსები იმისა, რომ შესძლებენ [illegible]ვის მონაპოვართა დაცვას. მაგრამ ყოველივე ამისათვის, ცხადია, საჭიროა კანტონის ყველა ძალების მტკიცედ დარაზმვა, შეუდრეკელი და გაბედული პოლიტიკა და რევოლიუციონური შეუპოვრობა.

მოსკოვი, 26 ნოემბერი.

ჩინეთის რეაქცია კანტონის წინააღმდეგ

რეაქციონური ძალები ემზადებიან სამხრეთისაკენ გასალაშქრებლად

რუმინეთში მოსალოდნელია სამოქალაქო ომი

ინგლისის მთავრობა მოითხოვს საგანგებო წესების გაგრძელებას

მემაღაროეების და მაღაროს პატრონთა შორის შეთანხმება არ არის მიღწეული

ბრძოლა ჩინეთში

ემზადებიან სალაშქროთ

პეკინი, 25 ნოემბერი. ტიან-ძინის თათბირის დამთავრების შემდეგ ჩჟან-ზიუ-ჩანი დაბრუნდა ცზი-ნანში და ემზადება სამხრეთით გასალაშქრებლათ 60.000-იან არმიით, რომელშიაც, სხვათა შორის, რუს თეთრგვარდიელთა რაზმიც შედის. ფიქრობენ, რომ სუნ-ჩუან-ფანი არ დაბრუნდება სამხრეთში, არამედ დარჩება ტიან-ძინში, სადაც მან უკვე გადაიყვანა თავისი ოჯახი. (ადს).

გაფიცვები

პეკინი, 25 ნოემბერი. უცხოეთის პრესის ცნობით, **საგაფიცვო მოძრაობა ხანკოუში ფართოვდება.**

ინგლის - ამერიკის თამბაქოს კამპანიის მუშების გაფიცვასთან დაკავშირებით, საგაფიცვო კომიტეტმა უბრძანა ჩინელთა მაღაზიებს მოახდინონ სამი დღის განმავლობაში ხსენებულ კამპანიის საქონლის მარაგის ლიკვიდაცია. ამ ვადის შემდეგ აკრძალული იქნება ამ კამპანიის საქონლის გაყიდვა.

იაპონიის კონცესიის ყველა სახლებში გაიფიცნ მოსამსახურეები. გაფიცულები სამუშაო ხელფასის გადიდებას მოითხოვენ.

მოსალოდნელია აგრეთვე საბაჟოების მოსამსახურეთა გაფიცვა.

მწარმოებლებთან მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ, **გაიფიცნ სტამბების მუშები.**

ხანმოკლე გაფიცვის შემდეგ განაახლეს მუშაობა ხანკოუ-კანტონის რკ. გზის მუშებმა. მუშების მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულ იქნა. (ადს).

დამოკიდებულება ბელგიასთან

პეკინი, 25 ნოემბერი. ჩინეთ - ბელგიის ხელშეკრულების გაუქმების გამო დანიშნულია ჩინეთის ინსპექტორი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ბელგიის ბანკ „ბელჟ ეტრანჟერ“-ის საქმეებს.

გომინდანელების დევნა

პეკინი, 25 ნოემბერი. ინგლისის კონცესიის პოლიციამ ტიან-ძინ'ში დაბეჭდა გომინდანის შენობა, რომელიც ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე მდებარეობს. პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა და წაიღო მრავალი საბუთები და წიგნები.

კომიტეტის ბინაზე დააპატიმრეს 5 გომინდანელი. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის საწინააღმდეგო მოძრაობა იზრდება

პეკინი, 25 ნოემბერი. იაპონიის სააგენტო ნიპპონ დემპო იტყობინება, რომ შანხაიში იზრდება სუნ - ჩუან-ფანის საწინააღმდეგო მოძრაობა.

სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ გამოდის შანხაის გუბერნატორიც კი, რომელიც სცდილობს შეუთანხმდეს კანტონელებს.

სუნ-ჩუან-ფანის საწინააღმდეგოდ

პეკინი, 25 ნოემბერი. პრესის ცნობებით, ჩჟან - ძო - ლინი, როგორც ყველა ჩრდილოეთ ძალების მთავარსარდალი, ჯერჯერობით არავითარ ნაბიჯებს არ სდგამს.

ფიქრობენ, რომ ჩჟან - ძო - ლინი უცდის უ-პეი-ფუსაგან პასუხს წინადადებაზე დაიკავოს მთავარსარდლის თანაშემწის თანამდებობა.

„ჩვენ ყველა ბოლშევიკები ვართ“

პეკინი, 25 ნოემბერი. გოვენის სააგენტო იტყობინება, რომ პროვინცია ცზიანსუს გამოჩენილმა მოღვაწეებმა, რომლებიც პეკინში იმყოფებიან, ჩჟან-ძო-ლინს მიმართეს დეპეშით, რომელშიაც შუამდგომლობენ არ გაიგზავნოს ჯარი პროვინცია ცზიან-სუში.

დეპეშაში ნათქვამია: „თუ ოპოზიცია მუკდენის და შანდუნის ჯარების პროვინცია ცზიან-სუში გაგზავნის წინააღმდეგ ბოლშევიზმია, მაშინ ჩვენ ყველა ბოლშევიკები ვართ“.

გაფიცვა ინგლისში

მოლაპარაკების შეწყვეტა სამხრეთ უელსში

ლონდონი, 25 ნოემბ. სამხრეთ უელსში მოლაპარაკება მაღაროს პატრონებსა და მემაღაროებს შორის უშედეგოთ დამთავრდა. სამხრეთ უელსის სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ მაღაროს პატრონებმა უარი სთქვეს წასულიყვნენ დათმობაზე სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხში და მოითხოვეს, რომ ის იყოს არა ნაკლები 8 საათისა. მათ უარი სთქვეს აგრეთვე მოეცათ გარანტია, რომ გაფიცულების მიმართ არ იქნება გამოყენებული რეპრესიები. ფედერაციის აღმასკომი არ დასთანხმდა ასეთ პირობებზე. საკითხი განხილულ იქნება 24 ნოემბერს სამხრეთ უელსის სამთამადნო მუშათა სადელეგატო კონფერენციაზე. (ადს).

სადელეგატო კონფერენცია

ლონდონი, 26 ნოემბერი. დღეს შესდგა მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციის კრება, რომელმაც განიხილა ცნობა მაღაროს მეპატრონეებთან მოლაპარაკების შესახებ ცალ-ცალკე რაიონებში.

მრავალ რაიონებში სრული შეთანხმება ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

საგანგებო წესები

ლონდონი, 25 ნოემბერი. თემთა პალატის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ხიქსმა განაცხადა, **რომ მთავრობას განზრახული აქვს წინადადება მისცეს პალატას გააგრძელოს ვადა მთავრობის რწმუნებისა, რომელიც მას მიეცა საგანგებო მდგომარეობის საფუძველზე.**

თავის გადაწყვეტილებას მთავრობა ასაბუთებს მით, რომ **სანამ მემაღაროების უმრავლესობა არ განაახლებს მუშაობას, საგანგებო მდგომარეობის გაუქმება მიზანშეუწონელია.** (ადს).

კომპარტიის ხელმძღვანელობით გამარჯვებისაკენ

ლონდონი, 25 ნოემბ. სანახშირო რაიონებში დაწყებულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, ინგლისის კომპარტიის ორგანო „უორკერ უიკლი“ აყენებს შემდეგ ლოზუნგებს: **არც ერთი რაიონი არ უნდა დასთანხმდეს არავითარ პირობებზე, სანამ ყველა რაიონები არ მიაღწევენ დამაკმაყოფილებელ პირობებს; რაიონები არ უნდა დასთანხმდენ არავითარ პირობებზე, რომელნიც არ ჰგულისხმობენ 7 საათის სამუშაო დღის შენარჩუნებას, არ იძლევიან იმის გარანტიას, რომ გაფიცულთა წინააღმდეგ არ იქნება მიღებული რეპრესიული ზომები; შეთანხმების პირობები დასამტკიცებლად უნდა გადაეცეს სამთამადნო მუშების მასებს; მემაღაროეებმა უნდა მოითხოვონ, რომ მოლაპარაკება აწარმოონ სამთამადნო მუშების წარმომადგენლებმა, რომელნიც კომპარტიის ხელმძღვანელობით. მუდამ იბრძოდენ შეუთანხმებლობის წინააღმდეგ.** (ადს).

„მშვიდობიანობა მრეწველობაში“

ლონდონი, 25 ნოემბერი. ლიბერალურ გაზეთ „დეილი-მიუს“-ის ცნობებით, ინგლისის პროფმოძრაობის და მუშათა პარტიის მთელმა რიგმა ბელადებმა, მათ რიცხვში მაკდონალდმა, კლაინსმა, ფილიპ, სნოუდენმა, ტომასმა, პუღმა და სხვებმა, გადასწყვიტეს ჩაატარონ ენერგიული კამპანია შემდეგი ლოზუნგით: „მშვიდობიანობა მრეწველობაში“.

მემაღაროები არ მიდიან დათმობაზე

ლონდონი, 25 ნოემბ. მანსფილდში მემაღაროეების მიტინგმა, რომელიც მოწყობილ იქნა ნოტინგამშირის სამთამადნო მუშათა ასოციაციის მიერ, უარყო სპენსერის მიერ მაღაროს პატრონებთან დადებული შეთანხმება. (ეს შეთანხმება დასდო მემაღაროების ახალმა კავშირმა, რომელიც თავის თავს „პოლიტიკის გარეშე“ აცხადებდა) (ადს).

მოლაპარაკება ცალკე რაიონებში

ლონდონი, 26 ნოემბ. მემაღაროეთა სრულიად ინგლისის ფედერაციის სადელეგატო კონფერენციის 26 ნოემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება მაღაროების მეპატრონეებთან ცალ - ცალკე რაიონებში. მდგომარეობა ცალკე რაიონებში შეიძლება შემდეგ ნაირად იქნეს დახასიათებული:

სამხრეთ უელსში სადელეგატო კონფერენციამ დაადგინა 29 ნოემბერს მოაწყოს რეფერენდუმი იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად საჭიროა რაიონული ფედერაციის აღმასკომის კვლავ შეხვედრა მაღაროების მეპატრონეებთან ან აქვს თუ არა მას შეთანხმების დადების უფლება.

კემბერლენდში მოლაპარაკება შეწყდა, რადგან მაღაროების მეპატრონეები შეურიგებელ პოზიციას დაადგენ. უმთავრესად გაფიცულების უკანვე სამუშაოზე დაბრუნების საკითხში.

ნორტუმბერლენდში რაიონული ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა ურჩიოს მემაღაროეებს, რათა მათ ხმა მისცენ მაღაროების მეპატრონეების პირობებს, რომელთა მიხედვით წესდება 7-ნახევ.—8 საათის სამუშაო დღე.

ლანკაშირში სადელეგატო კონფერენციამ მოიწონა აღმასკომის მოხსენება მაღაროების მეპატრონეებთან მოლაპარაკების შესახებ, მაგრამ თავის რეზოლიუციაში ის აცხადებს, რომ მოხსენების მოწონება იმას კი არ ნიშნავს, რომ კონფერენცია მაღაროების მეპატრონეების პირობებსაც იღებს, და რომ ლანკაშირის მაღაროების მეპატრონეთა პირობების მიღება თუ უარყოფა დამოკიდებულია სრულიად ინგლისის სადელეგატო კონფერენციის გადაწყვეტილებაზე.

შოტლანდიაში მოლაპარაკების მწარმოებელმა კომისიამ, რომელშიაც ორივე მხარის წარმომადგენლები შედიან, დაადგინა ურჩიოს მემაღაროეებს და მაღაროების მეპატრონეებს კომისიის მემორანდუმში წამოყენებულ წინადადებების მიღება: დროებითი შეთანხმება 8 საათის სამუშაო დღის და გაფიცვამდე არსებულ სამუშაო ხელფასის განაკვეთების ნიადაგზე 1927 წლის მარტამდე ან აპრილამდე, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ მხარეებმა უნდა გამოიმუშაონ და დასდონ მუდმივი შეთანხმება.

სომერსეტში მემაღაროეებმა გადაწყვიტეს შეასრულონ მაღაროების მეპატრონეთა მოთხოვნილება 8 საათის სამუშაო დღის შესახებ და განაახლონ მუშაობა.

ბრისტოლში, ლეისტერშირში და კენტში მაღაროების მეპატრონეებმა უარი სთქვეს მემაღაროეთა ფედერაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. (ადს)

რუმინეთი სამოქალაქო ომის წინ

ბერლინი, 26 ნოემბერი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სატელეფონო ურთიერთობა ბუქარესტსა და უცხო ქვეყნებს შორის შეწყვეტილია სამშაბათიდან. ფიქრობენ, რომ ურთიერთობის შეწყვეტა გამოწვეულია პოლიტიკური მიზეზებით, რადგან რუმინეთის შინაური მდგომარეობა მეტად გართულებულია. მეფე ფერდინანდის მდგომარეობა უიმედოა და მოსალოდნელია, რომ რეგენტი დაუყოვნებლივ გადადგება მისი სიკვდილისთანავე.

პარიზი, 26 ნოემბერი. „პარი-მიდი“-ს ბერლინერ კორესპონდენტის ცნობით, მეფე ფერდინანდის მდგომარეობა, ბუქარესტიდან და ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმად, უიმედოა. სატელეფონო ურთიერთობა ორივე დედაქალაქ შორის შეწყვეტილია. ფიქრობენ, რომ ფერდინანდის სიკვდილი სერიოზულ ამბებს გამოიწვევს რუმინეთში, შეიძლება გაჩაღდეს სამოქალაქო ომი ყოფილი ტახტის მემკვიდრის კაროლის მომხრეებსა და ყოფილ პრემიერ ბრატიანუს შორის. კაროლის მხარეზეა არმიის დიდი ნაწილი, გლეხთა პარტია და სხვა პარტიები გენერალ ავერესკუს მეთაურობით. მოწინააღმდეგეთა ძალები თითქმის თანაბარია.

ფინეთის მთავრობის კრიზისი

მოლაპარაკება დროებით შეწყდა

ჰელსინგფორსი, 25 ნოემბერი. ფინეთის კაბინეტის გადადგომის გამო, დროებით შეწყდა მოლაპარაკება ფინეთისა და საბჭოთა კავშირს შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ. (ადს).

პრემიერს დაეძებენ

ჰელსინგფორსი, 26 ნოემბერი. პრეზიდენტმა **რელანდერმა** წინადადება მისცა სეიმის სოც. დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარეს **ტანერს** შეადგინოს მთავრობა. ტანერი პრეზიდენტს პასუხს მისცემს ფრაქციასთან თათბირის შემდეგ. (ადს).

საბჭოთა პრესა

საგადასახადო კამპანია უნდა გავაძლიეროთ.

ჩვენ ამას წინედ აღვნიშნეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა ჩვენში სუსტად მიმდინარეობს. პირველ ნოემბრისათვის უნდა შემოსულიყო მთელი წლიური ჯამის 35 პროც. ნამდვილად 20 პროცენტიც არ არის აკრეფილი. დაახლოვებით ასეთ მოვლენას ვამჩნევთ არა მარტო ჩვენში, არამედ ა.-კ. დანარჩენ რესპუბლიკებსა და კავშირის სხვა ცალკე რაიონებში, თუმცა მთელი კავშირის მასშტაბით საგადასახადო კამპანიის შედეგი დამაკმაყოფილებელია: აკრეფილია პირველ ვადის ნორმის 96 პროც. რით აიხსნება ზოგიერთ ადგილებში გადასახადის არა სრულად შეკრეფა. ამაზე „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“ სწერს:

„ადგილები თავის ახსნა-განმარტებებში ცდილობენ ყველაფერი გადააბრალონ ისეთ წმინდა ობიექტიურ ფაქტორებს, როგორიც ავდარი, პურის დაგვიანებით მოწევა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ცუდი გასაღება და სხ., და, როგორც წესი, ივიწყებენ იმ წმინდა სუბიექტიურ მიზეზებს, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად დამოკიდებულია მხოლოდ მათგან, მათი მუშაობის სიმწყობრობისა და ტემპისაგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის გატარებაში.

ისეთმა ფაქტორებმა, როგორიც გლეხობისათვის საგადასახადო ფურცლების დაგვიანებით ჩაბარება, რასაც ადგილი ჰქონდა მთელ რიგ გუბერნიებში, როგორც სათემო და სამაზრო საგადასახადო კომისიების მიერ საჩივრების განხილვის გაჭიანურება, როგორც საშეღავათო ფონდების დაგვიანებით განაწილება, როგორც ძირითადი და თემსაძკომების საბჭოთა აპარატის—სასოფლო საბჭოების მუშაობაზე კონტროლის უქონლობა ან სისუსტე, ბოლოს კამპანიის არა საკმაოდ აქტიური ხელმძღვანელობა სამაზრო და საგუბერნიო ორგანოების მხრით—ყველა ამ ფაქტორებმა გავლენა იქონიეს მთელ რიგ გუბერნიაში გადასახადის არა მთლიანად შეკრებაზე.

ამ წელში პირველ ვადისათვის გადასახადის შემოსვლის შედეგები აშკარად გვიჩვენებენ, რომ წარსული კამპანიის შეცდომები და ნაკლულოვანებანი მთელ რიგ გუბერნიებში მიმდინარე წელს არ ყოფილა აღნუსხული და აცილებული. საჭიროა სასწრაფო გარდატეხა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიაში გადასახადის აკრეფის გაძლიერების აზრით, და ამას უნდა მივაღწიოთ უმოკლეს დროში“.

ეჭვი არა არის, რომ ამას მივაღწევთ, თუ საქმეს მთელი ენერგიით მოვკიდებთ ხელს. გადასახადის მთელი სიმძიმე წრეულს გადატანილია შეძლებულ გლეხობაზე, რომელიც ჩვეულებრივ აჭიანურებს თავის საგადასახადო მოვალეობის მოხდას. ამის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული კანონით დაშვებული ზეგავლენის ყველა ზომა. ამასთან ზევით დასახელებულმა ობიექტიურ ფაქტორების უმრავლესობამ ეხლა ძალა დაჰკარგა, რაც გაგვიადვილებს ამოცანის წარმატებით შესრულებას.

საარჩევნო ტერორი უნგრეთში

ვენა, 25 ნოემბერი. უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიამ მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით დაიწყო კამპანია და შეადგინა საკანდიდატო სიები.

მთავრობა გაფთრებულ საარჩევნო ტერორს აწარმოებს, განსაკუთრებით სოციალისტურ მუშათა პარტიის წინააღმდეგ, რომლის კრება პოლიციამ გარეკა და დააპატიმრა მრავალი მუშა.

სოციალ - დემოკრატებმა მოახერხეს სოციალისტურ მუშათა პარტიის მიერ გაკრულ პლაკატების ჩამოგლეჯა პოლიციის საშუალებით. თავის ასეთ საქციელს სოც. დემოკრატები იმით ხსნიან, რომ ნება დართულ თეთრ პლაკატების მაგიერ გაკრული იყო წითელი პლაკატები. (ადს).

პილსუდსკის სამფლობელოში

პილსუდსკის მგზავრობა

ვარშავა, 26 ნოემბერი. პილსუდსკი სამი დღით გაემგზავრა ვილნოში, სადაც ამჟამად იმყოფება იუსტიციის მინისტრი ნესტოვიჩი. (ადს)

ხელშეკრულება რუმინეთთან

ბერლინი, 26 ნოემბერი. პოლონეთის სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მოიწონა პოლონეთ-რუმინეთის საგარანტიო ხელშეკრულების რატიფიკაცია. (ადს)

პილსუდსკი თათბირობს

ვარშავა, 26 ნოემბერი. პილსუდსკის ვარშავიდან ვილნოში მოელიან 28 ნოემბერს.

გაზეთების ცნობით, პილსუდსკის ვილნოში გამგზავრების წინ თათბირი ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრთან ზალესკისთან, ინგლისის ელჩთან ვარშავაში და ბარტელთან. (ადს)

მრეწველების და მიწათმფლობელების დეკლარაცია

ბერლინი, 26 ნოემბერი. პოზნანის მიწათმფლობელების და მრეწველობის და ზემო სილეზიის მსხვილი მრეწველობის წარმომადგენლებმა, რომლებმაც თავი მოიყარეს პოზნანში, პრემიერს მიმართეს დეკლარაციით, რომელშიაც სრულ კმაყოფილებით ესალმებიან მთავრობის მიერ ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს. შემდეგ ისინი აცხადებენ, რომ დასავლეთ პოლონეთის მიწათმფლობელებმა და მრეწველებმა შექმნეს ორგანიზაცია, რომლის მიზანია მთავრობასთან თანამშრომლობა ქვეყნის საკეთილდღეოთ და აღსაყვავებლად.

დეკლარაციას ხელს აწერენ ზემო სილეზიის და პოზნანის ცნობილი მრეწველები და მიწის მესაკუთრენი.

რეიხსტაგი საგარეო პოლიტიკის შესახებ

ბერლინი, 25 ნოემბერი. რეიხსტაგში დამთავრდა კამათი საგარეო პოლიტიკის შესახებ.

კომუნისტებმა და ტევტონელებმა წინადადება შეიტანეს უნდობლობა გამოეცხადოს გარეშე საქმეთა მინისტრ შტრეზემანს. წინადადება უარყოფილი იქნა ყველა პარტიების ხმების უმრავლესობით კომუნისტების წინააღმდეგ. ტევტონელების წინადადება, რომ გერმანიამ უარი სთქვას ლოკარნოს ხელშეკრულებაზე, უარყოფილი იქნა ყველა პარტიების ხმების უმრავლესობით კომუნისტების და ტევტონელების წინააღმდეგ. წინადადება დანიშნულ იქნეს გამოძიება საერთაშორისო ომისათვის პასუხისმგებლობის საკითხის გამოსაკვლევად მიღებული იქნა ყველა პარტიების ხმებით სოციალ-დემოკრატების და კომუნისტების წინააღმდეგ. (ადს)

პარიზი, 26 ნოემბერი. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, რეიხსტაგმა მოიწონა შტრეზემანის პოლიტიკა და უარყო ნაციონალისტების წინადადება, რომლითაც მათ უნდოდათ საკითხი ომისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გადაეცათ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალში. (ადს)

(დეპეშების გაგრძელება იხილე მეორე გვერდზე)

ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო

ამხ. კრასინის კუბოსთან

ლონდონი, 26 ნოემბ. ამხ. კრასინის კუბოსთან დღე და ღამე საპატიო ყარაულს ასრულებენ სრულუფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომლები. საბჭოთა მუშაკები და განსვენებულის მეგობრები ყოველ დღე მოდიან, რათა უკანასკნელად გამოეთხოვონ მას.

ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის სახელით სრულუფლებიან წარმომადგენლობას თანაგრძნობა გამოუცხადა გრიმორიმ. საბჭოთა წარმომადგენლობას ეწვიენ აგრეთვე ჩემბერლენი და ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეები.

ამხ. კრასინის ცხედარს დასწვავენ კრემატორიუმში 27 ნოემბერს. (ადს).

მოსკოვი, 26 ნოემბ. ამხ. კრასინის კუბოს ამკობენ საკავშირო კომპარტიის ცეკას, საბჭოთა კავშირის ცაკის, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გვირგვინები. (ადს).

ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტის რეზოლიუცია

ლონდონი, 26 ნოემბ. ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ კრასინის გარდაცვალება დიდი დანაკლისია; მისი გარდაცვალებით ცარიელი ადგილი რჩება, რომლის შევსება ძნელი იქნება.

შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ კომიტეტის წევრები პირობას სდებენ გაორკეცებული ენერგიით იმუშავონ კრასინის ცხოვრების ერთ - ერთი უდიდესი მიზნის მისაღწევად — სრული და მტკიცე მეგობრობის დასამყარებლად ინგლისის ხალხებსა და საბჭოთა კავშირს შორის. (ადს).

გამოძახილი უცხოეთში

ინგლისის მემაღაროეთა თანაგრძნობა

ლონდონი, 26 ნოემბ. სამხრეთ უელსის მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ კარდიფში მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მემაღაროები სამძიმარს უცხადებენ ამხ. კრასინის ოჯახობას და თანაუგრძნობენ საბჭოთა მთავრობას ასეთი მძიმე დანაკლისის გამო.

სპარსეთში

თეირანი, 25 ნოემბ. სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ინახულა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იურენევი და სამძიმარი გამოუცხადა მას კრასინის გარდაცვალების გამო. (ადს).

საფრანგეთში

პარიზი, 25 ნოემბერი. პარიზში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ამხ. კრასინის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელთა კრება.

ამავე მიზნით შესდგა საფრანგეთის კომპარტიის პარიზის უჯრედების კრება.

პარიზის ყველა გაზეთებმა გამოუკლებლივ გამოაქვეყნეს ნეკროლოგები და წერილები, რომლებშიაც აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირმა კრასინის სახით დაჰკარგა დიდი მოღვაწე სამეურნეო და დიპლომატიურ ასპარეზზე. (ადს).

შვეციაში

სტოკჰოლმი, 25 ნოემბერი. შვეციის ყველა გაზეთები კრასინის გარდაცვალებას აღნიშნავენ ვრცელი ნეკროლოგებით, რომლებშიაც ნათქვამია, რომ კრასინის სიკვდილი უდიდესი დანაკლისია საბჭოთა კავშირისათვის, როგორც ადმინისტრატიულ, ისე დიპლომატიურ დარგში.

ბურჟუაზიულ გაზეთების აზრით, კრასინი იყო „ერთ-ერთი უჭკვიანესი და დიდი პრაქტიკული კაცი წითლებს შორის; მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრების განვითარების საქმეში“. (ადს).

უნგრეთის პრესა

ვენა, 25 ნოემბერი. ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო უნგრეთის ლიბერალური „პეშტი ნაპლო“ სწერს:

„კრასინის გარდაცვალებით საბჭოთა კავშირმა დაკარგა უნივერსალური სპეციალისტი, რომელსაც სწამდა შრომის მომავალი და ემსახურებოდა შრომას ყოველდღიური ბეჯითი მუშაობით“.

სოციალ - დემოკრატიული „ნეპსავა“ სწერს:

„კრასინთან ერთად სამარეში ჩაიდა და საერთაშორისო ჰორიზონტიდან გაჰქრა კომუნისტების საგარეო ეკონომიური პოლიტიკის ერთერთი უდიდესი ძალა“ (ადს)

სამძიმარის გამოცხადება

მოსკოვი, 26 ნოემბ. 25 ნოემბერს ლიტვის ელჩმა საბჭოთა კავშირში ბალტრუშაიტისმა და ლიტვის ეკონომიური დელეგაციის თავმჯდომარემ **პურიცკისმა** ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო სამძიმარი გამოუცხადეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს თანაგრძნობა გამოუცხადეს აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მოსკოვში **გირსამ** და ოსმალეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში **ზაკია-ბეიმ.**

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ლიტვინოვის სახელზე გაგზავნილ წერილში ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში **ხოჯსონმა** ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ოსტინ ჩემბერლენის დავალებით ინგლისის მთავრობის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა მას ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო. (ადს).

თბილისში

გუშინ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში ამხ. **კარკლინმა** იტალიის გენერალურ კონსულისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის სამძიმრის წერილი:

— იტალიის გენერალურ საკონსულოს თბილისში ამით პატივი აქვს გამოუცხადოს ღრმა სამძიმარი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ლონდონში — ლეონიდ ბორისისძე კრასინის გარდაცვალების გამო.

იტალიის გენერალურ კონსულის მოვალეობის აღმასრულებელი თბილისში.

კუარონი.

ინგლის-საფრანგეთის ელჩების აზრი

ინგლისის საქმეთა რწმუნებული ხოჯსონი

მოსკოვი, 26 ნოემბერი, „ცნობას ლეონიდ ბორისისძე კრასინის გარდაცვალების შესახებ დიდი მწუხარებით შეხვდებიან მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები ინგლისში, სადაც მისი დაუშრეტელი ენერგია, მისი ნიჭი და მოვალეობისადმი ერთგულება ღრმად იყო შეფასებული. უმთავრესად მისი მუშაობის ნაყოფია სავაჭრო ხელშეკრულების დადება 1921 წლის მარტში, იმ ხელშეკრულების, რომელიც დღეს წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთდამოკიდებულების ბაზისს. იმ დროს, და შემდეგშიც, მას დასახული ჰქონდა მიზნად ჯერ განეახლებია, ხოლო შემდეგ განემტკიცებია ეს კავშირი.

ესოდენ ნიჭიერი და დაუღალავი მუშაკის უდროვო სიკვდილი წარმოადგენს დიდ უბედურებას არა მარტო იმ ქვეყნისათვის, რომელსაც ის წარმომადგენლობდა, არამედ იმ ქვეყნისათვისაც, რომელიც წარმოადგინდა მის სამოღვაწეო სფეროს“. **ხოჯსონი.** (ადს)

საფრანგეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჟან ერბეტტი

მოსკოვი, 26 ნოემბერი. „ლეონიდ ბორისის-ძე კრასინის სიკვდილი —უდიდესი მწუხარების მიზეზია იმისათვის, ვინც ახლო იდგა მასთან. როცა მე გადამომცეს ამბავი მისი სიკვდილის შესახებ, მე ასე მეგონა, რომ ვკარგავ პირად მეგობარს, თუმცა ლეონიდ ბორისის-ძეს მე ვიცნობდი მხოლოდ იმ დროიდან, როცა ის ჩამოვიდა პარიზში, როგორც საბჭოთა კავშირის პირველი ელჩი. მაგრამ ჩვენი პირველი საუბრითვე მე დავინახე მასში შემოქმედებითი გონება, მუშაობის ხალისი და იშვიათი გულწრფელობა, რაც მას არაჩვეულებრივად სიმპატიურს ხდიდა. მას აქეთ ჩვენ ხშირად ეხვდებოდით და თვითეული შეხვედრა ზრდიდა ჩვენს მეგობრულ დამოკიდებულებას. მოსკოვიდან მისი უკანასკნელი გამგზავრების წინ, მიუხედავათ მძიმე სნეულებისა, რომელიც მას აუძლურებდა, ის მესაუბრებოდა მე, როგორც ადამიანი, რომელიც ფიქრობს მხოლოდ და მხოლოდ თავის ქვეყანასა და თავის მუშაობაზე. ის მაშინ ფიქრობდა მის მიერ ნაკისრ მოვალეობაზე, რომელიც უნდა განეხორციელებია ინგლისში, და ჩქარობდა საქმისათვის მალე მოეკიდა ხელი. შემდეგ ის სიკვდილის პირს იყო და მისი გამოკურნება დიდ ხანს გაგრძელდა. ვიდრე ხელახლად გახდებოდა ავად, მან შეასრულა მეტად მნიშვნელოვანი საქმე და კმაყოფილი იყო იმ გრძნობით, რომ მუშაობდა თავის ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მე ვფიქრობ, რომ რევოლიუციის ისტორიაში ლეონიდ ბორისის-ძე დაიჭერს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ინიციატორისა და ორგანიზატორის ადგილს. ყოველთვის, როცა კი მასთან საუბარი შეეხებოდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, შევატყობდით, რომ ამას ის სთვლიდა თავის საკუთარ საქმედ, რომელიც მან დაიწყო, რომელიც მოწონებულ იქნა ლენინის მიერ და რომელსაც ის განაგრძობდა შეუდრეკელი ენერგიით.

„როგორ შევძლებდით ჩვენ ჩვენი ფულის რეფორმის შედეგების შენარჩუნებას,— ამბობდა ის, — ჩვენ რომ არ გვქონოდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია?“.

გამსჭვალული ამ რწმენით, ის გრძნობდა, რომ ნამდვილად შეიქნა რაღაცა და რომ მან თავის ადგილზე შეასრულა მოვალეობა ისეთ მოვლენების დროს, რომლებმაც შესცვალეს მისი ქვეყნის სახე. ეს აზრი არ ხდიდა მას ამპარტავანს. პირიქით, ჩვეულებრივ საუბარში ის იყო მეტად უბრალო და მისი სახის გამოხატულება ხშირად იღებდა ბავშური ღიმილის ხასიათს. მისი სინდისი დამშვიდებული იყო, ისე როგორც სინდისი მუშის, რომელმაც კარგად დაასრულა თავისი სამუშაო დღე. შესრულებული მოვალეობის ეს კმაყოფილების გრძნობა— ყველაზე უდიდესია, რაც კი შეიძლება ისურვოს ადამიანმა, რადგან მუშაობა არის ყოველი სიხარულის დასაწყისი და, აგრეთვე, ყოველი ღირსების საზომი“. (ადს).

ჟან ერბეტტ

სამძიმრის დეპეშები

სამეცნიერო აკადემიისგან

ლენინგრადი, 26 ნოემბერი. სამეცნიერო აკადემიამ საბჭოთა კავშირის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მწუხარებას გამოსთქვამს ამხ. კრასინის სიკვდილის გამო. აკადემია აღნიშნავს კრასინის იმ დიდ დამსახურებას, რომელიც მიუძღვის მას საბჭოთა მეცნიერების განვითარების დარგში. (ადს).

საკონცესიო კომიტეტისაგან

მოსკოვი, 26 ნოემბერი. მთავარმა საკონცესიო კომიტეტმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას ლონდონში გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„მთავარ საკონცესიო კომიტეტის მუშაკნი სრულუფლებიან წარმომადგენლობის და ამხ. კრასინის ოჯახობის წინაშე გამოსთქვამენ უსაზღვრო მწუხარებას დაუვიწყარ ლეონიდ ბორისისძის გარდაცვალების გამო“. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

მუსოლინი ძლიერ ფლოტზე ოცნებობს

ლონდონი, 26 ნოემბ. რომიდან მიღებულ ცნობებით, იტალიას გადაწყვეტილი აქვს შექმნას მსოფლიოში უდიდესი ფლოტი. მუსოლინი იმუშავებს გეგმას 2 გემის ასაგებათ. თვითეული გემი იქნება წყალწყვით 40.000 ტონა. (ადს).

მექსიკაში მდგომარეობა სერიოზულია

ლონდონი, 26 ნოემბ. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით, შეერთებულ შტატების სავაჭრო ფირმები, რომელნიც იმყოფებიან მექსიკაში, აიარაღებენ თავის მოსამსახურეებს ფირმების ქონების დასაცავათ. მექსიკაში მდგომარეობა სერიოზულია. (ადს).

მეამბოხეთა მეთაურის დაპატიმრება

ლონდონი, 26 ნოემბ. ბატავიიდან მიღებულ ცნობით, დაპატიმრებულია მეამბოხეთა მეთაური სუნიო სუნარიო. (ადს).

მოწინააღმდეგეების მოკვლა

პარიზი, 26 ნოემბ. „მატენ"-ის ცნობით სოფიაში მოჰკლეს სტამბოლიისკის პარტიის წევრები თოდოროვი და დამიანოვი. მკვლელები მიიმალენ. (ადს).

აჯანყება ალბანეთში

პარიზი, 26 ნოემბ. ტირანიიდან მიღებულ ცნობით, ალბანეთში აჯანყება შენელდა. ადგილი აქვს მხოლოდ უმნიშვნელო ადგილობრივ გამოსვლებს. ალბანეთის მთავრობის ცნობით, ჯარმა ალყა შემოარტყა მეამბოხეებს. (ადს).

კომუნისტების წინადადების უარყოფა

ლონდონი, 26 ნოემბ. ბერლინიდან მიღებულ ცნობით, რეიხსტაგმა უარყო კომუნისტების და უკიდურეს ნაციონალისტების წინადადება შტრეზემანის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. რეიხსტაგმა უარყო აგრეთვე წინადადება ლოკარნოს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. (ადს).

პორტუგალიის ვალები

პარიზი, 26 ნოემბ. ლისაბონიდან მიღებულ ცნობით, პორტუგალიის დელეგაცია გაემგზავრა ლონდონში პორტუგალიის ვალების საკითხის მოსაწესრიგებლათ. (ადს).

მეამბოხეების დასჯა

ანგორა, 25 ნოემბ. დამასკის მიდამოებში სიკვდილით დასაჯეს სამი მეამბოხე, რომელნიც, ოფიციალურ ცნობის თანახმად, დაკავებულ იქნენ იარაღით ხელში (ადს).

ეგვიპტის პარლამენტის სესია

ლონდონი, 25 ნოემბ. ქაირში გაიხსნა ეგვიპტის პარლამენტის სესია. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნაციონალისტების ბელადი ზაგლულ ფაშა. (ადს).

მთის მოშვავება

პარიზი, 25 ნოემბ. ხანგრძლივ და ძლიერ წვიმების შედეგათ როკბილიერში (საფრანგეთის ზღვის განაპირა ალპები) მოხდა მთის დაშვავება. მიწის ქვეშ მოჰყვა 20 სახლი და 28 კაცი. (ადს).

იტალია-რუმინეთი

რომი, 25 ნოემბერი. ფაშისტური გაზეთები იტყობინებიან, რომ ახლო ხანში რომში ჩამოვა კიშენევის საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი, რომელიც მარშალ ბადოლიოს გადასცემს სიგელს მისი კიშენევის საპატიო მოქალაქეთ არჩევის შესახებ.

ფაშისტური პრესა კმაყოფილებას გამოხთქვამს რომში რუმინეთის მეფის ოჯახის ჩამოსვლის გამო. ამის საპასუხოთ იტალიის მეფე ესტუმრება ბუქარესტს. (ადს).

ესპანეთის არმიაში მღელვარება

პარიზი, 26 ნოემბერი. მადრიდიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მეფის დეკრეტით დაშლილია რამოდენიმე ცხენოსანი პოლკი. მოსალოდნელია კიდევ ქვეითა პოლკების დაშლა.

აჯანყება ალბანეთში

ბერლინი, 26 ნოემბერი. ცნობები აჯანყების შესახებ ალბანეთში ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მთავრობა ამტკიცებს, რომ მეამბოხეები საბოლოოდ დამარცხდენ ბრძოლაში ხელეტართან. ათინიდან მიღებულ ცნობებით კი, კატართან მთავრობის ჯარები გადავიდა მეამბოხეთა მხარეზე და ახმეტ-ზოგუ გაიქცა.

კონფლიქტი ჩეხო-სლოვაკიის სამთამადნო მრეწველობაში

პრაღა, 26 ნოემბერი. ჩეხო-სლოვაკიის მაღაროების მეპატრონეებმა უარყვეს მემაღაროეთა მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის 20 პროცენტით მომატების შესახებ. მემაღაროებმა მწარმოებლები გააფრთხილეს, რომ არ სცნობენ ეხლანდელ კოლექტიურ ხელშეკრულებას. (ადს).

ინგლისის პასუხი

პარიზი, 26 ნოემბერი. ბრიტანეთის მთავრობამ, რომელსაც შეეკითხა ბელგია ჩინეთ-ბელგიის ხელშეკრულების გაუქმების გამო, უპასუხა, რომ ჩინეთს არ შეუძლია კანონიერად გააუქმოს 1865 წლის ხელშეკრულება.

იტალია-საბერძნეთის კონვენცია

რომი, 26 ნოემბერი. მუსოლინიმ და საბერძნეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს კომერციულ კონვენციას ნაოსნობის შესახებ, რომელიც დამყარებულია ორივე ქვეყნის ურთიერთ უფლებებზე. კონვენციის მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიურ ურთიერთობას ორივე ქვეყნებს შორის. კონვენციის ვადაა 2 წელი.

ერთა ლიგის კონტროლი

ბერლინი, 26 ნოემბერი. იტალიამ აცნობა ინგლისს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს მხარი დაუჭიროს წინადადებას ერთა ლიგისათვის გერმანიაზე სამხედრო კონტროლის გადაცემის შესახებ. (ადს).

ეკონომიური კონგრესი

ბერლინი, 26 ნოემბერი. ჟენევიდან გავარცელებული ხმებით, საერთაშორისო ეკონომიური კონგრესი მოწვეული იქნება ამსტერდამში. (ადს).

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

25 ნოემბრის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 26 ნოემბერი. კომინტერნის პლენუმის 25 ნოემბრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი. მოხსენებებზე საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის ამოცანების შესახებ.

პირველად ილაპარაკა **სემარმა** (საფრანგეთი). მან დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა საფრანგეთის საშინაო მდგომარეობას. შეეხო რა საფრანგეთის კომპარტიის მუშაობას, სემარმა აღნიშნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი გაფიცვების, რომელთაც კომუნისტები ხელმძღვანელობდენ. პარტია არ არის გატაცებული საპარლამენტო საქმეებით მასიური მუშაობის ხარჯზე. ეჭვს გარეშეა პარტიას ჰქონდა შეცდომები, მაგრამ საერთოდ მისი მასიური მუშაობა ფართოვდება, პარტიის გავლენა იზრდება.

ბერჩი (ამერიკა) ილაპარაკა ამერიკის კაპიტალიზმის საერთაშორისო როლის შესახებ. ტროცკის თეზისი: „ამერიკამ ევროპას მიუგო განსაზღვრული ულუფა" — არ არის მართალი იმიტომ, რომ ის მხედველობაში არ იღებს იმ წინააღმდეგობას, რომელსაც ევროპის ცალკე ქვეყნები უწევენ ამერიკას.

კოლაროვი (ბულგარეთი) შეეხო ბალკანეთში კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხებს. ეს სტაბილიზაცია ხდება მხოლოდ და მხოლოდ უცხოეთის კაპიტალის დახმარებით. მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოების ინტერესთა წინააღმდეგობამ ბალკანეთში შეიძლება ახალი ბალკანეთის ომი გამოიწვიოს.

კოლაროვის შემდეგ ილაპარაკა **ბელმა** (ინგლისი), რომელიც შეეხო ინგლისის კაპიტალიზმის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხს. ბრძოლა ამერიკასა და ინგლისს შორის სამრეწველო ბაზრებისათვის იწვევს წარმოების მეთოდების რაციონალიზაციის აუცილებლობას. ჩვენი პოზიციაა — არა კაპიტალისტური, არამედ სოციალისტური რაციონალიზაციაა.

ბიტელმანი. (ამერიკა) ლაპარაკობს ამერიკის კომპარტიის ამოცანების შესახებ ამერიკის ეკონომიურ განვითარების ახალ პროცესთან დაკავშირებით. „ჩვენი უახლოესი ამოცანაა მოპოებული პოლიტიკური გავლენის ორგანიზაციულად განმტკიცება".

ბიტელმანის სიტყვის შემდეგ 25 ნოემბრის საღამოს სხდომა დაიხურა.

26 ნოემბერს გაგრძელდება კამათი, რომელიც ალბათ შაბათამდის გასტანს. კამათის დამთავრების შემდეგ პლენუმი მოისმენს **ბუხარინის** და **კუუსინენის** საბოლოო სიტყვებს. პრეზიდიუმის წინადადებით პლენუმმა დაადგინა დღის წეს-რიგის მეორე მუხლათ დაამტკიცოს **ტან-პინ-სიანის** მოხსენება „ჩინეთის საკითხის შესახებ". **მერფის** მოხსენება ინგლისის გაფიცვის გაკვეთილების შესახებ მოსმენილ იქნება ინგლისის საკითხის კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ. **სტალინის** მოხსენება „საკავშირო კომპარტიის საკითხების შესახებ" დღის წეს-რიგის მეექვსე მუხლი იქნება. (ადს).

26 ნოემბრის დილის სხდომა

მოსკოვი 26 ნოემბ. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საერთაშორისო მდგომარეობის და კომინტერნის ამოცანების შესახებ გაკეთებულ მოხსენების გარშემო.

ჟაკმოტი (ბელგია) ჩერდება კაპიტალისტური რაციონალიზაციის საკითხებზე. რაციონალიზაცია, ჟაკმოტის სიტყვით, კაპიტალიზმის უკანასკნელი ცდაა თავის მეურნეობის გასაჯანსაღებლად.

ბიტელი (გერმანია) აუცილებლად სთვლის, რომ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა კონკრეტიულად იქნეს ჩამოყალიბებული.

„ჩვენ, — ლაპარაკობს ის, — არ უნდა დავკმაყოფილდეთ სოციალ-დემოკრატიის მოღალატური მოქმედების საერთო დახასიათებით. საჭიროა ვამხილოთ სოციალ-დემოკრატია მისი პოლიტიკის კონკრეტიულ მაგალითებით. საჭიროა აგრეთვე მეტი ყურადღება მიექცეს სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლას პროფკავშირებში.

კოდოვილა (ლათინური ამერიკა) ჩერდება იმ საკითხებზე, რომელნიც შეეხებიან უცხოეთის კაპიტალის შეჭრას ლათინურ ამერიკის ქვეყნებში. კაპიტალისტური ექსპლოატაცია აძლიერებს უკმაყოფილებას მშრომელთა მასებს შორის. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს უკმაყოფილება ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობის კალაპოტში მოვაქციოთ.

შტერნი (ჩეხო-სლოვაკია) ეხება კაპიტალისტური სტაბილიზაციის საკითხებს და აღნიშნავს, რომ ის საერთო დებულება, რომელიც ამხ. ბუხარინმა თავის მოხსენებაში გაატარა, აუცილებლად კონკრეტიულად უნდა ჩამოყალიბდეს თვითეულ ქვეყნისათვის.

არუხნიაკი (პოლონეთი) ეხება პოლონეთის პოლიტიკურ მდგომარეობას. პილსუდსკის მთავრობამ შესძლო ნაწილობრივ ეკონომიურ წარმატებების მიღწევა. მაგრამ ამ წარმატებათა პერიოდი უკვე სრულდება. უკანასკნელ დროს მთელი რიგი ფაქტებისა (არჩევნები ზემო სილეზიაში და საავადმყოფო კასებში და სხ.) მოწმობენ პოლონეთის კომპარტიის ზრდას. საჭიროა ამ გავლენის განმტკიცება.

ერთი საათი ლაპარაკობს **ტელმანი** (გერმანია), რომელიც დაწვრილებით აშუქებს გერმანიის შინაურ მდგომარეობას. გერმანიის კაპიტალიზმის სტაბილიზაციამ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ახასიათებს რა შინა პარტიულ მდგომარეობას, ტელმანი ხაზს უსვამს ულტრა მემარცხენეების სრულ დამარცხებას და ფართო პარტიულ მასების დარაზმვას ცეკას გარშემო.

ფირდი (ოსმალეთი) ეხება მცირე აზიის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. ოსმალეთის ნაციონალური მოძრაობის გამოცდილება უნდა გამოიყენონ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებმა, პირველ ყოვლისა ჩინეთმა. თავიანთ ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობაში.

კამათი გაიდო 26 ნოემბრის საღამოს სხდომისათვის. (ადს).

კომუნისტების პროტესტი

პარიზი, 25 ნოემბერი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე ელზას ლოტარინგიის ბიუჯეტის განხილვის დროს თავმჯდომარემ კომუნისტ დეპუტატს **გიუმერს**, რომელმაც ფრანგული ენა არ იცის, აუკრძალა სიტყვის წარმოთქმა ელზასურად. კომუნისტურმა პარტიამ პროტესტი განაცხადა. (ადს).

ფაშისტური პოლიცია

ბერლინი, 26 ნოემბ. „ფორვერტსის" ცნობით, პრაღაში მთავრობის მოთხოვნით **პოლიციამ შეწყვიტა სოციალისტების კრება, რომელზედაც ანჟელიკა ბალაბანოვამ** გაილაშქრა მუსოლინისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

ბალაბანოვა წარმოადგენს საერთაშორისო რევოლიუციის პროპაგანდისტს. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ახალი დანიშვნები

ამხ. კამენევი—საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში

მოსკოვი, 26 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა განთავისუფლოს ამხ. კერჟენცევი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის მოვალეობისაგან იტალიაში და დანიშნოს ამ თანამდებობაზე ამხ. კამენევი.

ამხ. ზინოვიევის დანიშვნა

მოსკოვი, 26 ნოემბერი. საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ გრიგოლ ევსევის ძე **ზინოვიევი** დაამტკიცა რუსეთის საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრად.

სავაჭრო წარმომადგენლები

მოსკოვი, 26 ნოემბ. საკავშირო სახ კომისართა საბჭომ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლათ **ნორვეგიაში** დანიშნა ამხ. ელერდოვი, ხოლო იაპონიაში — ამხ. ანიკეევი. (ადს).

რკ.-გზის ხაზის აღდგენა

განჯა, 26 ნოემბერი. შეუდგენ მუსავატისტების მთავრობის დროს აქსტაფა-ევლახს შუა აყრილ მეორე ლიანდაგის აღდგენას. სათანადო მასალები მიღებულია ცენტრიდან. (ადს)

საგაზეთო შეგირდობის სკოლა

მოსკოვი, 26 ნოემბერი. მოსკოვში გაიხსნა გაზეთზე მომუშავე მოსწავლეთა პირველი სკოლა. სკოლა გაიხსნა ბეჭედითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს ინიციატივით. ასეთი სკოლები გაიხსნება აგრეთვე რუსეთის სხვა დიდ ქალაქებშიაც. სკოლა მომზადებს მოზარდებს საგაზეთო მუშაობისათვის. (ადს).

გემების შეკეთების მოწესრიგება

მოსკოვი, 25 ნოემბ. საზღვაო ტრანსპორტის ინჟინერ-ტეხნიკოსთა ცენტრალურ ბიუროს პლენუმმა, რომელმაც ამას წინედ დაასრულა მუშაობა, დიდი ყურადღება მიაქცია გემების შეკეთების საკითხებს. პლენუმმა აღნიშნა მეტად მაღალი ზედნადები ხარჯები გემების შეკეთებაზე მთელ რიგ მსხვილ სანაოსნო წარმოებებში: სამდინარო ნაოსნობაში ზედნად ხარჯების რაოდენობა აღწევს 168-ს, საბჭოთა სავაჭრო ფლოტში—90%.

ამის გამო პლენუმმა საჭიროდ სცნო შეკეთების საკითხის მოწესრიგების მიზნით გემთა შესაკეთებელ და გემთა [illegible] მოწყობილობების აღდგენა და გაფართოება თანამედროვე ტეხნიკისა და ეკონომიკის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. (ადს).

ორი გემის აშენება

ლენინგრადი, 26 ნოემბერი. ბალტიის გემთა სააღმშენებლო ქარხანაში დაიწყო ორი დიდი საზღვაო საფოსტო-სამგზავრო გემის აშენება შავი ზღვისათვის. ეს გემები ივლიან ყირიმის და კავკასიის ნავთსადგურებს შორის. გემებს ზღვაში ჩაუშვებენ გაზაფხულზე. (ადს).

„კასპარი"-ს მოგება

მოსკოვი, 26 ნოემბერი. სამრეწველო-საგეგმო კომისიის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად სააქციო საზ. „კასპარი"-ს მოგება 1926 წ. 1 იანვრისათვის განსაზღვრულია 2.478.000 მან. ამ თანხიდან 1.275.000 მან. გადაირიცხება კასპიის ფლოტის აღდგენის ფონდში. (ადს).

იტალიის მუშათა დელეგაცია

ლენინგრადი, 26 ნოემბ. ჩამოვიდა იტალიის მუშათა დელეგაცია, რომელიც შესდგება 12 კაცისაგან. დელეგაციის წევრები არიან იტალიის სხვადასხვა პარტიების და პროფესიების წარმომადგენლები. დელეგაციაში შედიან მუშების ყველა იმ ჯგუფების წარმომადგენლები, რომელნიც ქმნიან ბურჟუაზიასთან ბრძოლის მთლიან ფრონტს.

დელეგაციამ დაათვალიერა ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკ", შემდეგ სრული შემადგენლობით დაესწრო პროფკავშირთა საგუბერნიო ყრილობას, სადაც მას აღფრთოვანებით შეხვდენ. (ადს).

საბიბლიოგრაფიო ყრილობა

მოსკოვი, 26 ნოემბერი. 25 ნოემბერს გაიხსნა სრულიად რუსეთის ბიბლიოგრაფთა მეორე ყრილობა, რომელსაც ესწრება რუსეთის საბიბლიოგრაფიო დაწესებულებათა, ორგანიზაციების და საზოგადოებების 210 წარმომადგენელი, აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიის და უზბეკისტანის სამეცნიერო ბიბლიოთეკების დელეგაციებიც. პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს თავმჯდომარემ ამხ. **კრუპსკაიამ** მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ბიბლიოგრაფიის საკითხები მჭიდროთ არიან დაკავშირებული პოლიტ-განათლების მუშაობის საკითხებთან. აუცილებელია ზედმიწევნით სწორი აღრიცხვა სწარმოებდეს, როგორც ბაზარზე გამოსულ წიგნების რაოდენობისა, ისე მათი შინაარსის.

ყრილობამ, ინგლისში სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. კრასინის სიკვდილის გამო, თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა საკავშ. კომუნისტ. პარტიის ცეკას და საკავშირო ცაკს.

ყრილობამ მისალმებანი დაუგზავნა საკავშ. კომუნისტ. პარტიის (ბ) ცეკას, კომინტერნის პლენუმს, კალინინს და რიკოვს. (ადს).

ა.-კ. მრეწველობის გეგმა

აზერბეიჯანის მრეწველობა 1926—27 წ.

მოსკოვი, 26 ნოემბერი. საბჭ. კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო-საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა აზერბეიჯანის მრეწველობის გეგმა 1926—27 წლისათვის. გეგმა შეიცავს ფედერატიული მნიშვნელობის მრეწველობის შემდეგ დარგებს: საფეიქრო, სილიკატიური, თევზის [illegible], მარილის, სამთო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის დარგებს: ლითონის, თამბაქოს, ტყავეულის, სამკერვალო, სატყეო და ქიმიურს.

სამრეწველო-საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული პროდუქციის ღირებულება შეადგენს 33 მილ. მან. საბითუმო ფასების (გასაყიდი) მიხედვით კი—43 მილ. მან. წარსული წლის ციფრებთან შედარებით წარმოების ზრდა საშუალოდ გამოიხატება 53%-ით.

აზერბეიჯანის მრეწველობის პროდუქტების რეალიზაციის საერთო თანხაში სამრეწველო-საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ექსპორტის გეგმა 3 მილ. მან. რაოდენობით (ხიზალალა, ძირტკბილა. ტყე).

სამრეწველო-საგეგმო კომისიის დადგენილებაში აღნიშნულია. რომ აზერბეიჯანის ფაბრიკებისა და ქარხნების დატვირთვა 1926—27 წ. გამოყენებულ იქნება მთელი 100%-ით. შემდგომი გაფართოება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების აგების შემდეგ.

აზერბეიჯანის მრეწველობის მუშათა რიცხვი 1926—27 წ. გადიდებული იქნება 28%-ით უმთავრესად საფეიქრო, თევზის და თამბაქოს მრეწველობის დარგებში.

არსებულ წარმოებათა გაფართოებისა და რეკონსტრუქციისა, და აგრეთვე ახალ წარმოებათა აგების ხარჯები სამრეწველო-საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა 1926—27 წლისათვის დაამტკიცა 6.600.000 მან. რაოდენობით. ამ თანხიდან 3.582.000 მან. მიეცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დანარჩენი კი საამორტიზაციო ანარიცხებისა და მოგებიდან.

მრეწველობის ცალკე დარგებისათვის ეს ხარჯები ნაწილდება ამგვარად: განჯის სართავ-საქსოვ ქარხანას — 2 მილ. მან., საფეიქრო მრეწველობას — 1.017.000 მან., აბრეშუმის სართავ ქარხანას — 600.000 მან., სამთამადნო მრეწველობას — 849.000 მან., ნახიჩევანის მარილის მრეწველობას — 294.000 მან., სილიკატიური მრეწველობისათვის — 594.000 მან., სატყეო ტრესტისათვის — 378.000 მან., თევზის მრეწველობისათვის — 840.000 მან., ძირტკბილას მრეწველობის გაფართოებისათვის — 22.000 მან.

გარდა ამისა. სამრეწველო-საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა 1926—27 წლის გეგმაში შეიტანოს პირობითად გადიდებული 200.000 მან. აბრეშუმის სართავი ქარხნის ასაგებად ყარაბაღში. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. (ბ) ც. საკონტროლო კომისიის დადგენილება

მიღებული 1926 წ. ნოემბერს, ადგილობრივი ოპოზიციის ბელადების, ამხ. ლ. დუმბაძის, კ. ცინცაძის, ნ. კიკნაძის და ბ. კალანდაძის საქმის შესახებ.

საქმესთან დართულ მასალებისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის საგამომძიებლო კომისიის დასკვნის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ცენტრალურ საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის მიერ, აღნიშნულმა ამხანაგებმა თავის ფრაქციული საქმიანობისათვის, როგორც ამჟამად, ისე წარსულში (1924 წელში ფრაქციული მუშაობისათვის მათ გამოეცხადათ გაკიცხვა გაფრთხილებით) დაიმსახურეს პარტიიდან გამორიცხვა (ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის ა.-წ. 6 ნოემბრის დადგენილება.) მაგრამ, იღებს რა მხედველობაში მათ განცხადებას (გამოქვეყნებულს პრესაში ა.-წ. 21 ნოემბერს). სადაც ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელები აღიარებენ თავიანთ შეცდომებს ფრაქციული ბრძოლის მხრით, შლიან ფრაქციას და კისრულობენ უსიტყვოდ დაემორჩილონ პარტიისა და მისი ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებებს,—ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი, თავის წინა გადაწყვეტილების შესაცვლელად პარტიიდან მათი გამორიცხვის შესახებ,

ადგენს:

ამხ. ლადო დუმბაძეს, კოტე ცინცაძეს, ნიკო კიკნაძეს და ბენო კალანდაძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და ერთი წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობის დაჭერის უფლების ახდით. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

(მიღებულია ერთხმად)

საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას განმარტება

მოსკოვი, 26 ნოემბერი. ზოგიერთმა პარტორგანიზაციებმა გამოიტანეს დადგენილება პარტაღწერის განმავლობაში შესწყვიტონ პარტიაში მიღება და კანდიდატთა პარტიის წევრად გადარიცხვა.

საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკა განუმარტავს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ პარტაღწერის განმავლობაში ჩვეულებრივი წესით უნდა მიმდინარეობდეს როგორც პარტიაში მიღება, ისე პარტიის წევრებად კანდიდატთა გადარიცხვა. (ადს).

პარტმუშაკების განაწილება

მოსკოვი, 26 ნოემბერი. საკავშირო კომ. პარ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო-განმანაწილებელმა განყოფილებამ ჯამი გაუკეთა მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში მის მიერ ჩატარებულ განმანაწილებელ მუშაობას.

სულ ივლის-აგვისტო-სექტემბერში საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებაში გატარდა 2.170 მუშა; აქედან 1.927 კაცი პასუხისმგებელი მუშაკია სამაზრო მასშტაბამდე, უკანასკნელის ჩათვლით, დანარჩენი 243 სათემო მუშაკი. მესამე კვარტალში ადგილობრივ ორგანიზაციებიდან ჩამოვიდა სულ 70 სათემო მუშაკი, რომელთა უმეტესობა გადაგზავნილ იქნა ცენტრში ცეკას საორგ.-განმანაწილებელ განყოფილების თანხმობის გარეშე. უახლოეს დროისათვის საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებას განზრახული აქვს შემოიღოს ისეთი წესი, რომლითაც შეთანხმების გარეშე ჩამოსულნი გაიგზავნებიან ისევ უკან მათ გამომგზავნელ ორგანიზაციების ხარჯზე.

ადგილობრივ სამუშაოდ გაგზავნილია სულ 1.355 პასუხისმგებელი მუშაკი. (ადს).

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ლენინურ შეხედულებათა სიწმინდის დაცვით—მენშევიკურ გადახრათა წინააღმდეგ

გუშინ, საღამოს, ახალ მუშათა კლუბში შესდგა პოლიგრაფტრესტის 1, 2, 3, და 4 სტამბის, „ზარია ვოსტოკა"-ს, „წითელი მხედარი"-ს სტამბის, ცეკავშირის სტამბის, ქალაქის აღმასკომის 1 და 2 სტამბის, ლიტოგრაფიის, გრეხილი ავეჯეულობისა და ლენინის სახელობის ფაბრიკის, ქარხანა „თემქას", სატელეფონო ქსელის, სახელმწიფო ელექტრო-სამმართველოს და ა.-კ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ჯარების კოლექტივის უჯრედების გაერთიანებული კრება 500 კაცის მონაწილეობით. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. კრასინის ხსოვნას.

ამხ. **ქართველიშვილმა** გააკეთა მოხსენება მე-XV პარტკონფერენციის შედეგების შესახებ. მოხსენება გაგრძელდა ორ საათს. მოხსენების გარშემო ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„კრება მთლიანად და სავსებით უერთდება კონფერენციის ყველა გადაწყვეტილებებს და ღრმესი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს კონფერენციის ბოლშევიკურ მთლიანობას და ამტკიცებს, რომელმაც ყველა საკითხებზე მიიღო ლენინის მოძღვრებაზე დამყარებული გადაწყვეტილებები. გაერთიანებული ბლოკი, რომელიც წარმოიშვა ახალი ოპოზიციის იდეური კაპიტულიაციის ნიადაგზე ტროცკიზმის წინაშე, ამხ. ტროცკის მეთაურობით იძულებული გახდა კონფერენციაზე დუმილით აევლო გვერდი მოხსენებებისათვის პარტიის პოლიტიკის, საერთაშორისო, სამეურნეო და პროფესიონალურ ყველა მნიშვნელოვან საკითხებისათვის, რითაც დაამტკიცა თავისი სრული იდეური გაკოტრება.

გაერთიანებული ოპოზიცია დაეშვა მენშევიზმისაკენ, უარჰყო სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა ერთ ქვეყანაში, უწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირს დაღუპვა მისი ტეხნიკური ჩამორჩენილობის ნიადაგზე და გლეხობასთან შეჯახების აუცილებლობა.

ოპოზიცია ობიექტიურ მენშევიკურ საქმეს აკეთებდა, როცა სთესდა რწმენის დაკარგვას, სასოწარკვეთილების არსებულ სიძნელეების წინაშე, მიმართავდა ფრაქციული მუშაობის დაუშვებელ მეთოდებს და ლახავდა პარტიული წესდებით ნებადართულ ფარგლებს.

ოპოზიცია დაადგა მენშევიკურ გზას, როცა ლაპარაკობდა ჩვენი სახელმწიფოს „არაპროლეტარულ" ხასიათზე, სცემდა განგაშს პარტიის გადაცდენის შესახებ პროლეტარული ლიანდაგიდან და აღიზიანებდა მუშათა ჩამორჩენილ ფენებს საკითხით სამუშაო ხელფასის შესახებ. ამიტომ მთლიანად და სავსებით მართალია ბოლშევიკური მე-XV პარტკონფერენცია, როცა ოპოზიციის შეხედულებები დაახასიათა, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრა.

კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პარტიის იერიშით ოპოზიციური ბლოკი გაიბზარა, შლიაპნიკოვ-მედვედევის მიერ თავის უხეშ შეცდომების აღიარება, ფრაქციულ მუშაობაზე ხელის აღება და მათი ექვსი ბელადის მიერ საკუთარ შეცდომების აღიარება—ეს არის პირველი ნაბიჯი ოპოზიციის იდეური შეხედულების საბოლოო დაძლევისაკენ.

პარტიამ უნდა მოსთხოვოს ოპოზიციას ანტილენინურ შეხედულებათა სრული დაგმობა.

პარტიამ უნდა შეისწავლოს კონფერენციის გადაწყვეტილებები ოპოზიციის შეცდომების გათვალისწინებით.

პარტიამ უნდა მოითხოვოს ნამდვილი—არა სიტყვით, არამედ საქმით—ხელის აღება ფრაქციულობაზე.

ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით პარტიამ დიდი მიღწევები გააკეთა.

მიუხედავად ყველა ჯურის ოპოზიციების, დაწყებული ზინოვიევ-კამენევის ოპოზიციიდან 1917 წელში და გათავებული 1926 წლის ბლოკით—რწმენის დაკარგვის, სასოწარკვეთის და რწმენისა, პარტია გამარჯვებით აშენებს სოციალიზმს, და ააშენებს კიდეც მას.

ურწმუნოთ, სასოწარკვეთილთ, ლიკვიდატორთ, ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის დეზორგანიზატორთ არა აქვთ ადგილი ლენინური პარტიის რიგებში.

ლენინური შეხედულებათა სიწმინდის დაცვით—მენშევიკური გადახრის წინააღმდეგ!

შეხმატკბილებული მუშაობით—სოციალიზმის გამარჯვებისაკენ!

ლენინურ ცეკასთან ერთად

გუშინ, წითელი თეატრის დარბაზში შესდგა ელექტრონის დარგის მუშაკთა, „26-ის სახელობის" სპილენძის ქარხნის, წყალსადენის სახელობის, მექან. სარემონტო ქარ., „ზაკავტომტორგის", „მუშკოოპის", „როზა ლიუქსემბურგის" სახელობის თამბაქოს ქარხნის, თამბაქოს ქარხანა „პროლეტარის", სახერხი ქარხნის, კოლოფების ქარხნის, [illegible], აბრეშუმის სართავ ქარხნის, ლუდის ქარხნის, „სახსპირტის", „ზაკსოიუზი"-ს, „გრუზგოსტორგ"-ის, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს, ჯანსახკომის, თვითშრომელთა, მელითონეთა გაერთიანებული ქარხკომის და ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს უჯრედების ჯგუფური გაერთიანებული კრება.

კრებას ესწრებოდა ხუთასზე მეტი ამხანაგი.

მე-15-ე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ ვრცელი მოხსენებით, რომელიც ორ საათზე მეტს გაგრძელდა, გამოვიდა ამხ. **ლუკაშინი**.

მოხსენების გარშემო ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ლუკაშინის მოხსენება მე-15-ე პარტკონფერენციის შედეგებზე, კრება იწონებს კონფერენციის ხაზს და გადაწყვეტილებებს და სავსებით უერთდება მათ. კრება აღნიშნავს, რომ კონფერენციამ დააბოლოვა შინა-პარტიული ბრძოლის მთელი ეტაპი. ამ ეტაპის შინაარსი იმაში გამოიხატება, რომ პარტიის ხელმძღვანელობამ, მისმა მთლიანობამ და [illegible] გარიყა ორგანიზაციულად ოპოზიცია და მთელი პარტიისა და ქვეყნის წინაშე გამოაშკარავა მისი იდეური გაკოტრება.

ოპოზიციონერმა ბლოკმა, თავის გამოსვლებით მე-15-ე პარტკონფერენციაზე ცხადჰყო, რომ ის კვლავ რჩება თავის ძველ პრინციპიალურ პოზიციებზე, რომელიც კონფერენციამ სწორად დაახასიათა, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრა ჩვენს პარტიაში.

ჩვენს ქვეყანაში, დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე, სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის რწმენის დაკარგვა, უთუოდ არის სოციალ-დემოკრატიული გადახრა, რომელიც ოპოზიციას იდეურად აერთიანებს მენშევიზმთან.

ოპოზიციის გამოსვლა პარტკონფერენციაზე ამტკიცებს, რომ აუცილებელია შეურიგებელი ბრძოლის წარმოება მისი (ოპოზიციის) იდეური ხაზის წინააღმდეგ. პარტიამ უნდა აიძულოს ოპოზიციონერი ბლოკი მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც აიღოს ხელი ფრაქციულ მუშაობაზე და უარი სთქვას მუშათა კლასის დამღუპველ იდეურ პოზიციებზე. ამასთანავე ერთად, ჩვენ მოვითხოვთ ადგილობრივი ოპოზიციისაგან, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია კავშირი პარტიის მიერ დიდი ხნის წინ დაგმობილ „უკლონიზმთან" გადაჭრით აიღოს ხელი ფრაქციულ მუშაობაზე და უარყოს თავის გაკოტრებული შეხედულებანი.

კრება აღნიშნავს, რომ მე-15-ე პარტკონფერენციის ყველა დადგენილებები მიმართულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევა-მოსილი მშენებლობისაკენ და მოუწოდებს მთელ პარტიულ ორგანიზაციას ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ამ დადგენილებათა განხორციელებაში".

აჯანყება კუნძულ იავაზე

ამსტერდამი, 25 ნოემბ. კუნძულ იავიდან მიღებული უკანასკნელი ოფიციალური ცნობებით, მდგომარეობა კვლავ ნორმალურ კალაპოტში დგება. ცნობებში აღნიშნულია, რომ „მთავრობამ ისეთ ზომები მიიღო, რომ საეჭვოა მომავალში რაიმე გართულებებს ექნეს ადგილი". (ადს).

„აჯანყებულთა დიქტატორი"

ლონდონი, 26 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ბატაველი კორესპონდენტი იტყობინება, რომ დააპატიმრეს სუპრამო, რომელსაც ის „აჯანყებულთა დიქტატორს" უწოდებს.

შემდეგ კორესპონდენტი აცხადებს, რომ იავას ყველა ოლქებში კომუნისტური ორგანიზაციები სავსებით განადგურებული არიან, დაპატიმრებული არიან კომპარტიის ბელადები. (ადს)

ინდონეზიის თავისუფლებისათვის

ბერლინი, 25 ნოემბერი. კომუნისტურმა პარტიამ, დამოუკიდებელმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და კოლონიალურ ხალხთა ჩაგვრის წინააღმდეგ კრებამ ჰოლანდიის გარეშე საქმეთა მინისტრს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოითხოვს ჰოლანდიის ჯარების გაყვანას ინდონეზიიდან და ინდონეზიის ხალხისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას. (ადს)

პოლიტ. ემიგრანტთა დევნა

ვენა, 25 ნოემბერი. ბუდაპეშტის გაზეთი „ბუდაპეშტი გირლაპ" იუწყება, **რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობამ გადასწყვიტა გადაასახლოს სამხრეთ-სლავიიდან იქ მცხოვრები უნგრეთელი პოლიტიკური ემიგრანტები.**

ფიქრობენ, რომ ასეთი ნაბიჯი გამოწვეულია ჰუნგრეთის მთავრობის მოთხოვნით. (ადს).

საკოსა და ვანცეტის დასაცავად

ნიუ-იორკი, 25 ნოემბერი. საკოსა და ვანცეტის დამცველ საგანგებო კომისიას, რომელიც ნიუ-იორკის 300 მუშათა ორგანიზაციის მიერ იქნა დაარსებული, განზრახული აქვს ახლო მომავალში მოიწვიოს საკოს და ვანცეტის დამცველ ორგანიზაციების საერთო ნაციონალური კონგრესი. კონგრესის მოწვევის მიზანია — გაერთიანებული ბრძოლა საკოსა და ვანცეტის განთავისუფლებისათვის. (ადს)

ნორვეგიის მემარცხენე პროფკავშირები

სტოკჰოლმი, 25 ნოემბერი. ოსლოში შესდგა ნორვეგიის მემარცხენე პროფკავშირების დამფუძნებელი კრება, რომელზედაც განხილულ იქნა ეკონომიური პოლიტიკის, უმუშევრობის და 1927 წლისათვის დაწესებულ ხელფასის ნორმების გადასინჯვის საკითხები. ამას გარდა, კრებამ წინადადება მისცა პროფკავშირების ნორვეგიის გაერთიანებას მოიწვიოს პროფკავშირების სკანდინავია-ბალტიის კონფერენციაზე საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელი.

ბოლშევიკების პარტიული ტეხნიკა

(ჩემი მოგონებიდან) *)

მგონი ნაპოლეონს ეკუთვნის ბრძნული გამოთქმა: „ფული—ომის ნერვია"-ო. მაგრამ რევოლიუციონური მუშაობის წარმოებაც შეუძლებელი იყო უფულოდ, და ამიტომ პარტიის ფინანსების საქმის მოგვარება ერთი გადაუდებელი ამოცანათაგანი გახდა მეორე ყრილობის შემდეგ. მე, როგორც ცეკას წევრს, მომიხდა საკმაოდ ახლო ვმდგარიყავი ამ საქმესთან და რა ზომებს არ მივმართავდი, რომ შეგვეგროვებია ის გროშები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომლითაც ვაშენებდით პარტიულ ორგანიზაციას და ტეხნიკას მათი არსებობის პირველ წლებში. რასაკვირველია, პარტიული წრეების და ორგანიზაციების ყველა მონაწილენი იბეგრებოდნენ განსაზღვრული გადასახადით, მაგრამ საუბედუროდ ეს თანხები თითქმის არასოდეს არ აღწევდა ცენტრალურ კოლეგიამდე და იხარჯებოდა ან ადგილობრივი ორგანიზაციის საჭიროებაზე ან უშუალოდ იგზავნებოდა საზღვარგარედ „ისკრა"-ში გაზეთის დასახმარებლად ან საბროშურო ლიტერატურის გამოსაცემად. იძულებული ვიყავით გამოგვენახა სხვა თანხები. ერთი უმთავრესი შემოსავლის წყარო იყო რუსული საზოგადოების ყველა სხვა ოპოზიციური ელემენტების „დაბეგვრა"; ამ საქმეში ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან ვირტუოზობას და მეტოქეობას ვუწევდით მენშევიკების და ესერების პარტიას. იმ ხანებში, როცა კლასების მინიმალური დიფერენციაცია იყო და საყოველთაო მძულვარება არსებობდა ცარიზმისადმი, ჩვენ ვახერხებდით ფულის შეგროვებას სოციალ-დემოკრატიული [illegible] „ოსვობოჟდენიე"-ს მომხრეთა წრეებშიაც კი. სასიხარულოდ [illegible] (ცოტად თუ ბევრად რადიკალურ ან ლიბერალურ წრეებში ფულის მიცემა რევოლიუციონური პარტიისათვის; და იმ პირთა შორის, რომელნიც იხდიდნენ ყოველთვიურ გადასახადს 5-დან 25 მანეთამდი, იყვნენ არა მარტო დიდი ვექილები, ინჟინრები, ექიმები, არამედ ბანკების დირექტორები და სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებიც.

რამოდენიმე ხნის განმავლობაში პარტიისათვის ფინანსიური დახმარების საქმეში ჩავაბით ზოგიერთი მილიონერები იმ ფირმებიდან და [illegible], რომელნიც თითქოს სავსებით არ თანაუგრძნობდენ მუშათა მოძრაობას. საკმაოა ითქვას, რომ ს. ტ. მოროზოვს — მსხვილ მოსკოველ ფაბრიკანტს — ჩვენი ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში რეგულიარულად შემოჰქონდა საკმაოდ დიდი თანხები და უკანასკნელად შემოტანილი გადასახადი მე პირადად მივიღე მოროზოვისაგან ორი დღით ადრე მის ტრაღიკულ გარდაცვალებამდე.

ს. ტ. მოროზოვმა თავისი სიკვდილის შემდეგ დასტოვა დასაზღვევი პოლისი, რომლის თანხის უდიდესი ნაწილი მოროზოვის ანდერძის აღმსრულებლებმა მისი ანდერძის თანახმად გადასცეს ჩვენს ცეკას. მნიშვნელოვანი თანხები მიიღო ჩვენმა ცეკამ ა. მ. გორკის საშუალებით, რომელიც თვითონაც იხდიდა და შეძლებულ ხალხსაც ახდევინებდა ფულს პარტიის სასარგებლოდ. სხვათა შორის, ა. მ. გორკის საშუალებით დამყარდა პირველად კავშირი ჩვენი ბაქოს ტეხნიკისა, რომელსაც თანხები ესაჭიროებოდა და ა. დ. ციურუპას შორის, რომელიც მაშინ უფის გუბერნიაში კუგუშევის მამულების მმართველი იყო და რომელიც ამ მომენტიდან ხელს გვიწყობდა ჩვენ ფულის სისტემატიური გადმოგზავნით. საკმაოდ ბევრ ფულს აგროვებდენ აგრეთვე სხვა და სხვაგვარი საშუალებებით, მაგ. წარმოდგენებითა, საღამოებითა და კონცერტებითაც კი. კავკასიის ჩვენმა ტეხნიკურმა ორგანიზაციამ კარგად გამოიყენა ვ. ფ. კომისარჟევსკაიას ჩამოსვლა კავკასიაში, რომელიც თავისი შემოსავლის ნაწილს პარტიას აძლევდა. ერთი საღამოთაგანი ვ. ფ. კომისარჟევსკაიას მონაწილეობით მოეწყო ბაქოში, შემთხვევით სწორედ იმ სახლში, რომელშიაც სცხოვრობდა საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი. პარტიის არსებობის შემდეგ პერიოდში ჩვენ ვახერხებდით მთელ რიგ ისეთ კომერციულ წარმოებათა შექმნას, რომელნიც დიდ შემოსავალს გვაძლევდენ.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ის საკმაოდ დიდი თანხა, რომელიც მეფის მთავრობის მიერ მოსკოვის ციხეებში ნაწამებმა სტუდენტმა შმიდტმა დაუტოვა პარტიას (მან პარტიას დაუტოვა თავისი წილი ვიკულა — მოროზოვის ამხანაგობაში მონაწილეობისა). ამ ფულის მიღებასთან სდევდა დავა ზოგიერთი მისი მემკვიდრის მხრივ და როგორც კურიოზი უნდა აღინიშნოს. რომ სამედიატორო სასამართლოს უმრავლესობა, რომელმაც ჩვენ მოგვისაჯა ეს ფული, შესდგებოდა ესერებისაგან — მინორი, ბუნაკოვი და სხვ. იყო ასეთი შემთხვევებიც: მაგალითად, ჩვენთან პიტერში მოვიდა ახალგაზრდა ქალი და განაცხადა. რომ იგი თანაუგრძნობს ჩვენს პარტიას და სურვილი აქვს პარტიას გადასცეს ის ქონება, რომელიც სამხრეთ რუსეთის რომელიღაც ადგილას დარჩა მას მემკვიდრეობად. ამ ახალგაზრდა ქალის არასრულწლოვანების გამო ჩვენ მოგვიხდა მოგვეწყო რამოდენიმე რთულ კომბინაციისათვის, სახელდობრ ჯერ იგი გავათხოვეთ და შემდეგ უკვე ქმარის ნებართვით გავყიდეთ მისი ქონება. იმ ჩვენი მტრების გულის მოსაკლავად, რომელნიც ამ სტრიქონების წაკითხვის დროს ჩვენს პარტიას უსაყვედურებენ არასრულწლოვან ქალთა გაძარცვას, შემიძლია ამას დავუმატო, რომ ამ შემოწირულების შემომტანი არის — ფედოსი პეტრეს ასული კასესინოვისა, რომელიც ეხლაც ჩვენი პარტიის რიგებში იმყოფება და მუშაობს — ერთ-ერთ ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაში. მისი ქმარი. სამწუხაროდ, დაიღუპა რესპუბლიკის დაცვისათვის ბრძოლაში ციმბირის ფრონტზე.

ფული ჩვენ, უმთავრესად გვესაჭიროებოდა სტამბის ტეხნიკისა და ტრანსპორტისათვის.

ლიტერატურის გადატანა და შენახვა ძალიან ძვირი გვიჯდებოდა; ჩვენ გვიხდებოდა არა მარტო ფრახტის გადახდა, არამედ საწყობების, შენობების დაქირავება.

მაგრამ უდიდესი ხარჯები უნდებოდა სტამბის ტეხნიკურ აპარატს, სტამბის ყიდვას და მოწყობას, ქაღალდის და შრიფტის შეძენას და ასოთ-ამწყობებისა და მბეჭდავების შენახვას.

ყველაზე უფრო ძლიერი სტამბის ტეხნიკა ქონდათ ჩვენ ბაქოს სტამბებს. ბაქოს სტამბის მოწყობის ინიციატორი 1901 წელში იყო უდროოდ დაღუპული ჩვენი ქართველი ამხანაგი ლადო კეცხოველი. ზოგიერთი თანხები ჩვენ მაშინვე გადავეცით მას, მაგრამ ჩვენ არ გვქონდა არავითარი საშუალება შეგვეძინა სტამბის მანქანა და სისტემატიურად გვეყიდა ხოლმე ქაღალდი, ლაქი, შრიფტი და სხვ., ვინაიდან ჩვენ არ გვქონდა გუბერნატორის ნებართვა სტამბის გახსნაზე. მაგრამ ამხ. ლადო გამოვიდა ამ დაბრკოლებიდან. მან თავის სახელზე შეადგინა ელიზავეტოპოლის გუბერნატორის მოწმობა სტამბის გახსნის ნებართვისა, გადასწერა ეს მოწმობა წინასწარ მოპარულ გუბერნატორის ტიტულით აღნიშნულ ბლანკზე და შემდეგ გუბერნატორის მაგივრად თვითონ მოაწერა ხელი ამ დოკუმენტს. როცა ჩვენ ეჭვი გამოვსთქვით, რომ შეუძლებელია რამის გაკეთება ამ აშკარათ ყალბი დოკუმენტით, მან აქაც გამოსავალი ნახა დაბრკოლებიდან; რამოდენიმე დღის შემდეგ მან გახარებულმა გვიჩვენა ჩვენ ნოტარიუსის მიერ შემოწმებული ქაღალდი. მან ასლი გადაიღო ყალბი მოწმობიდან. შეამოწმა ეს ასლი ბაქოს ნოტარიუსთან და ამგვარათ მიიღო დოკუმენტი, რომელზედაც არ იყო არც ერთი ყალბი წარწერა. ამ დოკუმენტით ლადომ ადვილად შეიძინა მანქანები და მასალები. ამის შემდეგ რუს. სოც. - დემ. მუშათა პარტიის არალეგალურმა ტეხნიკამ დაიწყო მუშაობა ბაქოში და არ შეუწყვეტია იგი 1905 წლამდე, როცა ჩვენი ბაქოს სტამბა რევოლიუციის გამო გადავიდა ლეგალურ მდგომარეობაზე და თვით მუშაკთა მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად გადატანილ იქნა პიტერში ამხანაგობა „დელო"-ს დიდ კომერციულ სტამბაში, რომელიც დაარსებულ იქნა „ნოვაია ჟიზნი"-ს და სხვა ბოლშევიკური გამოცემების საბეჭდავად.

ბაქოს ტეხნიკის შემდეგი ხელმძღვანელი იყო ტრიფონ თეიმურაზის ძე ენუქიძე (რომელსაც ვეძახდით „სიმონს"), —ეხლა ჩვენი ფულის ნიშნების სახელმწიფო ფაბრიკის ხელმძღვანელი. „სიმონ" ენუქიძემ მნიშვნელოვნად გააფართოვა ამხ. ლადოს მიერ დატოვებული მემკვიდრეობა. მთელი მუშაობა აშენებული იყო მკაცრი კონსპირაციის პრინციპის მიხედვით; ამასთანავე გამოყენებულ იქნენ თავისებური ტეხნიკური მეთოდები, რომლის მაგვარი იშვიათად ყოფილა გამოყენებული სადმე და ვინმეს მიერ. ქაღალდის მისატანად და დაბეჭდილი ფურცლების გამოსატანად ამხ. „სიმონმა" მეტად მოხერხებულად გამოიყენა კარჩაკეტილობა, თათართა მოსახლეობისა ბაქოში, რომელიც კარგი თვალით არ უყურებდა პოლიციას, და სტამბა მოათავსა თათრების კვარტალში. სტამბა, თუმცა გათართოებული, მაგრამ მაინც ისევ ნახმარი მანქანებით არ აკმაყოფილებდა ამხ. სიმონს; ამიტომ მან წარმოადგინა აუგსბურგის ქარხანის გაუმჯობესებული მანქანის შეძენის გეგმა და თავისი ჩვეულებრივი დაჟინებით არ გამშორდა მე და ნ. პ. კოზერენკოს — (ძველი სოციალ-დემოკრატი, რომელიც მაშინ ჩვენს ბაქოს ორგანიზაციაში შედიოდა); სანამ არ შეუგროვეთ საჭირო თანხა, მგონი, ორი ან სამი ათასი მანეთი, და სანამ საზღვარგარეთიდან არ გამოვიწერეთ ეს მანქანა. მისი დადგმისათვის გადაწყდა ახალი შენობის მონახვა და იმგვარად მოწყობა. რომ ჩხრეკის შიში არ გვქონოდა. შენობა, სადაც იდგა და მუშაობდა ეს მანქანა, ასოთ-ამწყობებისა და მბეჭდავების საცხოვრებელი სახლიდან განცალკევებული იყო განსაკუთრებული მიწისქვეშა გასავალით, რომელიც დაფარული იყო დიდი ბეტონის, ქერ-ქვეშ დაშვებული კარებით, რომლის ნახვა არა შემთხვევაში არ შეეძლო არავის, ვინც საიდუმლოება არ იცოდა. თვითონ ის შენობა, რომელშიაც იბეჭდებოდა მასალები, განათებული იყო განსაკუთრებული სანათურით და ყოველმხრივ იყო დაფარული; იგი მოთავსებული იყო საკმაოდ ფართე შენობის შიგნით; ეს შენობა კი შეიცავდა ეტლების ფარდულებს, თავლებს და ბელლებს ფეტვისა და ქერისათვის. მხოლოდ სხვის მფლობელობაში მყოფი მეზობლები შენობის გარეგანი გადაზომვით და ყველა შინაგანი საკნების და შენობის გაზომვით და ყოველივე ამის გეგმაზე გადატანით შეიძლებოდა დანახვა, რომ შუაში რჩება ცარიელი ადგილი, საითკენაც არაა შესავალი შენობის სხვა ნაწილებიდან. სწორედ ამ ადგილას იყო მოთავსებული ჩვენი სტამბის საბეჭდი განყოფილება, რომელიც საიდუმლო შესავალით იყო დაკავშირებული სხვა სახლთან. რომელშიაც სცხოვრობდენ ა. ს. ენუქიძე და სხვა ამხანაგები. ბაქოს პოლიციისა და ჟანდარმების ინტელიგენტობა, რასაკვირველია, არ იყო საკმაო იმისათვის, რომ აღმოეჩინათ ასეთი სტამბა; იმ შემთხვევაშიაც კი, რომ მთელი პერსონალი, ა. ს. ენუქიძის მეთაურობით, დაეპატიმრებიათ, სტამბა თავის თავად მაინც არ ჩავარდებოდა და მისი აღდგენისათვის საჭირო იყო კვლავ იჯარით აღება იმ სახლისა, რომელშიაც სცხოვრობდა ა. ს. ენუქიძე, საიდანაც ფარული გასავალი მიდიოდა თავლებისა და ბელლების შიგნით. ეს უკანასკნელი შენობა ეკუთვნოდა თათარ მეეტლეს, სიმონის კარგ ნაცნობს. რომელიც არა შემთხვევაში არ გასცემდა სტამბას. იმ სახლში მცხოვრები მბეჭდავები და ასოთ-ამწყობები სასტიკი დისციპლინის ქვეშ იმყოფებოდნენ და საზოგადოდ არ ქონდათ სახლიდან გასვლის უფლება. განსაზღვრული ვადის განმავლობაში ყოველი მათგანი იღებდა შვებულებას; მაგრამ ეს შვებულება მას არ უნდა გაეტარებია ბაქოში. შვებულება მიღებული ამხანაგი ვალდებული იყო საღამოს მატარებელზე გასულიყო სადგურზე და წასულიყო თბილისში, ქუთაისში ან ბათომში, სადაც იგი ატარებდა შვებულებას. სტამბის შიგნით, სიმონის და ჩემს გარდა, რომელნიც ხანდახან შევდიოდით შიგ უფრო ტეხნიკური კონსულტაციის ანუ ექსპერტიზის მიზნებით, სრულიად არავის არ ქონდა შესვლის უფლება და ამის გამო სტამბის ჩავარდნა სრულიად შეუძლებელი იყო. შესავალი კარები ყოველთვის დაკეტილი იყო და მანამ არ გააღებდა, სანამ ყველა მუშები თავთავიანთ ადგილზე არ იქნებოდენ, და ფარული შესავლის კარები ისეთ ადგილას იყო მოთავსებული, რომ ვინც არ იცოდა საიდუმლოება მას ვერ მონახავდა.

მოკლედ ვიტყვი ცოტა რამეს „ისკრა"-ს ბაქოში ბეჭდვის შესახებ.

კავშირი ჩვენსა და „ისკრა"-ს შორის იყო ამხ. გალპერინი, რომლის პარტიული სახელწოდება იყო „კონიაგა". მთელი ჩვენი ბაქოს ორგანიზაცია ჟენევაში [illegible] კონსტანტინეს ასული ულიანოვა-კრუპსკაიას ყავდა აღრიცხული „ცხენების" სახელით. როცა ჟენევაში „ცხენებისგან" მიიღეს ცნობა, რომ მათ თავისი ტეხნიკა იქამდე განავითარეს, რომ მთლიანად შეიძლება დაიბეჭდოს „ისკრა"-ს ნომრები, მაშინ გადაწყდა ბაქოში გამოეგზავნათ მატრიცები, ე. ი. კარტონის ანაბეჭდები აწყობილიდან, რომლებითაც სტამბის ლითონის ჩამოსხმით შეიძლებოდა მიგვეღო დასაბეჭდათ გამოსადეგი მთელი გვერდის კლიშე.

მე უნდა მოვიგონო აგრეთვე სპეციალური ტეხნიკური ჯგუფი, რომელიც ჩვენი პარტიის ცეკასთან არსებობდა ამ ჯგუფს უფრო სხვა ამოცანები ქონდა დავალებული — ჩვენი, უმთავრესად პეტერბურგის ორგანიზაციის შეიარაღებული კადრების შექმნა. განსაკუთრებული დიდი პარტიული შედეგების მიღწევა ძნელი იყო, და კერძოდ, ცდა იმისა. რომ რუსეთში შემოგვეტანა თოფები გემ „ჯონ-კრაფტონი"-თ, სრულიად უშედეგოდ დამთავრდა. ჩვენი ტეხნიკური ჯგუფი ამ საქმეში ჩაება მხოლოდ მის უკანასკნელ სტადიაში, როცა უკვე შეუძლებელი იყო დაშვებული უხეში შეცდომების გამოსწორება. ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მუშათა რაიონების მოთხოვნილებით პეტროგრადში, ამ ჯგუფს უხდებოდა ზრუნვა იმისათვის, რომ მასალა მიეწოდებია ამ ორგანიზაციებისათვის. საქმეში ჩაბმულ იქმნენ გამოჩენილი ტეხნიკოსები და ჩვენი ტეხნიკის კონსტრუქცია შემდეგში ცნობილ იქნა მეტად რიგიანად, თუ საუკეთესოდ არა მთავარ არტილერიულ სამმართველოს ექსპერტიზის მიერ.

ჩვენი პარტია ყოველთვის იყო განთქმული თავისი პოლიტიკური ხაზის მკაცრი იდეური სიმტკიცით და ეს იყო რასაკვირველია, უმთავრესი საფუძველი მის მიღწევათა, რომლის შესახებაც ლაპარაკობს მთელი მსოფლიო.

მაგრამ როცა 25 წლის იუბილეისათვის ჯამს უკეთებთ პარტიულ მუშაობას, კეთილად უნდა მოვიხსენიოთ ბოლშევიკური პარტიული ტეხნიკაც, რომელიც განსაკუთრებით არალეგალური არსებობის წლებში ეხმარებოდა ჩვენს დიდ და საყვარელ ილიჩს იმაში, რომ მას გამოეჭედა მუშათა კლასის ბრძოლის ფოლადისებურად მაგარი იარაღი. — რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

ლ. კრასინი (ნიკიტიჩი)

---

*) ეს მოგონება დაწერილია ლ. ბ. კრასინის მიერ პარტიის 25 წლის იუბილეს გამო. მოგვყავს ის ცოტა შემოკლებით.

რედ.

საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირი

გუშინ საღამოს 6 ნახევარ საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის სამაზრო და საოლქო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირი.

თათბირი გახსნა ამხ. ლ. ღოღობერიძემ.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან (აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, შორაპანი, სიღნაღი და თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი); მომხსენებლები ადგილებიდან [illegible] გლეხთა ჯგუფების ორგანიზაციის გარშემო მიღებულ გამოცდილებათა შესახებ, საბჭოთა უჯრედების მუშაობა, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, პარტიის ზრდის მოწესრიგება, აღმრიცხვ-სტატგანყოფილებათა რეორგანიზაციის შესახებ, ინფორმაციული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, პარტიის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების შემოწმების შესახებ, სელკომების შესახებ და სამაზრო პარტკონფერენციების შესახებ.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ზუგდიდის, სიღნაღის და შორაპნის სამაზრო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების მოხსენება.

გამოცდილებათა გამოყენების შესახებ

პარტიულ მუშაობის გასაუმჯობესებლად ზოგიერთ უჯრედებში შემოღებულია მუშაობის უკეთესი ფორმები და მეთოდები, მაგრამ, ჩვენში, სამწუხაროდ, არ სწარმოებს მათი აღრიცხვა და ამ გამოცდილების სხვა უჯრედების მიერ გამოყენება. ეს ნაკლი უნდა მოისპოს.

როდესაც პარტიის წინაშე მრავალი საპირველრიგო ამოცანებია წამოჭრილი, არ კმარა გავითვალისწინოთ მარტო ის, რა უნდა გაკეთდეს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმასაც, თუ როგორ, რა სახით უნდა გავატაროთ ცხოვრებაში ესა თუ ის ამოცანა.

ამ მიმართულებით თითეულ უჯრედის მცირე მიღწევასაც კი უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს და ამ გამოცდილების გარშემო შექმნილ იქნას საზოგადოებრივი აზრი.

პირველ ყოვლისა, ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ პრესა. მასში ფართოდ უნდა გავაშუქოთ ყოველივე ახალი მიღწევები და გამოცდილებები. მათ გარშემო უნდა გაიმართოს აზრთა გაცვლა-გამოცვლაც. ამნაირად, უჯრედები ისარგებლებენ სხვების გამოცდილებით.

გამოცდილების აღნუსხვის და გამოყენების მხრივ განუზომელი მნიშვნელობა აქვს უჯრედების ბიუროების და მდივნების თათბირებს, სადაც დღის წესრიგში უნდა დაისვას დამახასიათებელ კომუჯრედების მოხსენებანი.

მახლობელ უჯრედებს შორის უნდა დავამყაროთ მჭიდრო ცოცხალი და წერილობითი კავშირი. ამ შემთხვევაში საჭიროა უჯრედები [illegible] სხდომებს [illegible] ერთმანეთს უგზავნიდნენ.

ქალაქად და სოფლად მუშაობის პირობები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება, მაგრამ ზოგიერთჯერ სოფლად უჯრედებსაც შეუძლიათ ქალაქის უჯრედების გამოცდილების გამოყენება. ამ მიზნით, როდესაც სოფლელი კომუნისტები ქალაქში ჩამოვლენ, უნდა შეისწავლონ რომელიმე კომუჯრედის მუშაობა და სათანადო მიღწევები გამოიყენონ.

უნდა აღვნიშნოთ, გამოცდილების აღნუსხვის ერთი საშუალება: ეხლა პარტიული კომიტეტები უფრო ხშირად იწვევენ უჯრედების მთელ მუშაობას და არა მის მუშაობის ერთ რომელიმე დარგს. მომავალში კი პრაქტიკაში უნდა შემოვიღოთ მუშაობის უფრო მნიშვნელოვან მხარის ცალკე შემოწმება-შესწავლა. ამ საქმის მოგვარება გააძლიერებს უჯრედების მუშაობას.

ალი.

საბჭოთა საქართველო

ეჰემები

ახალი საექიმო პუნქტები

ქუთაისი, 26 ნოემბერი. წითელი ჯვარის ქუთაისის განყოფილებამ სამ სოფელში (ორპირი, საპაიჭაო და ბახახულები) გახსნა საექიმო პუნქტები, რომელნიც უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებით და საექიმო პერსონალით. (ადს).

ახალი საკრედიტო ამხანაგობა

ქუთაისი, 26 ნოემბერი. სოფ. გუბში (ქუთაისის მაზრა) იხსნება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა. მოხდა გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები. (ადს)

ქუთაისის ბამბის ქარხანა

ქუთაისი, 26 ნოემბერი. სწარმოებს წინასწარი სასწრაფო მუშაობა ქუთაისის სახელმწიფო ბამბის ქარხნის ასამუშავებლად. ქარხანაში ყოველდღიურად იღებენ 500 ფუთ ნედლ ბამბას. 24 ნოემბრისათვის ნედლი ბამბა შეადგენდა 6.250 ფუთს. (ადს).

მანდარინების გატანა

ფოთი, 26 ნოემბერი. საზ. „ტრანსპორტი“-ს ფოთის კანტორამ შეთანხმება დასდო მიქელ-გაბრიელის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობასთან მოსკოვში 25 ვაგონი მანდარინის გაგზავნის შესახებ. პირველი პარტია—3 ვაგონი უკვე გაიგზავნა. (ადს).

ძირტკბილას ექსპორტი

ფოთი, 26 ნოემბერი. „მიანი“-ს ფირმის მიერ ინგლისის გემზე „რივიერ დრივრის“-ით ამერიკაში გაგზავნილ იქნა 2500 ტონა ძირტკბილა. (ადს)

მუშათა ბინები

ფოთი. 26 ნოემბერი. ნავთსადგურის სამმართველომ 4 სახლის ასაშენებლათ გადასდო 85.000 მანეთი. ორი სახლი უკვე შენდება. ორი დანარჩენ სახლის აშენებას ახლო მომავალში შეუდგებიან. (ადს)

ნავთსადგურის გაღრმავება

ფოთი, 26 ნოემბერი. მიმდინარე წელს მიწის მთხრელ მანქანების საშუალებით, ამოღებულ იქნა 36.000 კუბიკური საჟ. მიწა. წარმოებულ მუშაობის შედეგათ, ნავთსადგურში ეხლა შემოსვლა შეუძლიათ ღრმათ-ჩამჯდარ გემებსაც. (ადს).

კონკურსის შედეგები

ჭიათურა, 26 ნოემბერი. დასავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა კონკურსზე პირველი პრემია მიიღო კურსების ამხანაგობამ, რომელსაც მიეცა პრემია უპროცენტო სესხი 1.000 მან. 5 წლის ვადით და სამაგალითო ამხანაგობის მოწმობა. (ადს).

ტყის ხანძარი

თელავი, 26 ნოემბერი. კვლავ დაიწყო ტყის ხანძარი. იწვის შილდის ტყე. (ადს).

მძარცველთა შეპყრობა

თელავი, 25 ნოემბერი. შეიპყრეს ყვარელის საკრედიტო ამხანაგობის გამძარცველი 7 კაცი. მძარცველებმა გატეხეს სალარო და გაიტაცეს 1.800 მან.; მათ შორის რამდენიმე ადგილობრივი კულაკია. (ადს).

პროფაქტივის კურსები

თელავი, 26 ნოემბერი. სამაზრო ბიურომ გახსნა პროფაქტივის მოსამზადებელი სამთვიური კურსები. კურსებზე ჩაეწერა 20 კაცი. (ადს).

ვენახების აღდგენა

სიღნაღი, 26 ნოემბერი. ვენახების აღდგენა სიღნაღის მაზრაში გაცხოველებულ ტემპით სწარმოებს. იგეგმება 300 დესეტინა მიწა. დაუმყნელ ვაზების დარგვა აკრძალულია, გლეხები საკრედიტო კოოპერაციის საშუალებით იღებენ ამერიკულ ჯიშის ნამყენებს.

მაზრაში არის 4 სანერგე. (ადს)

ქოხ-სამკითხველო

სიღნაღი, 26 ნოემბერი. შესდგა მაზრის ქოხ-სამკითხველოების გამგეთა თათბირი. თათბირმა აღნიშნა, რომ გლეხობა ძლიერ ეტანება წიგნებსა და გაზეთებს (ადს).

აჭარისტანი

კრედიტი საბინაო მშენებლობაზე

ბათუმი, 26 ნოემბერი. ბათუმის კომუნალური ბანკის საკრედიტო გეგმით 1926—27 სამეურნეო წელში საბინაო მშენებლობაზე ბათუმში გაცემული იქნება 400.000 მან. (ადს).

ტელეფონიზაცია

ბათუმი, 26 ნოემბერი. დასრულდა ტელეფონის ხაზის გაყვანა ბათუმსა და აჭარის მსხვილ სამაზრო ცენტრებს შორის, როგორიც მაგალ., ქედა, ხულო, აჭარისწყალი, მახუნცეთი. წყალთი, მერისი, გონი და სხ. ტელეფონით დაქსელილია სულ 20 პუნქტი. ამ დღეებში მოხდება საქალაქთაშორისო სადგურის საზეიმო გახსნა. (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

დაწესებულებების გაეროვნება

ცხინვალი. 26 ნოემბერი. სამხრეთ-ოსეთის მხარეთ-მცოდნეობის საზოგადოება შეუდგა სახელმწიფო დაწესებულებებში ოსური ენის შემოღების გარშემო მუშაობას. განზრახულია დაწესებულებების თანდათანი გაეროვნება. (ადს).

ჯავის ბაზრობა

ცხინვალი, 26 ნოემბერი. დეკემბრის თვეში ჯავაში გაიხსნება მუდმივი ბაზრობა, რომელიც ყოველკვირეულად იწარმოებს. ჯავა წარმოადგენს მთიანი ოსეთის ცენტრალურ პუნქტს, ამიტომ ბაზრობას ექნება დიდი მნიშვნელობა საქონლითა და რძის ნაწარმ[illegible]ხისათვის. (ადს).

წერილები

ვინ ამჟღავნებს ფსევდონიმებს

გლეხკორების დევნა ახალი ამბავი არაა. იშვიათია ისეთი შეგნებული მოქალაქე, რომელიც კორესპონდენტის საქმიან შენიშვნას ან სამართლიან ბრალდებას გულგრილათ ხვდება და ცდილობს მომავალში მაინც გამოასწოროს მითითებული ნაკლი. უმეტეს შემთხვევაში კორესპონდენტების მიერ მზის სინათლეზე გამოყვანილი პირები თავიანთ ნაკლის გამოსწორებაზე კი არ ფიქრობენ, ისინი მაშინვე დამწერის ვინაობის გამოკვლევას იწყებენ.

ვინ იცის აქ რანაირ ხრიკებს არ მიმართავენ. გაოცებას იწვევს მათი ფანდები, რომ როგორმე გამოაშკარაონ კორესპონდენტის ვინაობა. ხშირად ეს მათ კიდევაც ეხერხებათ. რედაქცია [illegible] იცავს ფსევდონიმის საიდუმლოებას. აქედან დაინტერესებული პირი ვერაფერს წაიღებს. მაშ საიდან უნდა გამოაშკარავდეს დამწერის ვინაობა?

ფსევდონიმის საიდუმლოება იცის მხოლოდ რედაქციამ და თვით კორესპონდენტმა. ცხადია დაინტერესებულ პირმა ერთის ან მეორის საშუალებით უნდა გაიგოს დამწერის ვინაობა. სხვა წყარო მას არა აქვს. და, როცა საკითხი ასე ისმება, გულახდილად უნდა განვაცხადოთ, რომ დამნაშავე აქ თითქმის ყოველთვის თვით კორესპონდენტებია.

ბევრ გლეხკორს, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც ახლად იწყებს წერას, ესახელება, როცა მისი ნაწერი გაზეთში იბეჭდება. ეს გრძნობა ბუნებრივია და წამახალისებელია, მაგრამ ამ სიხარულმა გლეხკორი იმდენად არ უნდა გაიტაცოს, რომ ფსევდონიმის საიდუმლოების გამომჟღავნებამდე მიიყვანოს. ეს კი ხშირათ ასე ხდება. გლეხკორი თითქოს საიდუმლოთ თავის ახლობლებს უმხელს, რომ წერილის ავტორი ისაა, ახლობლები თავის ახლობლებს ანდობენ საიდუმლოებას და ამნაირათ საიდუმლოება აშკარავდება.

ამიტომ ხდება, რომ საპასუხო წერილში, რომელიც რედაქციას მოსდის გლეხკორის კორესპონდენციებზე, ხშირად მოყვანილია არა მარტო დამწერის ვინაობა, არამედ მისი სრული ბიოგრაფიაც. რასაკვირველია, ეს ბიოგრაფია ყოველთვის გამანადგურებელია გლეხკორისათვის, რადგან ეს ასე სჭირდება მოწინააღმდეგეს. ამასთან ერთად ადგილობრივ იქმნება გამომჟღავნებულ გლეხკორის დევნა. ხშირად პრესაში გამათრახებული პირები, იმისათვის, რომ დაიტყუონ დამწერის საიდუმლოება, რედაქციის ავტორიტეტსაც იშველიებენ. ისინი ამბობენ, რომ რედაქციამ აცნობა მათ გლეხკორის ვინაობა და ნება დართო, პასუხი აგებინოს კორესპონდენტს წერილის მოთავსებისათვის. ზოგიერთები ამ ანკესზე მართლაც ეგებიან.

აქედან დასკვნა ერთია, რომ გლეხკორის საიდუმლოება სრული სიმტკიცით იქნას დაცული. საჭიროა თვით კორესპონდენციის დამწერმა იზრუნოს ამაზე. არავის უფლება არა აქვს მოსთხოვოს გლეხკორს ფსევდონიმის გამომჟღავნება. ამიტომ გლეხკორი[illegible] ეცადოს არავის გაანდოს თავისი საიდუმლოება.

ა. ბ—ლი.

გზა უნდა გვქონდეს

(ლეჩხუმი)

სავალდებულო საგზაო ბეგარის პრაქტიკულათ გამოყენების მიზნით, მიმდინარე ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში, ლეჩხუმის სამაზრო-აღმასკომმა გადასწყვიტა მძიმე საქმის შესრულება; ორბელ-ცაგერის მიმართულებით გზატკეცილის გაყვანა.

ლეჩხუმის მაზრის გლეხობა თავიდანვე გრძნობდა სამაზრო ცენტრ ცაგერში გზის შემოყვანის აუცილებლობას და მის ეკონომიურ მნიშვნელობას. ის ყოველთვის მზად იყო ამ საქმისათვის არ დაეზოგა შრომა, მაგრამ თავიდანვე მოკლებული იყო პრაქტიკულ ხელმძღვანელობას; თუმცა სცადეს სხვადასხვა მიმართულებით გზის შემოყვანა, ზოგან ბევრი შრომაც გასწიეს, მაგრამ ცდას შედეგი არ გამოუღია.

რადგან გზა-ტკეცილების სამმართველომ ვერ იკისრა ლეჩხუმში გზის გაყვანა, მაზრაღმასკომმა შეისწავლა ის, თუ შრომის ბეგარით და ადგილობრივი საშუალებით, რომელი მიმართულებით უფრო იოლათ შესძლებდა გზის შემოყვანას. ამასთანავე ერთად ანგარიში გაეწია იმასაც, თუ, რომელ მიმართულებას, ამ პირობებთან შეფარდებით ექნებოდა მეტი ეკონომიურ-პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც მაზრის, ისე რესპუბლიკის მასშტაბით.

სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით, გზა-ტკეცილების სამმართველოს მიერ მოვლინებულ ტეხნიკურ გამომკვლევ კომისიასა და ინსპექციასთან შეთანხმებით—ყველა ზემორე მოხსენებულ პირობების გათვალისწინებით, უპირატესობა ორბელ-ცაგერის მიმართულებას მიეცა.

გლეხკაცობა ერთსულოვნად გამოვიდა სამუშაოდ. მაზრის ყველა დაშორებულ კუთხეებიდან, ისეთ კუთხეებიდან, რომელთაც იძულებით გამოყენება არ შეეხებოდათ, იყვნენ სამუშაოზე: ქვემო-სვანეთი, ოყურეში, ზუბი, ნაკურალეში, ჰერბალო და სხვები. გზის გასაკეთებლათ მოხალისე მშრომელთა რაზმები წითელი დროშებით მოაწყდა სამუშაოებს. ახლო-მახლო თემების გლეხობამ თავის სურვილით იმუშავა ხუთმეტ- ხუთმეტი დღე—ეს იმ დროს, როდესაც მათ შეეძლოთ თვითოეულს ხუთ დღეზე მეტი არ ემუშავათ, თანახმად შრომის ბეგარის დეკრეტისა.

ამით აიხსნება, რომ ორი—სამი თვის განმავლობაში უდიდესი სამუშაო იქნა შესრულებული.

გზა თითქმის დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მას ბევრი რამ აკლია. მაზრას ფინანსიური დახმარება სჭირდება. სამაზრო აღმასკომს გამოლეულია ყველა საშუალებები.

გზა-ტკეცილების სამმართველომ და ტეხნიკურმა ხელისუფლებამ ამას ყურადღება უნდა მიაქციონ და გაიღონ თავიანთი წვლილი ჩამორჩენილ, ღარიბ მაზრისათვის.

ამ გზას ექნება არა მარტო სამაზრო-ეკონომიური, არამედ ფართო სახელმწიფო სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

ორ. ქურასბედიანი.

ჩემი წინადადება

(გაზეთის გავრცელების შესახებ)

ჩვენში ბევრია ისეთი სოფლები, რომელნიც სრულიად მოკლებულნი არიან გაზეთებს. ამის გამო სათანადო ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რათა მივარდნილი კუთხეები არ დარჩეს უგაზეთოთ. ჯერ კიდევ ბევრი სოფელია ისეთი, სადაც ქოხ-სამკითხველო სრულებით არ არსებობს. მაშასადამე, გლეხს არ შეუძლია მიიღოს გაზეთი ქოხ-სამკითხველოდან. მართალია, ზოგიერთ სოფლებში არის დანიშნული მფრინავი ფოსტა, მაგრამ თითეულ ოჯახში მისვლას ფოსტალიონი ვერ მოასწრებს.

ჩემის აზრით უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ ყოველ მივარდნილ თემში დაინიშნოს მფრინავი ფოსტა, რომელსაც ექნება თემში შემავალ თითეულ სოფელში პუნქტი, პუნქტი კი უნდა ანაწილებდეს ხელისმომწერთა შორის როგორც გაზეთებს, ისე ამანათებს. სოფლად ასეთის მოწყობა უნდა იკისროს კულტურულ-განმანათლებელ სექციამ, რასაკვირველია უსასყიდლოდ. ეს ზნეობრივი მოვალეობაა ყველა მოწინავე ამხანაგის.

მოვიყვან მაგალითს ასეთი მფრინავი ფოსტის მუშაობიდან. ზემო-ქალადიდი არის სენაკის მაზრა, რომელიც დაშორებულია სენაკს 15 ვერსის მანძილზე. მისვლა-მოსვლა, თუ ცხენით არა, შეუძლებელია უგზოობისა გამო. ამ თემში გაზეთი ახალი ხილი იყო. სენაკის ფოსტის უფროსმა დანიშნა ასეთ მივარდნილ კუთხეებში მფრინავი ფოსტა, რომელიც კვირაში სამჯერ ჩამოდის, გადასცემს თემში არსებულ პუნქტებს ამანათებს, და პუნქტებიდან კი ღებულობს გასაგზავნ ამანათებს.

ერთ-ერთ ასეთს პუნქტს განაგებს თვით ამ სტრიქონების დამწერი და შედეგიც დამაკმაყოფილებელია: გაზეთის ხელისმომწერთა რიცხვი მატულობს და გაზეთებს ხელისმომწერნი უკლებლივ ღებულობენ.

პ. ჯვარიშვილი.

წერილებიდან

ძევის თ. (გორის მ.)

სწავლა ფერხდება. აქაურ სასწავლებელში 120 მოწაფეს ასწავლის ერთი მასწავლებელი. ადვილი წარმოსადგენია, როგორ უნდა მიმდინარეობდეს სწავლის საქმე. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და ჩვენი თემის ბავშვებს რამდენადმე მაინც ნორმალური სწავლის საშუალება მიეცეს.

ეკალი.

აბასთუმანი (ზუგდ. მ.)

ზუგდიდზე მოწყვეტილი ვართ. ჩვენს თემსა და ქალ. ზუგდიდის შორის ჩაივლის მდ. ჯუმი, რომელზედაც უკვე კარგა ხანია ხიდი აღარაა. წყლის ადიდების დროს გლეხობა ვერ გადის მდინარეში და რამდენიმე დღეობით უხდება ლოდინი, სანამ წყალი დაიკლებს. ერთხელ გაზეთშიაც დაიწერა ამ საკითხზე. ამან ცოტა გამოაფხიზლა აღმასკომი. მაგრამ საქმე ისევ დავიწყებას მიეცა. სანამდე უნდა დარჩეს მთელი ჩვენი კუთხე მაზრის ცენტრზე მოწყვეტილი?

ალიკო.

ს. კაკაბეთი (სიღნ. მ.)

სამიკიტნო ხელს გვიშლის. როგორც იქნა ჩვენი თემი ეღირსა შრომის მოყვარულ და კეთილსინდისიერ ექიმს მირიანაშვილს, მაგრამ საქმეს ხელს უშლის სამიკიტნო, რომელიც სამკურნალოს ქვეშაა მოთავსებული. ნიადაგ დღე მთვრალების ხმაურობა და უწმაწური ყვირილია აქ. ავადმყოფების მიღება-გასინჯვას ეს მეტად ხელს უშლის.

ელდა.

მუშათა ცხოვრება

სოფლის მუშაკებმა რა დააშავეს

ა.-წ. პირველ ოქტომბრიდან საქ. მედსანშრომის კავშირის ცენტრალური გამგეობის მიერ ჯ. ს. კ. სამხედაკრობის სამმართველოსთან დადებულია ახალი კოლ-ხელშეკრულება. ამ ახალი კოლ-ხელშეკრულებით ცენტრში მომუშავე ფარმაცევტების (თბილისში) ხელფასი გათანასწორებულია მაზრის ქალაქებში მომუშავე ფარმაცევტების ხელფასთან. ქალაქის აფთიაქებში მომუშავე ფარმაცევტებისათვის დაწესებულია სხვა განაკვეთი—პირველ თანრიგით 17 მანეთი, სოფლად მომუშავეებისათვის კი—16 მან. მე-12 ხარისხით ქალაქში მომუშავე ფარმაცევტი მიიღებს 85 მანეთს თვეში, სოფლის მომუშავე კი 80 მან. ეს მცირე განსხვავებაა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში კატეგორიების მიკუთვნების სხვადასხვაობას, მაშინ საგრძნობ განსხვავებას ექნება ადგილი.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ახალი კოლ-ხელშეკრულების დადებით სოფლად მომუშავე ფარმაცევტების ხელფასი აუცილებლად გათანასწორებული იქნებოდა ქალაქის აფთიაქებში მომუშავე ამხანაგების ხელფასთან და მასთან მხედველობაში იქნებოდა მიღებული სოფლად მუშაობის განსაკუთრებული პირობები. მაგრამ ასე არ მოხდა და როდესაც სოფლის აფთიაქის გამგეს აკუთვნებენ მე-13-ტე კატეგ. ჯამაგირს, მაშინ მხედველობაში არ ღებულობენ იმას, თუ რა და რა მოვალეობას ასრულებს სოფლის აფთიაქის ფარმაცევტი გამგის სახელწოდებით. ის (გამგე) არის ერთ და იმავე დროს რეცეპტორი (რეცეპტების მიმღები და შემფასებელი), ასისტენტი (წამლების დამამზადებელი) მოლარე და მოანგარიშე, რომელიც აწარმოებს როგორც ფულადი შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს, ისე მედსაქონლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას. ასეთ მუშაობას აწარმოებს სოფლის აფთიაქის გამგე ყოველ დღე. მისთვის არ არსებობს 6 და 8 საათის სამუშაო დღე და არც კვირაში ერთი დღე დასასვენებლად.

ვიმედოვნებთ, რომ მედსანშრომის კავშირის ცენტრ. გამგეობა, რომელიც ვალდებულია ერთნაირად დაიცვას კავშირის წევრთა ინტერესები როგორც ქალაქში, ისე სოფლად, გადასინჯავს ამ ახალ კოლ-ხელშეკრულებას და შეასწორებს დაშვებულ შეცდომებს. კოლ-ხელშეკრულების გადასინჯვის დროს აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული—მომუშავეს თანამდებობა, სტაჟი—კვალიფიკაცია და მუშაობის პირობები.

გ. ჩ—ძე.

სენაკის კლუბის გამგეობის არჩევა

(სენაკელი მუშკორისაგან)

10 ნოემბერს მოხდა კლუბის გამგეობის არჩევნები. არჩევნებზე გამოცხადდა წევრთა დიდი უმრავლესობა. თავმჯდომარეობდა პ. ჩარგაზია, მდივნობდა ბ. ურანეიშვილი. კრებამ მოისმინა გამგეობის სახელით ამხ. ვ. ნადარეიშვილის მოხსენება კლუბის გამგეობის მუშაობის შესახებ და სარევიზიო კომისიის სახელით ამხ. ი. ნორაკიძის მოხსენება. მოხსენებიდან გამოირკვა კლუბის უმწეო ფინანსიური მდგომარეობა და ამავე დროს საკლუბო მუშაობის სისუსტე. კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდნენ გამგეობის სუსტ მუშაობას. მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულ იქნა გამგეობის სუსტი მუშაობა.

ბოლოს მოხდა გამგეობის არჩევნები. გამგეობაში აირჩიეს შემდეგი ამხანაგი: პ. ჩარგაზია, ბ. ურანეიშვილი, გრ. გეგენავა, აკ. დგებუაძე, ის. კიზირია, აკ. ბოლათურია, ბ. კიზირია.

სარევიზიო კომისიაში კი—ი. ცომაია, პ. ხვღოვა და ლ. ჟუნდუა.

მუშკორი ბანი.

სენაკის მუშკორებში

17 ნოემბერს, სენაკის მუშათა კლუბში მოხდა სენაკის მუშკორების საზოგადო კრება. კრებას დაესწრნენ ყველა მუშკორები.

დღიურ წესრიგში იყო: 1. მუშკორთა წრის დაარსება; 2. კედლის გაზეთის „გრდემლის“ რედკოლეგიის არჩევა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად საჭიროდ სცნო მუშკორთა წრის ჩამოყალიბება, მათი ახალი აღრიცხვის მოხდენა და სისტემატიური მუშაობის დაწყება.

შემდეგ არჩეულ იქნა „გრდემლი“-ს რედკოლეგია სამი ამხანაგისაგან. არჩეულ იქნენ ბ. ურანეიშვილი, აკ. დგებუაძე და აკ. აბულაძე.

დადგენილ იქნა გაზეთი გამოიცეს თვეში ერთხელ გაუმჯობესებული ფორმით და შინაარსით.

ბანი.

დავეხმაროთ მუშათა კლუბის გახსნაში

ქუთაისის სამაზრო საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პ.-კავშირი ქალაქის მასშტაბით აერთიანებს კავშირის რამოდენიმე ათის წევრს. ამიტომ თანახმად საქართველოს პროფსაბჭოს მე-2 პლენუმის დადგენილებისა (იმ კავშირებს, რომელთაც ჰყავთ არა ნაკლები 500 წევრისა, უფლება ეძლევათ საკუთარი კლუბის გახსნისა).

საკუთარი კლუბის გახსნის არ გახსნის საკითხი კავშირის ქუთ. მაზრ-განყოფილებამ გაიტანა თავის საკავშირო მასის საერთო კრებებზე. უკანასკნელნი კი არა მარტო ერთსულოვნობას გამოსთქვამდნენ საკუთარი კლუბის გახსნის შესახებ, არამედ პირდაპირ სთხოვდნენ კავშირის გამგეობას, რათა დაჩქარებით ყოფილიყო მოწყობილი საკუთარი კლუბი. ასეთ მასიურ მოთხოვნილებაზე კავშირის გამგეობას არ შეეძლო არ მიექცია ჯეროვანი ყურადღება და კიდევაც იქნა გადადგმული სათანადო ნაბიჯი. ამისათვის კავშირის გამგეობამ გამონახა სათანადო და შესაფერი ბინა ქუთაისის ცენტრში და შეისყიდა კლუბის საჭირო ინვენტარი.

თავის თავად ცხადია, ასეთ დიდ საქმისათვის, (როგორიცაა დიდი კავშ.-ის ყოველგვარ კულტ. მუშაობა იწარმოებს კლუბის ფარგლებში). კლუბს ესაჭიროება განსაკუთრებული სახსარი მაგრამ ჯერ-ჯერობით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კლუბის მოწყობას განსაკუთრებული ენერგიით ემხარება ქუთაისის მუშკოოპის გამგეობა და „ცეტეუ“; პირველმა ყოფილ კოოპერატივის კლუბის ყოველგვარი ინვენტარი და შენობა დაუთმო ჩვენი კავშირის ქუთ. მაზრ-განყოფილებას დაკლებულ ფასებში. „ცეტეუ“-მაც თვის წვლილიც გაიღო და მომავალში იმედებსაც იძლევა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია.

კავშირის გამგეობა დარწმუნებულია, რომ ქუთაისის სხვა სამეურნეო ორგანოებიც სათანადო დახმარებას გაუწევენ საბჭოთა მუშაკების პ.-კავშირის ქუთაისის კლუბის მოწყობის საკითხში სათანადო მატერიალურ დახმარებით.

ეს კლუბი ემსახურება ათასეულ კავშირის წევრების სასარგებლოდ და იქნება მოწოდებული მათ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

დარწმუნებული ვართ, რომ ქუთაისის საბჭოთა მუშაკების პ.-კავშირის გამგეობამ განსაკუთრებულ ხელმძღვანელობას გაუწევს ამ დიად საქმის მოგვარებაში და ჩვენი კავშირის ცენტრალური გამგეობა, როგორც საერთო ხელმძღვანელი ჩვენი კავშირისა, თავის წვლილს გაიღებს ქუთაისელ ათასეულ კავშირის წევრების სურვილის დასაკმაყოფილებლად.

ხმეული.

ოჯახური საღამო არსენალში

ამ დღეებში არსენალის წითელ კულტ-კუთხის შენობაში არსენალის მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრებისათვის (უფასოდ) ადგილობრივ დრამატიულ წრის მიერ ამხ. ვ. მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით ქართულ ენაზე წარმოდგენილ იქნა პიესა „ბატონი დუმა“. მოთამაშეთ ეს პიესა ცოცხლად და დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს.

შემდეგ რუსულ ენაზე „ცოცხალი გაზეთი“-ს მიერ ნაჩვენები იქნა რამოდენიმე ცოცხალი სურათი.

წარმოდგენას დაესწრნენ მუშები და მათი ოჯახის წევრები.

შ. ილ—ვი.

მუშათა წერილებიდან

— **ასე ემუქრება.** ქ. ქუთაისში მესამე „ინტერნაციონალის“ ქუჩაზე სწარმოებს ყოველგვარი მოძრაობა სადგურამდე. ეს კი ტეხნიკურად მოუხერხებელია, რადგანაც ქუჩა პატარაა. აქვეა ბალახვანის ქუჩა, რომლის გაფართოება სხვადასხვა საშუალებებით შესაძლოა. „ინტერნაციონალის“ ქუჩიდან მოძრაობის გადატანა შესაძლებელია. მით უმეტეს, რომ აქ არსებობს მრავალი ქარხნები, რომელნიც დაახლოვებული არიან ამ სადგურთან.

ქუთაისის აღმასკომი, ბალახვანის ქუჩის გაფართოება შესაძლებელია არა ნაკლებ 6-8 საჟენით, რასაც ყურადღება დროზე უნდა მიექცეს.

მუშკორი ქუთაისელი.

— **მუშათა ახალ კლუბში.** 17 ნოემბერს მუშათა ახალ კლუბში რკინის გზის სანგანათლების მოძრავი თეატრის მიერ გაიმართა კისელიევის სანიტარული ლიტერატურული გასამართლება. კისელიევს ბრალად ედება სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების დაუცველობა და ცოლისთვის ავადმყოფობის შეჭყრა. გასამართლებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მუშებში და მრავალი მუშებიც დაესწრნენ.

ასეთ გასამართლებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ლოთობის, მეძაობის და სხ. მავნე სენთა მოსპობაში. ამიტომ საჭიროა ხშირად მოეწყოს ასეთი ლიტერატურული-ჰიგიენური გასამართლებები.

მუშკორი გ. აფხაზავა.

მუშათა ქრონიკა

— **კინო-სურათი.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ საჭიროდ აღიარა, რათა სისტემატიურად გაშვებულ იქნეს კინო-სურათი უფასოდ მუშებისათვის.

— **საყვედური.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა გამოუცხადა საყვედური იმ დელეგატებს, რომლებიც სისტემატიურად არ ესწრებიან დელეგატურ სხდომებს.

— **კავშირში მიღება.** დეპოს ადგილკომმა ამ დღეებში კავშირში მიიღო 29 კაცი.

— **შესაკეთებლად.** ბაქოს საუბნო კომიტეტმა გადასდო 600 მან. ბალაჯარის კლუბის შესაკეთებლად.

— **ფიზკულტურის წრე.** სადგ. გურჯაანის კლუბის გამგეობამ დაარსა ფიზკულტურის წრე ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეების შვილებისათვის.

— **42 საათის დასვენება.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა ეთხოვოს სათანადო ორგანოს, რათა ცხოვრებაში გატარდეს 42 საათის დასვენების წესი.

— **სპეცტანისამოსი მუშებისათვის.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა ეთხოვოს უბკავშირს, რათა დროზე მოგვარდეს სპეცტანისამოსის დარიგების საკითხი.

ქვა-ნახშირის წარმოების რაციონალიზაცია

ინჟ. დ. ყიფიანის გამოგონება

ბრიკეტების წარმოება საქართველოში.—წარმოების მოსაწყობათ 200.000 მ. ნაცვლად დაიხარჯა რამდენიმე ათასი მანეთი.—ახლო ხანში დღიურათ დამზადებული იქნება 2.000 ბრიკეტი.—ტყიბულის მაღაროების წლიური შემოსავალი გაიზრდება 30.000 მანეთით.

ს. მ. უ. ს. სათბობი განყოფილების ინჟინერმა **დან. ყიფიანმა** გამოიგონა ქვა-ნახშირის მტვერისაგან განსაკუთრებული სათბობი მასალის (ბრიკეტების) დამზადების ახალი საშუალება.

ბრიკეტების დამზადების საკითხი ქვა-ნახშირის ფხვნილისაგან ახალი საკითხი არ არის. ბრიკეტებს ამზადებენ საზღვარგარედ და ომამდე ამზადებდნენ რუსეთშიაც, სპეციალურ ქარხნებში. თითეული ასეთი ქარხნის აგება დაახლოვებით ჯდება 200.000 მანეთი.

ამ სამი წლის წინედ ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოების რაციონალიზაციის საკითხი ფართოთ იქნა დაყენებული სახელმწიფო სათბობის სამმართველოს მიერ. დაარსებული იქნა სპეციალისტების კომისია, რომელთაც უნდა მოეგვარებიათ ეს საკითხები. პირველი ამოცანა იყო ნახშირის ფხვნილის გამდიდრება, მეორე—ნახშირის მტვერისაგან ბრიკეტების დამზადება და მესამე—კოქსის მიღება. ყველა ამ საკითხების გადასაჭრელად მოწვეული იქნენ საზღვარგარეთიდან სპეციალისტები სათანადო გეგმების შესადგენად. გადაწყვეტილი იქნა აეგოთ ბრიკეტების დასამზადებელი ქარხანა ე. წ. გაუმდიდრებელი ნახშირის ფხვნილისაგან. შემდეგ, პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ასეთი ბრიკეტების დამზადება შეუძლებელია.

შარშან ინჟ. **ყიფიანმა** გამოიგონა ნახშირის გამდიდრების ახალი სისტემა გარეცხვის საშუალებით. ამ სისტემის შემოღების შემდეგ ფხვნილ ნახშირში ნაცრიანობამ დაიწია 11 პროცენტამდე.

დღემდე ტყიბულის მაღაროებში ნახშირის მტვერს ვერ იყენებდნენ და იგი უმიზნოდ იფანტებოდა. ამ სამი თვის წინედ ინჟ. ყიფიანმა დაიწყო ცდები ნახშირის ფხვნილისაგან ბრიკეტების დასამზადებლად ახალი სისტემით. ამისათვის შემუშავებულ იქნა წყლით მამოძრავებელი წნეხის (პრესი) პროექტი. პროექტის პრაქტიკული შესრულება და წნეხის აგება მიენდო მაღაროების მექანიკოს **ი. ფოფხაძეს**.

ახალი მოწყობილობების დამზადება დაჯდა მხოლოდ რამდენიმე ათასი მანეთი, ხოლო გერმანული ერთი ფირმის წინადადებით, საბრიკეტე ქარხნის აგება ჯდებოდა 200.000 მანეთამდე.

გარდა ამისა მიღებულია დიდი ეკონომია: უსარგებლო ფხვნილი, რომელიც დღემდე იყრებოდა, დღეიდან გამოყენებული იქნება და დამზადებული ბრიკეტების გაყიდვით მაღაროების ყოველწლიური შემოსავალი მოიმატებს 30.000 მანეთით.

ინჟ. ყიფიანის სისტემით უკვე დაიწყო მუშაობა და დღიურად ტყიბულის მაღაროებში ნახშირის უსარგებლო ფხვნილისაგან ამზადებენ 800 ფუთამდე ბრიკეტს. მომავალში პროდუქციის აყვანა შეიძლება 2.000 ფუთამდე დღეში.

ახალი სისტემით დამზადებული ბრიკეტების პირველმა გამოცდამ, როგორც ტყიბულში, ისე თბილისში მეტად კარგი შედეგები გამოიღო. ბრიკეტების გამოსაცდელად და ახალი სისტემის შესასწავლად არჩეულ იქნა საგანგებო კომისია სპეციალისტებისაგან, რომელმაც აღნიშნული გამოგონება სცნო მეტად რაციონალურად და მიზანშეწონილად. ბრიკეტების თბობის უნარიანობა უდრის 6.840 კალორიას, ნაცრიანობა 13.76 პროცენტს. ანგარიშით ერთი ფუთი ბრიკეტი უდრის ორ ფუთ საუკეთესო ხარისხის შეშას.

ამგვარად, ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოების რაციონალიზაციის საკითხი უკვე გადაწყვეტილ იქნა მაღაროების ფარგლებში. ბრიკეტების რეგულიარული წარმოება და მისი ბაზარზე გატანა დაიწყება დეკემბრის პირველი რიცხვებიდან.

ამნაირად, ინჟ. ყიფიანის გამოგონების წყალობით, ტყიბულის მაღაროების პროდუქცია ჩაითვლება საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ საუკეთესო პროდუქციათ, ვინაიდან იქ დამზადებული სათბობი მასალა პირველხარისხოვანი იქნება.

რიონის ჰიდრო-ელსადგური

(საუბარი ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე — ბ. ჭიჭინაძესთან)

ამას წინეთ ზაჰესის ნაგებობათა შესამოწმებლათ თბილისში ჩამოვიდა ცნობილი პროფესორი ბ. ვიდენეევი და საგვირაბო საქმის სპეციალისტი პროფ. ა. პასეკი, რომელნიც ჩემთან, ინჟ. მელიქფაშაევთან და ტიმოფეევთან ერთად გაემგზავრენ რიონის ჰიდრო - ელსადგურის ასაგებ ადგილის დასათვალიერებლათ და საამისოთ შედგენილ პროექტების განსახილველად.

აღნიშნული კომისია 24 ნოემბერს შეუდგა მუშაობას ადგილობრივ და გამოაკვლია წყალწითელასა და რიონს შორის ასაგებ სადგურის ტერიტორია.

პროფ. ვედენეევის დასკვნით, ახალი სადგური აგებულ იქნება ფრიად მოხერხებულ ადგილს და შესაფერ ბუნებრივ პირობებში. მთავარ ჯებირსა და მთავარი არხის გვირაბს შორის ნიადაგი ძლიერ კარგია.

რიონის ჰიდრო - ელსადგურის პროექტი, რომელიც დაამუშავა ს. მ. უ. ს.-თან არსებულმა ფერო-მარგანეცის კომისიამ, ვედენეევის აზრით, დაწვრილებით და სწორათაა შედგენილი.

კომისიამ მოახდინა აგრეთვე სადგურის ასაგებ ტერიტორიის შესწავლა სატრანსპორტო პირობების თვალსაზრისით. ეს პირობა კომისიის აზრით, შესანიშნავათაა დაცული, ვინაიდან სადგურის ახლოს იქნება ა.-კ. რკ. გზის მთავარი მაგისტრალი,, ტყიბულის რკ. გზა და სამი კარგი გზა-ტკეცილი: სამხრეთ-ოსეთის, გელათის და ქუთაის - ბაღდადის გზატკეცილები.

ჩატარებულ გამოკვლევების შედეგათ პროფ. ვედენეევმა დაასკვნა, რომ ქალ. ქუთაისის ახლო სადგურის აგება და იშვიათად ხელსაყრელი ბუნებრივი და სატრანსპორტო შესაძლებლობანი (საამშენებლო მასალების მოზიდვის გაადვილება) ქმნიან სადგურის ასაგებათ განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს.

ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. კაკაბაძემ რომელიც დაესწრო კომისიის მუშაობას, განაცხადა, რომ აღმასკომი ყოველგვარ დახმარებას გაუწევს სადგურის აგების საქმეს სატეხნიკო პერსონალისათვის, ქალაქში ბინების მიცემით, სამუშაოთა ადგილზე სურსათ - სანოვაგის მოზიდვით, საექიმო დახმარებით, კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობით და სხვა.

კომისიის მიერ გაკეთებულ მოხსენებას დაესწრნენ ქუთაისის აღმასკომის, სატეხნიკო ძალთა და პარტორგანიზაციების წარმომადგენლები. პროფ. ვედენეევმა და პროფ. პასეკმა გაუზიარეს თავიანთი შეხედულება დამსწრეებს და განაცხადეს, რომ ამ სადგურის აგება დიდმნიშვნელოვანია, არა მარტო საქართველოს და ამიერ - კავკასიის მასშტაბით, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ქუთაისიდან პროფ. ვედენეევი და პროფ. პასეკი გაემგზავრენ აჭარისტანში აჭარის ჰიდრო - ელსადგურის სამუშაოთა დასათვალიერებლად.

ყარაიას არხი

გასულ წელს ყარაიას რაიონში ბამბის ნათესებისათვის საჭირო რაოდენობით ვერ იქნა მიწოდებული წყალი ამ ნათესების მოსარწყავად; ამის გამო, ბამბის მოსავალი შემცირდა 40—50 პროც.-ით, ზოგან კი სრულიად გაფუჭდა, რასაც შედეგათ მოჰყვა გლეხებზე გაცემულ ავანსების გაუნაღდებლობა.

ამ საკითხის მოსაწესრიგებლად საგეგმო კომისიაში მოწვეული იქნა დაინტერესებულ, უწყებათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც გამოირკვა შემდეგი:

ყარაიაში არსებობს საუკეთესო სარწყავი არხი, რომელმაც საკმაო წყალი უნდა მიაწოდოს 10.000 დესეტინა ბამბის ნათესებს, მაგრამ ამჟამად ეს არხი არაა ნორმალურ მდგომარეობაში.

არხის მთავარი დეფექტია: დანგრეულია არხის სათავე, რომელიც წყალს იღებს მტკვრიდან. 1924 წელში მთავრობის მიერ გაღებული იყო 45.00 მანეთი სათავის შესაკეთებლად, მაგრამ აქედან მხოლოდ 12.000 მანეთი იქნა გამოყენებული დანიშნულებისამებრ; დანარჩენი ფულიდან 21.000 მანეთი მიეცა სესხად მოსახლეობას მთავარ არხის გასაწმენდათ და წყალსავარდნის შესაკეთებლად, 6.000 მანეთი დაიხარჯა არა დანიშნულებისამებრ, 6.000 მანეთი კი ამჟამად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელშია.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, არხის შეკეთებას დასჭირდება არა ნაკლებ 150.000 მანეთისა, რომელიც გადადებული უნდა იქნეს ა.-წ. 10 დეკემბრამდე. თათბირმა დაადგინა გამოინახოს ეს თანხა და ის აზრი გამოსთქვა, რომ ყარაიას არხი გადაეცეს ერთ რომელიმე ორგანიზაციას, რადგან არხს ამჟამად რამოდენიმე მფლობელი ჰყავს; ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი წყალთა ამხანაგობების დაარსება, რომლებსაც უნდა გადაეცეს ფორმალურად ეს არხი.

მეთამბაქოეები აფხაზეთში

თამბაქოს დამზადების კამპანიის წინ

აფხაზეთის ყველა პლანტატორებმა დაამთავრეს წლევანდელი თამბაქოს მოწევა. ზოგან დაიწყო თამბაქოს კონებად შეკვრა. დეკემბრიდან დაიწყება წლევანდელი მოსავლის მასიური დამზადება.

აფხაზეთის თამბაქოს პლანტატორების უმრავლესობა გაერთიანებულია მეთამბაქოების კოოპერატიულ კავშირში, რომელიც თავის წევრებს ყოველწლიურად აძლევს ავანსებსა და სესხს. კავშირში შემავალი წევრები ვალდებულნი არიან თავის ნაწარმოები დაამზადონ კავშირისათვის, რომელიც თამბაქოს ასაღებს საკომისიო პირობებში,—გლეხობის მონაწილეობით მოგებაში. უკანასკნელ ხანებში მეთამბაქოების კოოპერატიულმა კავშირმა დაამთავრა თავის წევრებისათვის სესხის მიცემა. სულ დარიგებულია 2 მილიონი მანეთი.

ბეკონის ქარხანა

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით პირველი ბეკონის ქარხანა საქართველოში აგებული იქნება წინასწარი გამოანგარიშებით ქარხნის ნაყოფიერება იქნება 600 დამარილებული ღორის პორცი.

დიდი მოთხოვნილება არის ბეკონზე (ბეკონი არის ერთგვარი წესით დამზადებული ღორის ხორცი) ინგლისის ახალშენების მხრით, რომელნიც მდებარეობენ ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე და ზოგიერთ კუნძულებზე (როდოსზე, მალტაზე და სხვა) ქართულ ბეკონს შეუძლია დიდი ბაზარი მოიპოვოს ამ კუნძულზე.

საბეკონო საქმის წარმატებით დასაყენებლად საქართველოში განზრახულია ჯიშიანი ღორების შემოყვანა უცხოეთიდან, ადგილობრივი ღორების ჯიშის გაუმჯობესება, საბეკონო ბაზრის შესწავლა ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე.

ყრილობები

შემუშავებულია პროფკავშირების რესპუბლიკანურ ყრილობების მოწვევის ვადა. ზოგიერთმა პროფკავშირებმა უკვე ჩაატარეს ყრილობები, დანარჩენების მიერ მოწვეული იქნება შემდეგ თვეებში:

დეკემბერი: მკერავთა კავშირი, იანვარი—მიწა-ტყის მუშაკთა, ხეზე-მომუშავეთა, ქიმიკოსების, მბეჭდავთა, კომუნ. მუშაკთა ფეიქართა პროფკავშირების ყრილობები, თებერვალი: მელითონეები, სახალხო კვების, ხელოვნების მუშაკთა, მედსანშრომის, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა და ტრანსპორტელთა კავშირების ყრილობები, მარტში: განათლების მუშაკთა, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა და აღმშენებლობის დარგის მუშაკთა პროფკავშირების ყრილობა.

ამას გარდა, შემუშავებულია სამაზრო კავშირთაშორისო, დაზღვევის და საუბნო კონფერენციების მოწვევის ვადები.

იანვარი—ოზურგეთი, სიღნაღი, ახალქალაქი, ახალციხე, ქუთაისი, დუშეთი, ბორჯომი, თებერვალი—ფოთი, ზუგდიდი, სამხრეთ-ოსეთი, თელავი, ლეჩხუმი, აჭარისტანის პროფსაბჭო, გორი და ჭიათურა. მარტი—ხაშური, სამტრედია, ბათუმი, რკინისგზელთა საუბნო კომიტეტი. მაისი—რკინისგზელთა თბილისის საუბნო კომიტეტი.

ამხ-ბა „მებაღე“

თბილისის მებაღე-მებოსტნეთა ამხანაგობა „მებაღე“-ს გამგეობა შეუდგა მზადებას მომავალ გაზაფხულის სეზონისათვის. ნაადრევ ბოსტნეულობისათვის და კიტრისათვის მზადდება ახალი 300 სათბური. სათბურების მოსაწყობათ გამოწერილია ხე-ტყის მასალა, მინები და სხვა საჭირო საგნები.

მომავალ სეზონში განზრახულია ბოსტნეულობის მაღალ ხარისხოვან თესლეულების ცდა, უმეტესად საზღვარ გარეთის ჯიშების.

გამგეობას განზრახული აქვს გააფართოვოს არსებული გამსაღებელი პუნქტები და გაასაღოს გარდა თავისი წევრების ჭირნახულისა, აგრეთვე მოკავშირე სოფლის კოოპერატივების ხილეულობა და ბოსტნეულობა

„მებაღე“-ს გამგეობა აწარმოებს მოლაპარაკებას მოსკოვში, როსტოვში და ბაქოში თავისი პროდუქციის გასასაღებლად.

მომავალ სეზონში ამხანაგობას განზრახული აქვს აგროკულტურულ დახმარების საქმის გაფართოება, სათესლე - სადედის და საკონსერვო ქარხნის მოწყობა.

მაუდის ქარხანა

შრომის ნაყოფიერება იზრდება

უკანასკნელ ხანებში ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა. აგვისტოში ფაბრიკა ყოველდღიურად ამზადებდა 200 მეტრს (თვეში—4500 მეტრი). ოქტომბერში კი დამზადებულ იქნა — 12.000 მეტრი. ნოემბერში ყოველდღიურად მზადდება 600 მეტრი, ე. ი. მომატება აგვისტოსთან შედარებით შეადგენს 300 პროც. შრომის ნაყოფიერების ზრდა ფაბრიკაში აიხსნება მუშაობის წესების მოწესრიგებით და მუშათა მაღალი კვალიფიკაციით. ამჟამად დიდ შედეგებს მიაღწიეს მაუდის შეღებვის საქმეში. ფაბრიკის მიერ დამზადებული მაუდი ეხლა აღარ ხუნდება.

ამ დღეებში ფაბრიკამ მიიღო 1.000 ფუთი მატყლი. ფაბრიკა საერთოდ უზრუნველყოფილია ნედლეულით.

„ხის ცემენტი“

ინჟ. დობროვოლსკიმ ამას წინად საინჟინერო-ტეხნიკურ ძალთა კრებაზე მოხსენება გააკეთა მის მიერ გამოგონებულ ხის ცემენტის შესახებ. ინჟინერ - ტეხნიკურ ძალთა საკავშირთაშორისო ბიურო მიესალმა ინჟ. დობროვოლსკის ინიციატივას და ენერგიას, რომელიც გამოიხატა ლარძაყინის (балки) ქვაფენილების და საამშენებლო მასალების ახალი კონსტრუქციების ძიებაში.

გამოყოფილია კომისია პროფ. ზავრიევის თავმჯდომარეობით და ინჟ. ჯუნკოვსკის, ოლეცკის და პატალეევის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ინჟ. დობროვოლსკის პროექტის დაწვრილებით გაცნობა.

კომისიამ ბიუროს უნდა წარუდგინოს თავისი დასკვნა მომხსენებლის წინადადებების კონსტრუქტიულ და ეკონომიურ მხარეზე და უნდა გამოსთქვას თავისი აზრი იმის შესახებ, სასურველია თუ არა ცდების მოხდენა. ამასთანავე კომისიამ უნდა შეიმუშაოს ამ მეცნიერული ცდების პროგრამა.

2.050.000 მანეთი

ამ.-კავ. მრეწველობისათვის

საკავშირო ს. მ. უ. ს-გან მიღებული ცნობები, ამიერ-კავკასიის მრეწველობის საჭიროებისათვის 1926-27 საოპერაციო წლის პირველი მეოთხედისათვის გადადებულია სულ 2.050.000 მანეთი. რესპუბლიკებს შორის ეს თანხა განაწილებულია შემდეგ ნაირად:

საქართველოსთვის.—ლითონის მრეწველობაზე დაიხარჯება 120.000 მან. ტყიბულის ქვა-ნახშირის მრეწველობისათვის—80.000 მან. ლითოგრაფიულ ქვის წარმოებისათვის—15.000 მ. ბარიტის მრეწველობისათვის—50.000 მ., ინფუზორიტის დასამუშავებლად—20.000 მან., ტყის მრეწველობის საჭიროებისათვის—325.000 მ., მატყლის მრეწველობის.—85.000 მ., სააბრეშუმო საქმეზე 50.000 მან., სოხუმის თამბაქოს მრეწველობის საჭიროებისათვის—50.000 მან., სულ 785.000 მან.

სომხეთისათვის. ლითონის მრეწველობაზე გადადებულია—80.000 მან., გოგირდის ალმადანის დასამუშავებლად—80 000 მან., ბაზალტის დასამუშავებლად—25.000 მანეთი., ტყვის მრეწველობისათვის—15.000 მან. და სხვა, სულ 170.000 მანეთი.

აზერბეიჯანისათვის. ცემენტის წარმოების განსავითარებლად—50.000 მან., ბარიტის საწარმოებლად—55.000 მან., მარილის მრეწველობისათვის—45.000 მან., შაბის წარმოებისათვის—15.000 მან., სატყეო მრეწველობისათვის—200.000 მანეთი, თევზის მრეწველობისათვის—100.000 მანეთი. აბრეშუმის წარმოებისათვის—100.000 მანეთი, სულ 795.000 მან.

ტელეფონიზაცია

მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო ინტენსიური მუშაობა ტელეფონების გასაყვანად აჭარისტანის მაზრებში. მუშაობა გრძელდებოდა მთელი ზაფხულის და შემოდგომის თვეებში. სატელეფონო ბოძების მომარაგება და ამართვა იკისრა სამაზრო აღმასკომებმა, ხოლო ქსელის გაყვანა და აპარატების გაყვანა მთავრობამ. 25 ნოემბრისათვის აჭარისტანის ყველა მაზრებში დამთავრდება ტელეფონების გაყვანა. ამგვარად ტელეფონის ქსელით ბათომს უკავშირდება ხულოს, ქედის, აჭარის - წყალის და ქოროხის მაზრების ყველა მნიშვნელოვანი პუნქტები. აჭარისტანის სატელეფონიზაციოდ დაიხარჯა სულ 150.000 მანეთი. ნოემბრის დამლევს მოხდება ახალი სატელეფონო ხაზების ოფიციალური გახსნა.

პურის შემოზიდვა

პურის შემომზიდავ ორგანიზაციებათ ამიერ-კავკასიაში ითვლებიან „ხლებოპროდუქტი“, სახელმწიფო ბანკი „კავპური“, ა.-კ. ბამბის კომიტეტი და ა.-კ. ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირი.

პურის შემოზიდვა მიუხედავად შეღავათიანი პირობებისა, რომელიც დაწესებულია ნაოსნობაზე პურის ტრანსპორტისათვის, უმთავრესად რკინის გზის საშუალებით წარმოებდა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში პურის შემოზიდვა გეგმის მიხედვით არ არის დამაკმაყოფილებელი. პურის შემოზიდვას ამიერ-კავკასიაში ხელს უშლიდა ვაგონების ნაკლოვანება ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე.

ოქტომბერში გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 1.775 ათასი ფუთი პურის შემოტანა, მაგრამ აღნიშნულ თვეში შემოიზიდა მხოლოდ 1. 570 ფუთი პური.

აქედან საქართველოში შემოზიდულია—481 ათასი ფუთი პური, სომხეთში—206 ათასი, ხოლო აზერბეიჯანში—883 ათასი ფუთი პური.

„ხლებოპროდუქტის“ მიერ შემოზიდულია 705 ათასი ფუთი პური. აქედან საქართველოში 281 ათასი ფუთი, სომხეთში—56.000, ხოლო აზერბეიჯანში—368 ათასი ფუთი პური.

სახელმწიფო ბანკის შემოტანაა 342 ათასი ფუთი პური: აქედან საქართველოში 31.000, ხოლო აზერბეიჯანში 311 ათასი ფუთი პური.

„კავპური“-ს მიერ შემოზიდულია 158.000 ფუთი პური: აქედან საქართველოში—144.000 ფუთი და სომხეთში—14.000 ფუთი პური.

ა.-კ. ბამბის კომიტეტს ოქტომბერში შემოზიდავს 365.000 ფუთი, ხოლო აზერბეიჯანში—204.000 ფუთი პური.

ა.-კ. ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირის პურის შემოზიდვა ოქტომბერში არ უწარმოებია.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ოქტომბერში პური ამიერ-კავკასიაში მხოლოდ 89 პროცენტად შემოიზიდა, პურის ნაკლულოვანებას მაინც არ ჰქონია ადგილი, ვინაიდან ამიერ კავკასიაში ბლომად იყო დარჩენილი წარსული საოპერაციო წელში შემოზიდულ პურის მარაგი.

კახეთის ბამბა

მიმდინარე წელს კახეთში ბამბა დაითესა ორ რაიონში—წნორისა და ბადიაურში. სულ დათესილ იქნა 500 დესეტინა. წნორის რაიონში მორწყავ მიწებზე გლეხობას არ დაუთესია ბამბა, რადგან შარშან ბამბა დაიღუპა გვალვის გამო და ამიტომ 1926 წელში დათესილ იქნა სულ რაღაც 70 დესეტინა, მიუხედავათ არახელსაყრელი პირობებისა (ცივი გაზაფხული, გრილი, წვიმიანი ზაფხული და შემოდგომის ნაადრევი ყინვები), ალაზნის ველზე მაინც კარგი იყო ბამბის მოსავალი. თვითეულ დესეტინიდან აკრეფილ იქნა პირველი ხარისხის 60-80 ფუთი ბამბა, ნაადრევმა ყინვებმა, რომელმაც დააზარალა ბამბის ნათესები, თითქმის მთელ ამიერკავკასიაში, არავითარი ზიანი არ მიუყენებია წნორის რაიონში. ოქტომბრის ბოლოში ჯერ კიდევ ჰყვაოდა ბამბა, რამაც წაახალისა გლეხობა. მომავალ წელში განზრახულია ბამბის ნათესების სივრცის გაფართოება. ამ საკითხის გარშემო მუშაობს სპეციალური კომისია. ბადიაურის რაიონში ყინვების მიზეზით დაიღუპა ნათესის 60 პროც. გადარჩენილი ბამბა კი გათელა საქონელმა.

კახეთში მოსალოდნელია 10.000 ფ. ბამბის აკრეფა. ჯერ-ჯერობით აკრეფილია 4.000 ფუთი. ბამბას ღებულობს სპეციალური მიმღები კომისია წნორსა და ბადიაურში.

მუშათა კოოპერაცია

ა.-კ. პროფკავშირთა საბჭომ დაამუშავა ცნობები მუშათა სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით ამჟამად სამომხმარებლო კოოპერაციაში მთელ ა.-კ. გაერთიანებულია 166.464 მუშა-მოსამსახურე. აქედან საქართველოში 33.453 მუშა-მოსამსახურე, სომხეთში — 8.846 ხოლო აზერბეიჯანში — 100.346.

ამას გარდა სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოება აერთიანებს 23.819 მუშა-მოსამსახურეს.

რაც შეეხება საქონლის ბრუნვას, მუშათა სამომხმარებლო კოოპერაციაში, გასულ 1925—26 საოპერაციო წელში იგი გამოიხატებოდა 75.520.000 მანეთში, რაც 1924—25 წელთან შედარებით გვიჩვენებს ზრდას 32 პროცენტით. ცალკე რესპუბლიკების მიხედვით საქონლის ბრუნვა შემდეგ სურათს იძლევა: საქართველოში — 19.067.000 მ., სომხეთში—3.395.000 მან., ხოლო აზერბეიჯანში — 44.061.000 მან. საგზაო სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების ბრუნვა კი 8.995.000 მანეთს უდრის.

მიმდინარე წელში შემჩნეულია საქონლის ბრუნვის თანდათანობითი ზრდა.

სატყეო მრეწველობა

მიმდინარე სამეურნეო წლისათვის აჭარისტანის სატყეო მრეწველობის გასაფართოებლად გადადებულია სულ 150.000 მანეთი. ამ თანხიდან ორი მესამედი ე. ი. 100.000 მანეთი მოხმარდება საზონდარო წარმოების გაფართოებას.

ამ საოპერაციო წლის დამდეგისათვის ხელახლად მოწყობილი და გაფართოებულია ხულოს ხე-ტყის ქარხანა, რომლის ნაყოფიერება ოქტომბერში 50 პროც. გაიზარდა. ამჟამად ქარხანა ამუშავებს საამშენებლო ფიცრებს. ნოემბრის 25-მდე ქარხანას დამზადებული ჰქონდა 25.000 ვერშოკი ხე-ტყე.

აჭარისტანის სატყეო მრეწველობის ტრესტი ამჟამად თავის წარმოებებში ამზადებს 50.000 ყუთს, ყუთები შეკვეთილია დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ. შეკვეთილის ნაწილი უკვე შესრულებულია. დეკემბრის შუა რიცხვებამდე შეკვეთა სავსებით შესრულებული იქნება.

უკანასკნელ ხანებში ხე-ტყის წარმოების დარგებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქუთაისის საპარკეტო ფაბრიკამ, სადაც მუშაობენ გამასწორებელ სახლში მოთავსებულნი პატიმარნი. ფაბრიკის ნაყოფიერება გასულ წელთან შედარებით გაორკეცებულია, ნოემბერში ფაბრიკაში დაიდგა ფიცრის ახალი საჩეხი დაზგა. ფაბრიკას მომარაგებული აქვს 5.000 მანეთის ხე-ტყის მასალა სახელმწიფო ბანკმა და კომუნალურ ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ქარხანას სესხად მისცეს 8.000 მანეთი,

ძველი არალეგალური სტამბის აღმოჩენის გამო

(ჩემი მოგონება)

„კომუნისტი“-ს 18 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია ცნობა — ძველი არალეგალური სტამბის აღმოჩენის შესახებ. ამ ცნობაში მოკლეთ არის მოთხრობილი ახლად აღმოჩენილი სტამბის მოტაცების ამბავი. ვინაიდან ამ მოტაცების მონაწილე მე ვიყავი, ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია ფაქტიური სისწორით აღვადგინო ეს ამბავი.

— ამ სტამბის გამოტაცების დროს 1906 წლის მიწურულში მე ვმუშაობდი თბილისის მეორე რაიონში, როგორც ორგანიზატორი და წევრი ვიყავი თბილისის სოციალ - დემოკრატიული კომიტეტის. ამ დროს თბილისის კომიტეტში იყვნენ: ამხ. მიხა ცხაკაია, ამხ. სტალინი. ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი და სხვები. რეაქციისაგან წელში გატეხილ მუშებში, რომ მეტი სითამამე და სიმხნევე შეგვეტანა, ჩვენ საჭიროთ მივიჩნიეთ რაც შეიძლება მეტი არალეგალური ფურცლები დაგვებეჭდა და აგვეხსნა მუშებისათვის რეაქციის წარმოშობის მთავარი მიზეზები და მოგვეწოდებია ისინი. რომ ვოსტორგოვების, ტიმოშკინების, შავროვების და ამათი შავრაზმული ძმების პროვოკატორულ ანკესზე არ წამოგებულიყვნენ, ისევ შემოკრებილიყვნენ თავიანთი დანგრეული ორგანიზაციების გარშემო და გასკეცებული ენერგიით განეგრძოთ რევოლიუციონური მუშაობა.

ასეთი მუშაობისათვის ჩვენთვის რაც შეიძლება ბევრი სტამბები იყო საჭირო. ნამდვილად კი იმ დროს ჩვენ თითქმის ერთი კარგად მოწყობილი სტამბაც-კი არ გვქონდა დარჩენილი.

მეორე რაიონული ორგანიზაციის დავალებით მე გადავწყვიტე რაც არ უნდა დამჯდომოდა საიდანმე სტამბა გამომეტაცა. ჩემი განზრახვა პირველად გავუზიარე ამხ. **ვალერიან ბილანოვს**. (ბილანოვი ეხლა ცოცხალია), ამხ. **ბილანოვმა** თბილისის ყველა სტამბები ჩამომატარა და დამათვალიერებინა. რამოდენიმე დღე ორივე ვეცნობოდით და ვათვალიერებდით - რომელი სტამბის გამოტაცება იყო შესაძლებელი და მოსახერხებელი. სტამბების დათვალიერების დროს ამხ. ბილანოვმა (ცოტა დროით შემაჩერა მოქ. მიხა გაჩეჩილაძის სტამბაში (ამ სტამბ. ფირმა იყო მაშინ „სორაპანი“) და ჩემი ყურადღება მიაპყრო იმ საბეჭდავ მანქანას, „ამერიკანკაზე“ რომელიც ეხლა აღმოუჩენიათ და ჩუმათ მითხრა —„აბა, ბიჭო, ეს არის შენი საკბილო—თუ ვარგი ხარ მოიტაცე თავისი მოწყობილობით“.

არ მახსოვს კარგათ ერთი თუ ორი კვირის შემდეგ მე წავიყვანე ექვსი შეიარაღებული კაცი. (მეშვიდე მე თვითონ ვიყავი) „ამერიკანკის“ გამოსატაცებლად, ჩვენთან ამ დროს იყო ერთი ტრამვაის მუშა - ზეინკალი **დათიკო მაჩხანელი** (მკვდარია ეხლა) და მეორე ტრამვაის მმართველი ამხ. **სიმონ მეგრელიშვილი**, (ცოცხალია), დანარჩენები ვინ იყო ჩვენთან იმ დროს ეხლა ვერ მოვიგონე. შვიდი შეიარაღებული კაცი ერთს საღამოს (კარგათ მახსოვს კვირა დღე იყო) შევედით რესტორანში, რომელიც მიხა გაჩეჩილაძის სტამბის ზევით იყო მოთავსებული. ყველა ვინც-კი იყო რესტორანში დავატუსაღეთ, დავატუსაღეთ მეეზოვეც; გავტეხეთ კარები, შევედით სტამბაში, ავალაგეთ „ამერიკანკა“ მთელი მოწყობილობით და წამოვიღეთ.

სტამბის დაშლას სრული სამი საათი მოუნდით. ამ „ამერიკანკაზე“ იმ დროს, როდესაც ჩვენ მას ვიტაცებდით, როგორც მახსოვს აწყობილი იყო დასაბეჭდათ გამზადებული **ზაქარია ჩიჩუას** („მეხჩვეს“) ქართული ლექსიკონი. სტამბასთან შორი - ახლოს ერთერთმანეთზე დაშორებით ამ დროს იდგა და ჩვენ გვიცდიდა ხუთი ეტლი. ამ ეტლზე ისხდნენ მეეტლე მოლაკნები, ჩვენი სანდო და საიმედო ამხანაგები.

სტამბის გამოტანის დროს შეიარაღებული ამხანაგებიდან ერთი ნაწილი დავტოვეთ დატყვევებული მეეზოვეს და რესტორანში მყოფ პირების მეთვალყურეთ. ყუთებში ჩავაწყვეთ სტამბის ნაწილები და ყველა ესენი ჩავალაგეთ ეტლში.

უკანასკნელი ეტლი, რომელშიაც ჩავდევით სტამბის ყოველგვარი მოწყობილების გასამართი რკინის დაფა, გადაგვიბრუნდა; დიდი ვაი-ვაგლახით გადაბრუნებული ეტლი წამოვაყენეთ, დაფა მოხერხებულათ ჩავდევით შიგ და მოვკურცხლეთ.

იმ ადგილას, სადაც ეტლი გადაგვიბრუნდა, სულ ახლოს მ. გაჩეჩილაძის სტამბასთან იდგა სადარაჯოზე ერთი არაჩვეულებრივი მოყვანილობის, ახმახი „გოროდოვოი“. მარა საბედნიეროთ ის ისე იყო გამოლენჩებული, რომ ჩვენ რას ვშვრებოდით, რას ვმოქმედობდით ვერაფერი გაუგია.

სტამბის მთელი მოწყობილობა მივიტანეთ ტრამვაის პარკში და იქ დავმალეთ საიმედო ადგილზე. ყველა ამის შემდეგ მე და ამხ. სიმონ მეგრელიშვილმა დავიქირავეთ სულ სხვა ეტლი და ჩაუარ - ჩამოუარეთ მადათოვის კუნძულს, სწორეთ იმ ადგილს, სიდგანაც სტამბა გამოვიტაცეთ. მადათოვის კუნძული, როდესაც ჩვენ ეტლით ჩამოუარეთ მოფენილი იყო კაზაკებით (დაახლოებით ასამდე კაცი იყო) და იმ მიზნით, რომ გატაცებული სტამბა აღმოეჩინათ ჩირაღდნებით ხელში ყველას ჩხრეკდნენ. მართალია ამ დროს კაზაკებმა ბევრს აუწიოკეს ოჯახი, ბევრი გაჩხრიკეს, მარა „შრომამ“ ფუჭეთ ჩაუარა — სტამბა ვერ აღმოაჩინეს. სტამბის გატაცების მეორე დღეს დაატუსაღეს პატივცემული **ზაქარია ჭიჭინაძე, მიხა გაჩეჩილაძე** და ბევრი ასოთ - ამწყობები. მთავრობამ ეჭვი მიიტანა მიხა გაჩეჩილაძეზე და ზაქარია ჭიჭინაძეზე, თითქო ჩვენ სტამბის მოტაცება მათთან შეთანხმებით მოვახერხეთ. ნამდვილად კი ეს ასე არ იყო. ყველა ამის შემდეგ ამ სტამბის მოტაცებისათვის ნოე რამიშვილმა პარტიულ სასამართლოში მიმცა: ლონდონის პარტიულმა ყრილობამ ექსპროპრიაციები აკრძალაო.

ასეთია ამბავი იმ ძველი არალეგალური სტამბის შესახებ, რომელიც აღმოუჩენიათ ეხლა ბაიაზეთის შესახვევში მოქალაქე მარიამ ბერიაშვილის სახლში (№ 7) და რომელიც გადაცემულია საქართველოს რევოლიუციონურ მუზეუმში.

პ. ხომერიკი.

სახალხო კომისართა საბჭოში

ხარჯების გაწევის აკრძალვა

სახკომსაბჭომ დაამტკიცა იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი დადგენილება სახელმწიფო, სამრეწველო, სავაჭრო დაწესებულებებისა და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ისეთი ხარჯის გაწევის აკრძალვის შესახებ, რასაც მათ მოქმედებასთან კავშირი არა აქვს.

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა

სახკომსაბჭოს დადგენილებით წინადადება მიეცა საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს აბრეშუმის ტრესტს დაუყოვნებლივ შეუდგეს თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკისა და მთელი მისი ქონების ჩაბარებას.

ფაბრიკის ქონების შესაფასებლად ამორჩეულია კომისია ამხ. კალანდაძის, ჯანელიძის (აბრეშუმის ტრესტიდან) და ნაფეტვარიძის (ცაკავშირიდან) შემადგენლობით.

ს. მ. უ. ს. ხარჯთაღრიცხვა

სახკომსაბჭომ დაამტკიცა სპეციალური კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს 1926-27 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვა—372072 მან. და 36 კაპ. რაოდენობით; აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით — 204.615 მ. და ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობის მოგებიდან — 167.457 მან. 36 კაპ.

ამხ. ვ. ტალახაძის დანიშვნა

იუსტიციის სახ. კომისარის მოადგილე ამხ. ნ. ოკუჯავა განთავისუფლებულია თანამდებობიდან ა.-წ. ნოემბრის -10-დან.

იუსტსახკომის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ვ. ტალახაძე.

ახალი დანიშვნა

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს კოლეგიის წევრად დაინიშნა თბილისის აღმასკომის სტატისტ. განყოფილების გამგე ამხ. შ. გომართელი.

„საქართველოს ღვინო“-ს შუამდგომლობა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განსაკუთრებულ მდგომარეობის გამო, სახკომსაბჭომ საჭიროთ სცნო მევენახეთა და მეღვინეთა კოოპერატიულ კავშირის „საქართველოს ღვინო“-ს 10 პროცენტამდე შეუმცირდეს სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხი, რისთვისაც აღიძრა სათანადო შუამდგომლობა უმაღლეს ორგანოების წინაშე.

„თბილისის ვაჭრობა“-ს შესახებ

სახკომსაბჭომ ამოირჩია კომისია ამხ. ს. მიქაძის (თავმჯდომარე), დუმბაძის, კ. ხომერიკის, მ. კვარაცხელიას და ა. რუხაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეისწავლოს საკითხი საზ. „თბილისის ვაჭრობა“-ს მიერ მოსკოვის კომუნალური ბანკისაგან ქსოვილის შეძენის შესახებ.

საძოვრების გამოკვლევა

მიწათმოქმედების და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს დაევალათ გამოარკვიონ ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრების სამაზრო აღმასკომების გამგებლობაში გადაცემის საკითხი, სახელდობრ—თუ რომელი მათგანი უნდა მიეკუთვნოს ადგილობრივი და რომელი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საძოვრებს.

პრაქტიკანტების ინსტიტუტი

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა იუსტიციის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა—სახალხო მოსამართლეთა, გამომძიებელთა და პროკურორის თანაშემწეთა მოსამზადებლად პრაქტიკანტების ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

ინსტიტუტისათვის საჭირო ხარჯები უნდა დაიფაროს იუსტსახკომის სახსრებიდან.

პრაქტიკანტების მიღების სათანადო ინსტრუქციის შემუშავება დაევალა იუსტიციის და განათლების სახალხო კომისარიატებს.

ხელოვნების მუშაკთა შესახებ

სახკომსაბჭომ მოიწონა ს. ს. რ. კ. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი ხელოვნების მუშაკთა საზღვარგარეთიდან მოწვევისა და ს. ს. რ. კავშირიდან გაწვევის წესის შესახებ.

შაქარი

შაქრის შემოზიდვა მიმდინარე წელში კარგად მიმდინარეობს. 1926-27 წელში განზრახულია 2 მილიონი ფუთი შაქრის შემოზიდვა. ამ რაოდენობიდან ოქტომბერში უნდა შემოზიდულიყო 1[illegible]5 [illegible]00 ფუთი შაქარი, მაგრამ შემოიზიდა უფრო მეტი, სახელდობრ 136.000 ფუთი აღნიშნული რაოდენობიდან საქართველოში შემოიზიდა 36.000 ფუთი შაქარი, ხოლო აზერბეიჯანში — 100.000 ფუთი შაქარი. შაქრის შემოზიდვა ნოემბერშიც კარგად მიმდინარეობს.

ღვინის დამზადება

დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებმა დაამთავრეს წლევანდელი მოსავლის ყურძნის შეყიდვა და ამჟამად აწარმოებენ წლევანდელ მოსავლის ღვინის შეყიდვას. ამხანაგობები შეყიდულ ღვინოს ამუშავებენ და დამუშავებული სახით გამოაქვთ ბაზარზე გასანაღდებლად.

კოოპერატივი გლეხობისაგან ღვინოს იძენს საშუამავლო საკომისიო პირობებში ღვინის რეალიზაციიდან დარჩენილ მოგებაში გლეხობის მონაწილეობით. ღვინის დასამზადებლად სასოფლო სამეურნეო ბანკის მიერ გაცემულია სესხად 180 ათასი მანეთი. ამ თანხიდან ბაღდადის საკრედიტო ამხანაგობამ ღვინის დასამზადებლად მიიღო 70 ათასი მანეთი, მეღვინეთა ამხანაგობა; „იმერეთმა“—60 ათასი მანეთი, ზესტაფონის სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობამ—[illegible]0 ათასი მანეთი, რაჭა-ლეჩხუმის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ; „ხვანჭკარა“-მ—20 ათასი მანეთი. ღვინის შეყიდვა გაგრძელდება წლის დამლევამდე.

ღვინის საწყობმა „მარანმა“ შეიყიდა წელს სულ 20 ათასი ფუთი ყურძენი, შემდეგ შეყიდვითი ოპერაციები შეაჩერა, რადგან ყურძნის ფასმა ძლიერ აიწია. ამჟამად „მარანი“ აწარმოებს შარშანდელი ღვინის დამზადებას. შარშანდელი მოსავლის ყოველ ვედრო ღვინოს „მარანი“ ყიდულობს 3 მან. და 60 კაპ., ხოლო წლევანდელი ყურძნის ფასი კი უდრიდა უკანასკნელ

ჭლექთან ბრძოლა

ქ. ქუთაისში ჯანსახკომის ინიციატივით გაგზავნილი იყო ექიმთა კომისია ტუბერკულიოზით დაავადებულთა გამოსაკვლევათ. კომისიის ხელმძღვანელმა ექ. რუსიშვილმა, ჩატარებული მუშაობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— სულ ჩვენს მიერ ქუთაისში გამოკვლეულ იქნა სხვადასხვა დაწესებულებების და წარმოებების მუშა-მოსამსახურენი, მოწაფეები და სხ., საერთო რიცხვით 20.000 კაცამდე. წარმოებებში გამორკვეულია უმთავრესად შემდეგი დარგები: თამბაქოს ქარხანა, საქსოვი ქარხანა, სტამბები, ტელეგრაფი, ტელეფონი, ბარიტის ქარხანა და წისქვილი, კოოპერატივი და სხვადასხვა კოლექტივები.

ბარიტის წისქვილში და ქარხანაში დაავადმყოფებულთა რიცხვი უდრის 55%-ს. თამბაქოს ქარხანაში 39%-ს. მკერვალთა კოლექტივში 36 პროცენტს. მეჩექმეთა — 31.5 პროც. სტამბებში — 18,5 პროც. საქსოვ ქარხანაში 16 პროც. და სხვ.

ჭლექით დაავადებულნი აღრიცხული არიან ადგილობრივ დისპანსერის მიერ და სწარმოებს მათი მკურნალობა. ქუთაისში არის მოწყობილი აგრეთვე ღამის სანატორიუმი და სადიეტო—სასადილო. სადაც ექიმობს 40 მუშა-მოსამსახური და 40 ბავშვი. ყველა დაწესებულებებში და წარმოებებში მოწყობილია ტუბერკულიოზის უჯრედები, რომლებიც მუშაობენ შრომის დაცვის კომისიებთან შეთანხმებით.

ახალი გზატკეცილი

საქართველოს გზატკეცილთა სამმართველომ ლეჩხუმის მაზრაში მიავლინა სპეციალური კომისია გზათა ინსპექტორის ანდრონიკაშვილის მეთაურობით. კომისიას დავალებული აქვს ალპანა-ცაგერსა და ცაგერ - გვირილის გზატკეცილის გაყვანის შესაძლებლობის გამოკვლევა.

კომისია უკვე აწარმოებს მუშაობას ადგილობრივ. გზატკეცილის საერთო სიგრძე უნდა იქნეს 25 ვერსი.

ქრონიკა

1905 წლ. რევოლიუციის აღსანიშნავად

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1905 წლის რევოლიუციის თავის აღსანიშნავად გადადებულ 14 ათასი მანეთის მიღება და კუთვნილებისამებრ განაწილება დაევალა ამხ. ფ. მახარაძეს, ლ. სუხიშვილს და კ. ხომერიკს.

გადასახადისაგან განთავისუფლება

მიწათმოქ. სახ. კომისარიატის დასკვნის თანახმად ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გაანთავისუფლოს საძოვრების გადასახადისაგან ის გლეხები, რომლებსაც ჰყავთ არა უმეტეს ერთი უღელი ხარისა და ერთი სული ძროხისა.

138.761 მანეთი

საქართველოს პროფსაბჭომ ჯამი გაუკეთა იმ ანარიცხებს მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში, რომელიც გადადებულია 1924—25 წელში რესპუბლიკანური მნიშვნელობის წარმოების მოგებიდან.

სულ შემოვიდა 138.761 მან., რაც შეეხება 1925—26 წლის ბალანს, იგი ჯერ არ არის შედგენილი და მისი განხილვა დაიწყება ორი-სამი თვის შემდეგ.

ფასების ფარული გადიდება

აზერბეიჯანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიმართა განცხადებით, რომელშიც აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრიდან საფეიქრო სინდიკატმა შემოიღო საფეიქრო საქონელის საბითუმო ფასების ფარული გადიდება.

პროფსაბჭო შუამდგომლობს, რომ ამის წინააღმდეგ მიღებული იქნეს სათანადო ზომები.

„სევკავტორგის“ წარმომადგენლის ჩამოსვლა

◆ გუშინ თბილისში ჩამოვიდა „სევკავტორგის“ გამგეობის წევრი ბეტი-ფილიპოვიჩი, რომელსაც დავალებული აქვს მოაგვაროს ამიერ-კავკასიაში ჩრდილო-კავკასიის სავაჭრო საზოგადოების საქმეები.

თბ. აღმასკომში

◆ საავადმყოფოები. მიმდინარე წელში თბ. აღმასკომი შეუდგება საგარეჯოში და გუნიაკალაში ახალი საავადმყოფოების აგებას.

◆ მაზრის სამკურნალო დაწესებულებების მუშაკთა ხელფასისათვის წელს გადადებულია 52.322 მან.

◆ საქონელის სნეულებებთან მებრძოლ პუნქტების შესანახად გადაიდო 32.595 მან.

განათლების სახ. კომისარიატში

◆ კერძო საბავშვო სახლები. განათლების კომისარიატის დადგენილებით წინადადება ეძლევა კერძო საბავშვო ბაღების და ჯგუფების ხელმძღვანელთ 3 დღის განმავლობაში გამოცხადდენ კომისარიატში.

◆ მასწავლებლების კვალიფიკაციის ასაწევად თბილისში იხსნება სპეციალური კურსები.

შრომის კომისარიატში

◆ ახალი არტელი. შრ. კომისარიატის ცნობით გორში არსდება მტვირთველ - გადამტვირთველთა „შრომის არტელი“.

◆ საზოგადო სამუშაოები. ა.-კ. შრ. სახ. კომისარიატი ამჟამად იმუშავებს ერთ მთლიან გეგმას ა.-კავკასიაში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად.

სხვადასხვა

◆ თამბაქოს მოსავალი. მიმდინარე წელში აფხაზეთში დამზადდება 550 ათასი ფუთი თამბაქო.

◆ სამუშაო დღე. შრ. კომისარიატის ცნობით ა.-კ. მთავრობამ დაამტკიცა დადგენილება მუშაკთა უკანასკნელ კურსის სტუდენტებისათვის ყველა წარმოება-დაწესებულებაში სამუშაო დღის შემცირების შესახებ.

შემთხვევები

თავდასხმა კოჯორის გზაზე

გუშინ, საღამოს, თბილისიდან მიმავალ გლეხებს კოჯორის გზაზე სასტუმრო „ვერდენის“ მახლობლად თავს დაესხა 6 შეიარაღებული პირი და გაძარცვეს. მიმალვისას ბოროტმოქმედებმა მძიმედ დასჭრეს გლეხი გერასიმე დროზდოვი. ს. ს. მილიციამ მეძებარი ძაღლების საშუალებით დააპატიმრა ბოროტმოქმედი პეტრე და ალექსი ამირანაშვილები.

დაჭრილი დროზდოვი მოთავსებულია რესპუბლიკის საავადმყოფოში.

მტკვარში გადავარდნა

გუშინ საღამოს, თავის დახრჩობის მიზნით კარლ მარქსის ხიდიდან მტკვარში გადავარდა მაიწარ კაკონცის ქალი (მცხოვრები მექოთნის ქუჩ. 7).

კაკონცის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ ცეცხლი. სასახლის ქ., № 4. მე-5 უბნის საგადასახადო კანცელარიას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელმა რაზმმა.

◆ ჯიბგირობა. 25 ნოემბერს, ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს სიმონ ლანჩითი.

◆ ქურდობა. დესიმონოვის ქ., № 33, გაქურდეს გაბრიელ ბოლქაშვილის სასადილო.

სასამართლო

მკვლელობა იჭვიანობის ნიადაგზე

სოფ. მაწიმის მცხოვრებნი ქარუმ ჩუთლაშვილი და შაქრია ჩითინაშვილი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ და ერთმანეთთან კარგი განწყობილება ჰქონდათ. ბოლო ხანებში ჩუთლაშვილმა შეამჩნია, რომ მისი კარგი მეგობარი ჩითინაშვილი მის ცოლს ეარშიყება. ამის შემდეგ ჩუთლაშვილმა შესწყვიტა მეგობრული კავშირი ჩითინაშვილთან. ეს უკანასკნელი განცვიფრებული იყო ამ გარემოებით და ეძებდა მოხერხებულ დროს გამოეკითხა ქარუმისათვის, თუ რად არის მასზე ეს გაბრაზებული.

ჩუთლაშვილი იჭვიანობდა ცოლზე, მაგრამ პირველ ხანებში იჭვები ვერ გაუზიარა მას.

გავიდა ხანი. ჩუთლაშვილს იჭვები თანდათან გაუძლიერდა. ბოლოს მან შაქროს აუკრძალა მის სახლში სიარული, მაგრამ შაქრო თავისას მაინც განაგრძობდა. მეზობლებმა იცოდნენ, რომ შაქრო ჩითინაშვილი ხშირი სტუმარი იყო ჩუთლაშვილის ცოლის.

ჩუთლაშვილმა ფიზიკური შეურაცყოფაც კი მიაყენა თავის ცოლს იმისათვის, რომ ცოლმა არ უთხრა მას, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ჩითინაშვილთან.

უკანასკნელად დამოკიდებულება ქარუმსა და შაქროს შორის ძლიერ გამწვავდა.

1925 წ. 22 ნოემბერს, ჩუთლაშვილი თავის სახლში დაუპატიჟებია ჩითინაშვილს.

ლხინის დროს ჩითინაშვილი სახლში არ იყო.

შეზარხოშების შემდეგ, როცა ჩუთლაშვილი თავის სახლში ბრუნდებოდა, გზაში შეხვდრია ჩითინაშვილი. შელაპარაკების შემდეგ მან ხანჯლით ორი ჭრილობა მიაყენა ჩითინაშვილს და ჭრილობებისაგან ის გარდაიცვალა.

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულმა ჩუთლაშვილმა განაცხადა:

— მე ჩითინაშვილს ვიცნობდი დიდი ხნიდან და კარგი მეგობრებიც ვიყავით. ბოლო დროს გავიგე, რომ შაქრო ჩემ ცოლს ეარშიყება. ნაცნობ-მეგობრებში გაავრცელა ხმები—„ჩუთლაშვილის ცოლთან სქესობრივი კავშირი მაქვსო“. ჩემმა ცოლმა მითხრა: „შაქრომ წინადადება მომცა შენ დატოვო და მას გავყვე ცოლათ“. ჩითინაშვილის ასეთმა მოქმედებამ მოთმინებიდან გამომიყვანა, ავიღე და მოვკალი.

ინჟენერ ლორესის და ა. პეტროსიანის საქმე

ამა წლის მაისის თვეში ინჟენერი ალექსანდრე ლორესი ირიცხებოდა ელექტრო- ტრესტის დროებითი თანამშრომლად და აწარმოებდა ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან დაკავშირებულ ტეხნიკურ მუშაობას.

29 მაისს, ელექტრო-ტრესტს სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის უნდა შეეძინა 600 მეტრი ელექტრონის მავთული. ამ საქმის შესრულება დაევალა ინჟენერ ლორესის.

ლორესმა დავალება „პირნათლად შეასრულა“. ის შეუთანხმდა კერძო პირს პეტროსიანს და აღუთქვა, რომ „ნადავლს“ თანასწორად გაიყოფდენ.

ლორესმა 600 მეტრო ელექტრიული მავთული შეიძინა „სევკავტორგიდან“. მეტრო მავთულში მისცა 53 კაპ., ხოლო ოფიციალურ საბუთებში კი ყალბი ცნობები შეიტანა ამ ბოროტმოქმედების ჩადენაში მას ხელს უწყობდა პეტროსიანი. განსხვავება ორთავემ თანასწორად გაინაწილეს.

ეს საქმე გუშინ უნდა გარჩეულიყო აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში, მაგრამ გადაიდო.

კოოპერატიული ფულების მოყვარულნი

(შალამბერიძის და სხვათა საქმე).

გუშინ დასრულდა მხარეების კამათი.

დღეს უკანასკნელი სიტყვები მიეცემა ბრალდებულებს და გამოტანილი იქნება განაჩენი.

კვარაცხელიას საქმე

ხარიტონ კვარაცხელია ირიცხებოდა სიღნაღის საპატიმრო სახლის უფროსად.

1925 წ. ნოემბერში, კვარაცხელიამ ბოროტათ გამოიყენა ძალა-უფლება; პატიმრებს სამუშაოზე უშვებდა მცველის თანგაუყოლებლათ და ართმევდა ფულებს თითქოს „სესხის“ სახით. გარდა ამისა, მიითვისა 525 მანეთი სახაზინო ფული.

კვარაცხელიას საქმე ამ მოკლე ხანში გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სიღნაღის სესიაში.

ხელოვნება

„ჰამლეტი“

დადგმა მარჯანიშვილის და ახმეტელის
მუსიკა ჩაიკოვსკის.

1899 წელს ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალი სარა ბერნარი გამოვიდა ჰამლეტის როლში ლონდონის თეატრში. ზოგიერთ კრიტიკოსების შენიშვნაზე, რომ მან შექმნა გადაჭარბებულად ცოცხალი და ვაჟკაცური სახე ჰამლეტისა და სხვა, სარა ბერნარმა უპასუხა: „მე მისაყვედურებენ ტრადიციების უარყოფას, მაგრამ სად არის ტრადიცია, თვითეულ მსახიობს შეაქვს თავისი ტრადიცია ამ როლის ასრულებაში. თავის გენიალობის გამო შექსპირი მთელ მსოფლიოს ეკუთვნის და ფრანგებს, გერმანელებს თუ რუსებს აქვთ უფლება თავისებურად იგრძნონ და გაიგონ იგიო“.

უშანგი ჩხეიძე იძლევა ამ როლის გაგებას ჰეროიულ ექსპრესიულ ტემპარამენტის სულისკვეთებაში. ჰამლეტი მის სცენიურ გაშუქებაში არ არის რეზონიორი ვირტემბერგელი პროფესორი. ეს არის სიცოცხლით და ენერგიით სავსე სტუდენტი, ცეცხლოვან ტემპარამენტით, ხასიათის ოდნავ დემონიური შტრიხებით. მის თამაშში ჰამლეტი არ არის ქალური, რბილი, გაუბედავი, მეჭოჭმანე გაორებულ ხასიათით არა, ის არის შურის ძიებით აცეცხლოვანებული ადამიანი, ახალგაზრდა, მოუდუნებელი, ძლიერი და გაბედული სულით.

მსახიობ ჩხეიძეს ეტყობა უშუალო განცდა თვითეულ მომენტის; მის ხმაში და მოძრაობაში არ მოსჩანს ის ყალბი თეატრალური „ხავერდი“, რომელიც შესრულებას თუმც პლასტიურათ ხდის, მაგრამ აუდიტორიის გატაცებას ხელს უშლის. მსახიობი ძლიერია, როცა გესლი და გაბოროტება უმაღლეს განვითარებამდე აჰყავს. ჟრუანტელის მომგვრელია მისი დემონიური ფიგურა წარმოდგენის სცენის შემდეგ. სუსტია—იმ მომენტებში, რომლებიც ოდნავ დაშორებულია შურისძიების მიზანთან; მესაფლავეებთან საუბრის სცენა—აქ არ არის არც ჩაძირვა კოსმიურ პრობლემის სიღრმეში, არც მწვავე განცდა სიცოცხლის ფუჭობის და უაზრობის. შეშლილობის სიმულიაცია სუსტად არის მოცემული მსახიობის თამაშში.

საკმაოდ კარგია ოფელია (თ. წულუკიძე) ლოცვანით ხელში, მშვენიერია მისი პლასტიური მოძრაობა, ხმის ლირიული, ელეგიური განწყობილება; წულუკიძის ქალმა საუკეთესოთ მოგვცა შეშლის სცენა. ჰორაციუსის როლში კარგი იყო მსახიობი კობახიძე; მეორე დადგმაში ყურადღებას იქცევს მუნჯის სცენა; შეუდარებელია სცენა თავზარ დაცემულ მეფის და მისი ამალის შემორბენისა; კლავდიუსი განსაკუთრებით კარგი იყო ლაერტის დაბრუნების სცენაში აქ მდიდარი ლექსიკონი მოძრაობის, დიდი ინტონაციის უხვი ვარიაციაა. ჯერ მოკუტული, მთრთოლარე, ტახტს ამოფარებული. ძლივს ლუღლუღებს, შემდეგ უდანაშაულოდ შეურაცყოფილ პატიოსნების პატეთიური აღშფოთება, შემდეგ დაყვავება, შედეგ კი გესლის მთხევი კილო.

შექსპირის თეატრი აღმოცენებული მის თანადროულ „სახალხო თეატრის“ ნიადაგზე, ეყრდნობოდა“ უმთავრესად მსახიობის თამაშს და არა დეკორატიულ ეფექტს. აქ სანახაობა იშლებოდა დარბაზის შუაგულში აღმართულ მოედანზე; ეს საჯარო თეატრი შექსპირის სიცოცხლეშივე გზას უთმობს „სასახლის თეატრი“-ს სცენა—კოლოფს კულისებით და პერსპექტიულ დეკორაციებით ამიტომაა ასე ძნელი „სახალხო თეატრისთვის“ შექმნილ პიესების დადგმა თანამედროვე თეატრის პირობებში. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად სცადეს განსაკუთრებული „შექსპირის სცენის“ შექმნა (მიუნხენში); სცადეს აგრეთვე ძველ ინგლისურ სცენის რეკონსტრუქცია, მაგრამ ამან დიდი შედეგები ვერ გამოიღო. „ჰამლეტის“ დადგმა ქართულ სცენაზე თავის მხატვრულ სიმართლით და სისადავით ერთგვარი სინთეზია თეატრის ამ ორ სისტემის შორის. აქ არსად არ არის ცდა სრული სცენიურ ილიუზიის მიღწევისა, აქ მაყურებლის წარმოსახვის უნარი არ არის შებოჭვილი დეკორატიულ ბუტაფორიით. აქვე მაყურებლის წინ ეშვება სამლოცველოს კედელი, აქვე გამოაქვთ ჯვარცმა; იარაღით აღჭურვილ მამის აჩრდილს გამოსახავს შუქის სვეტი. უკუგდებულია ბრჭყვიალა საზეიმო სასახლის მორთულობა, ფერების შერჩევა ქმნის საამურ სცენიურ სანახაობას, არც კოსტიუმებში, არც მოწყობილობაში არ არის ცდა რომელ მე ეპოქის სტილის გადმოცემისა; და მართლაც, ეს მხატვრული სიმართლე და სისადავე სავსებით შეეფერება „ჰამლეტის“ საკაცობრიო მნიშვნელობას.

შხეფი.

„თავადი იგორი“

ზოგიერთი პარტიის განაწილება საორკესტრო ნაწილში, რასაც ოპერაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, საუკეთესოდ იყო შესრულებული. ივანე ფალიაშვილი დიდი ტემპერამენტით და მხატვრულად ასრულებს ოპერის პარტიტურას, განსაკუთრებით უვერტიურას, სადაც მკაფიოდ გამოსჭვივის ოპერის მთავარი მომენტები.

ცალკე პარტიების შემსრულებლებს შორის უდიდეს ყურადღებას იქცევს ბოგოლეპოვა, რომელიც იაროსლავნას პარტიაში გამოვიდა. მსახიობ ქალის დამახასიათებელი მხარეა მისი ხმის სათუთი, მგრძნობიარე ტემბრი, გულწრფელობა შესრულებაში. კარგია დრამატიული მომენტებიც (სცენა ვლადიმირ გალიცკისთან და ბოიარებთან). რიტმის ოდნავ დარღვევა (მე-2-ე აქტი) სრულებითაც არ ახდენს საუკეთესო შთაბეჭდილებას, რასაც შესრულება სტოვებს.

ვოლჩანეცკაიამ (კონჩაკოვა) მოგვცა პოლოვეც თავადი ქალის მომხიბლავი სახე. მაგრამ კავატინაში მომღერალი ქალი პარტიტურის ფარგლებს სცილდება. გარდა ამისა კავატინა კონცერტო შესრულების ხასიათს ატარებს, რაც მიუღებელია. მომღერალი ქალი კარგია ძნელ დუეტში ვლადიმირთან.

ვლადისლავსკაია მუსიკალურად და საკმაო განცდით ასრულებს პოლოვეცელ ქალიშვილის სიმღერას.

ქარცივაძემ (თავადი იგორი) სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს თავისი ხმის ტემბრს. მისი ხმის ვოკალური შესაძლებლობა უფრო მეტ ბგერების მრავალფეროვნებას ითხოვს, საჭიროა მეტი დინამიკა, უკეთესი ფრაზა, და მეტი მუსიკალობა.

მესხიაევი ვოკალურად კარგად ასრულებს ვლადიმერ გალიცკის პარტიას, მაგრამ შესრულება ვერ სტოვებს სათანადო შთაბეჭდილებას იმის გამო, რომ მსახიობი რეალიზმის დასაცავად ყოვლად დაუშვებელ სცენიურ ხერხებს მიმართავს (ლოთური სცენა და აგრეთვე სცენა დასთან იაროსლავნასთან).

მუსიკალურად მღერის კონჩაკის პარტიას შარაშიძე, მაგრამ პოლოვეცთა თავადის სტილიური სახე მან ვერ მოგვცა.

კაზბურგის მაგიერ (მისი ავადმყოფობის გამო) ვლადიმირის პარტიაში გამოვიდა მსახიობი ფროლოვი, რომელმაც კავატინის შესრულებაში ვერ მოგვცა ვერც განცდა და ვერც მუსიკალობა.

ლამაზად არის სერგეევის მიერ დადგმული ბალეტი „პოლოვეცთა ბანაკი“.

პ. ბ.

ფეხბურთი

თბილისში მოდიან ოდესელი ფეხბურთელები

ოდესის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა სურვილი განაცხადა ჩამოვიდეს თბილისში რამოდენიმე შეჯიბრზე. ფიზკულტურის თბილისის საბჭომ ოდესელი ფეხბურთელების წინადადება მიიღო.

მათი ჩამოსვლა მოსალოდნელია დეკემბრის ოთხისათვის. ოდესის ნაკრები გუნდი ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია მთელს საბჭ. კავშ. რამოდენიმე მოთამაშე ამ გუნდიდან შედის საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში.

ოდესის ნაკრებმა გუნდმა ამას წინათ მოსკოვში დაამარცხა მოსკოვის პირველი ნაკრები გუნდი 3:0. ხარკოვის ნაკრებ გუნდთან შეჯიბრში კი ოდესა დამარცხდა 2:1.

სტუმრები თბილისში გამართავენ სამ ან ოთხ შეჯიბრს.

აზერბეიჯანის ნაკრები გუნდის ჩამოსვლა

შეჯიბრი საქართველოს და აზერბეიჯანის ნაკრებ გუნდებს შორის ამიერ-კავკასიის პირველობაზე ბაქოს მაგივრად გაიმართება თბილისში.

აზერბეიჯანის ნაკრები გუნდის ჩამოსვლა მოსალოდნელია დეკემბრის პირველ რიცხვებში.

„დურუჯი“ II „მედსანშრომა“

ხუთშაბათს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა უკანასკნელი შეჯიბრი პროფკავშირების გუნდების პირველობაზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდენ „დურუჯი“-ს მეორე გუნდი და „მედსანშრომა“. შეჯიბრი დამთავრდა 3:1 „დურუჯი“-ს სასარგებლოდ.

ამრიგად, მიმდინარე სეზონის პირველობა პროფკავშირების გუნდებში დარჩა „დურუჯს“ (ორივე გუნდს).

ბიბლიოგრაფია

„საქართველოს ეკონომისტი“

ყოველთვიური ეკონომიური ჟურნალი. საქ. ს. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ორგანო № 1 და 2. სექტემბერი, ოქტომბერი 1926 წ.

სერიოზული ეკონომიური ჟურნალის საჭიროება ჩვენში დიდი ხანია არსებობს, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, როდესაც სააღმშენებლო მუშაობა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში გაცხოველებულია და მთელი რიგი საკითხებია გასარჩევი და გადასაწყვეტი ამ აღმშენებლობის ყველაზე უფრო სასურველ და სასარგებლო გზების გასათვალისწინებლად. დღემდე ასეთი ჟურნალის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჟურნ. „ეკონომისტს“ რომელიც თეორიულ ხასიათის წერილებსა და მოხსენებებს შედარებით უფრო მეტ ადგილს უთმობდა, ვიდრე ყოველდღიურ პრაქტიკასთან დაკავშირებულ საქმიანობის გარკვევასა და გაშუქებას. „საქართველოს ეკონომისტს“ „თავის ძირითად მიზნად აქვს დასახული საქართველოს ეკონომიკის საკითხების ყოველმხრივი გაშუქება, ეკონომიური პოლიტიკის მორიგი საკითხების გამორკვევა, სამეურნეო მშენებლობის პრობლემების განხილვა და სხ.“.

ჟურნალის პირველი ორი ნომრის შინაარსის განხილვიდან სჩანს, რომ დასახულ მიზანს ჟურნალი საკმაოდ ამართლებს. ჩვენი მეურნეობის განვითარების ძირითად საკითხებს ეხებიან ინჟ. ბ. ჭიჭინაძე და ვ. ავაქოვი (№ 1 და 2-ის მოწინავე წერილები). ეს საკითხები ეხებიან იმას, თუ მრეწველობის რომელი დარგი უფრო მისაღებია ამჟამად ჩვენთვის და რომელს აქვს სათანადო ტეხნიკურ-ეკონომიური საფუძველი განვითარებისათვის. ასეთ დარგებად კი, მთელ რიგ მოსაზრებათა გამო, ავტორების თანახმად, მისაჩნევია ხატყუო, აბრეშუმის, მატყლის, თამბაქოს, კონიაკის და სპირტის, სამთო-ქიმიური, ელექტრო-ქიმიური მრეწველობა და „თეთრი ნახშირი“.

ვ. ავაქოვი ეხება ჩვენი მრეწველობის განვითარების [illegible] გარემოებებს, როგორიცაა ტეხნიკური მოწყობილობის გაცვეთა, საბანკო კრედიტის სიმცირე, დასაზღვევი ანარიცხების სიდიდე და სხ.

მრეწველობის საკითხებისადმი მიძღვნილ სხვა წერილებიდან აღსანიშნავია ინჟ. გ. წულუკიძის ფრიად შინაარსიანი წერილი „საქართველოს მთამადნოსნობის განვითარების პერსპექტივების შესახებ და პროფ. პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის—ტყეების მნიშვნელობის შესახებ. მთამადნოსნობის განვითარების პერსპექტივების განხილვის დროს ინჟ. წულუკიძე იძლევა მეტად საყურადღებო მასალებს, რომელთა მიხედვით თვალსაჩინო ხდება სხვადასხვა დარგთა განვითარების როგორც ტეხნიკური, ისე ეკონომიური შესაძლებლობა.

აბრეშუმის მრეწველობისა და მეაბრეშუმეობის საკითხებს ეხება სპ. ჩომახიძის და აკ. კალაძის წერილები. პირველი ამათგანი მოკლედ გვაცნობს აბრეშუმის მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობას ჩვენში, ხოლო კალაძე იხილავს აბრეშუმის მეურნეობის ვითარებას წინად და ეხლა და გვაცნობს მეაბრეშუმეობის განვითარებას უკანასკნელ წლებში.

ფრიად საყურადღებო საკითხს, ჩვენი ქალაქების წვრილ მრეწველობისა და ხელოსნობის შესახებ, ეხება გ. ფერაძე; მაგრამ სწორი არ არის ავტორის აზრი, თითქოს ფინ. ორგანოები ოფიციალურ დოკუმენტებზე დამყარებული აღნუსხვა „უნაკლოსა და ამომწურავ მასალას“ მოგვცემდეს, თუნდაც ეს დოკუმენტები ჯეროვნად იყვნენ შევსებულნი: ეჭვს გარეშეა, რომ სტატისტიკური მიზნებისათვის ასეთ „უნაკლო მასალას“ საფინანსო ორგანოების საბუთები ვერ მოგვცემენ, ვინაიდან ამის მიღწევა მხოლოდ პირველადი სტატისტიკით არის შესაძლებელი, რის გამოც აღნიშნული გზით მოპოვებულ მასალებზე დამყარებული დასკვნები მეტად საეჭვოდაა მისაჩნევი (ამ შემთხვევაში კი, განსაკუთრებით, ცნობები ბრუნვის შესახებ).

შედარებით მცირეა, ხოლო მე-2 ნომერში სრულიად არ არის წარმოდგენილი, „ვაჭრობის“ განყოფილება. ერთადერთი წერილი ა. ერქომაიშვილისა—„შინა-ვაჭრობის მდგომარეობა ამიერ კავკასიაში“—გვაცნობს „კერძო ინიციატივასა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის შორის ბრძოლას“ და საქონლის შემოზიდვის გეგმის ასრულებას. წერილიდან სჩანს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სავაჭრო აპარატს სავაჭრო ბრუნვაში (მთელი ბრუნვის 75,9%) და რამდენად გაიზარდა კოოპერაციის ბრუნვა უკანასკნელი წლის განმავლობაში.

„ფინანსების“ განყოფილებიდან აღსანიშნავია ნ. ქორიავას ვრცელი წერილი „საქართველოს სახელმწიფო ფინანსები“ შესახებ 1924—25 წელს და არჩ. ფანცხავას „სახელმწიფო ბიუჯეტი“. ფანცხავა თავის წერილში იხილავს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცების საკითხს ჩვენსა და უცხოეთში. ავტორს საყურადღებო პარალელები გაჰყავს და გვაცნობს ბიუჯეტის შედგენის და დამტკიცების ძირითად მომენტებთან ერთად მის შინაარსს. ვლ. ორჯონიკიძის წერილში—„საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი 1924—25 წელს“, ვრცლად გვაცნობს ადგ. ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის შესრულებას აღნიშნულ საბიუჯეტო წელში.

ვრცელია და მდიდარი შინაარსით „სასოფლო მეურნეობის“ განყოფილება. საქართველოს სუბტროპიკების ტყის მეურნეობის პერსპექტივებს ეხება პროფ. ს. ქურდიანი, რომელიც აღნიშნავს, თუ ჩვენს სუბტროპიკებში რა ჯიშები უნდა იქნეს მიჩნეული საუკეთესოდ. მრავალჯერ აღნიშნულ და თითქმის უდავო დებულების ხელახლა მტკიცებას ანდომებს თავის წერილს ვ. კაკაბაძე, რომ „ხელი უნდა მოვკიდოთ ძვირფასი კულტურების განვითარებას“ და „აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება მაქსიმალური ღირებულების საგნად“. სასოფლო-მეურნეობის მნიშვნელოვანი და მასთან თითქმის უყურადღებოდ მიტოვებულ დარგს, მებაღეობას, ეხება ე. ვარძელაშვილის ორი წერილი, რომლებშიც ავტორი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მებაღეობის ვითარების და მისი საჭიროების შესახებ ჩვენში და იძლევა კონკრეტ წინადადებებს სასოფლო მეურნეობის ამ დარგის განსავითარებლად.

ჟურნალს თან ახლავს ვრცელი მიმოხილვის და ინფორმაციის განყოფილებები. ვფიქრობთ, ჟურნალი კიდევ უფრო მოიგებდა, რომ უცხოეთის ეკონომიური ცხოვრების დამახასიათებელ ცნობებს ათავსებდეს ამ უკანასკნელ განყოფილებაში. ჟურნალი კარგადაა გამოცემული. შეუძლებელია არ აღენიშნოთ მხოლოდ, რომ ჟურნალზე აღნიშნულ თარიღსა და მისი გამოსვლის ნამდვილ დროს შორის საგრძნობი განსხვავებაა.

გ. ე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

იმ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების სიის დამტკიცების შესახებ, რომლებიც სავაჭრო და სამრეწველო საწარმოო და პირდაპირი სასარეწაო მოსაქმეობის საპატენტო გამოსალების განაკვეთის მიხედვით მე-4 კლასს ეკუთვნიან.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი სია იმ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებისა, რომლებიც, სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა და პირადი სასარეწაო მოსაქმეობის გამოსალების განაკვეთის მიხედვით, მე-4 კლასს ეკუთვნიან:

1) ახალციხე, 2) აბაშა, 3) ახალქალაქი, 3) სიღნაღი, 5) შაუმიანი, 6) ლიუქსემბურგი, 7) დუშეთი, 8) თელავი. 9) ცხინვალი. 10) გორი, 11) ხაშური, 12) სურამი, 13) ბორჯომი, 14) ზესტაფონი, 15) ჭიათურა, 16) სამტრედია, 17) ხონი. 18) ონი, 19) ცაგერი, 20 სენაკი, 21 ჩხარი, 22) ზუგდიდი. 23) ფოთი, 24) ოზურგეთი. 25) ლანჩხუთი, 26) ოჩემჩირი, 27) გუდაუთი, 28) გაგრა. 29) ველისციხე.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ს. პ. ჯუღელი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1926 წ. ნოემბერი
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. რემედასის ცკა გაცნობებთ, რომ დღეს, შაბათს, საღამოს 5 საათზე ა. წ. 27 ნოემბერს რემედასის ცკას ბინაზე შესდგება (ლენინის ქ. № 29) **პრეზიდიუმის მორიგი სხდომა** დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა: მ. ჩოდრიშვილი, ჯიჯაძე, იმედაძე, მუმლაძე, ბელიაევი, არ. რუხაძე, არაბაშვილი, ნაცვლიშვილი, კიზირია, გენიალიძე. და ათაბეგოვი. საქ. რემედასის ცკა.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპი შაბათს 27 ნოემბერს, დილის 10 საათზე მოწვეულია ცენტრალურ სასტიპენდიო კომისიის სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგ ამხანაგების: საყვარელიძე, კანდელაკი, მხიტაროვი, მაჭავარიანი, ზარაროვი და თალაკვაძე.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპი.

საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტი გადავიდა რუსთაველის თეატრის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 21 სახ. პოლიტიკურ ინსტიტუტის ყოფილ შენობაში). მესამე სართული, შესასვლელი ეზოდან.

კაბინეტი ღიაა ყოველდღე, გარდა სამშაბათისა, საღამოს 5 საათიდან 9 საათამდე და კვირაობით დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ შაბათს 27 ნოემბერს საღამოს 5½ საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ყველა უჯრედების აგიტპროპ-ორგანიზატორების თათბირი, პოლიტწრეების ხელმძღვანელებისა და სტაროსტების თანდასწრებით.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, შაბათს 27 ნოემბერს გამოცხადდენ რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. ლომჯანიძესთან: ცაგარეიშვილი—ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, მენაბდე—საქართველოს ცაკი, ტარიელ ხვანიძე—წითელი ჯვარი.

ს. კ. პ. ლენინის რაიკომი იუწყება, რომ კვირას 28 ნოემბერს დილის სრულ 10 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბის სალექციო დარბაზში (ყოფ. წიგნთსაცავი). შესდგება ლენინის რაიონის მუშკორთა სარაიონო კრება.

ყველა მუშკორების დასწრება სავალდებულოა. კრებაზე მოწვეულია ცენტრალურ გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები, ლენინის რაიონის ყველა კომუჯრედების აგიტპროპ-ორგანიზატორები და ადგილკომების კულტმუშაკები.

შაბათს 27 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების რაიონულ საბჭოს თათბირი.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ლენ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ შაბათს 27 ნოემბერს საღამოს სრულ 6 საათზე, რაიკომის შენობაში მოწვეულია რაიკომის პლენუმი. რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 27 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მე-3-ე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იუწყება, რომ შაბათს 27 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მე-3-ე რაიონის ქალთა დელეგატთა კრება, ქალთა ორგანიზატორების თანდასწრებით.

საქართველოს ლენ-კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის პრეზიდიუმის 15 ნოემბრის დადგენილებით, ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელნიც არ გამოცხადდენ რაიკომის გაფართოებულ საორგანიზაციო თათბირზე და რომელთაც ადრე დასტოვეს 13 ნოემბრის შემდგარი თათბირი, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური საკავშირო ვალდებულებებისადმი გულგრილათ მოპყრობის გამო.

ხანანიანი (უჯრ. № 1), რუსაძე (უჯრ. № 2), ვაშაკიძე (უჯრ. № 4), ივანოვი (უჯრ. № 5), ტერ-ავეტისოვი (უჯრ. № 7), მირზოევი უჯრ. № 9), ნერსესოვი (უჯრ. (№ 10). მინასიანი (ლენინის უჯრ.), ხანდამოვი (გრეხილ ავეჯის უჯრ.), სატყუნასი(მეხანძრეთა უჯრ.), ბერია (გზატკ. სამმ. უჯრ.), ბოკერია (საქ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველო), ხო[illegible]ა (წერითი დამხმარე ბიურო), მშვენიერაძე (ფინანსთა სახ. კომისარის რწმუნ. უჯრ.). დონაძე (განათლების სახ. კომისარიატის უჯრ.), მჭედლიშვილი (ტელეგრაფის უჯრ.). სადილიანი (სახ. კვების უჯრ.), გიორგაძე № 6 უჯრ.), კაზარიანი (გზათა სახ. კომისარ. სახელოსნო), არდაბანი (მუსიკალური ტეხნიკუმის უჯრედი), ბაბნაშ[illegible] ([illegible] კომის. უჯრ.). ანდრიანოვი (ამ.-კავკ. ცენტრ. სტატ. სამმართ.), კოსარევი (ამიერ-კავკასიის დამზღვევი სალაროს უჯრ.) და ლაჩიშვილი (სამხატვრო აკადემიის უჯრედი).

ა. კ. რკინის გზის სატყეო გან. ლეჩხუმის რაიონის თანამშრომლები, გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 22 ნოემბერს სვანეთში ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის ტკბილი მეგობარი და რაიონისათვის ენერგიული თანამშრომელი

ლევან კონსტანტინეს ძე გელოვანი

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება ნ. 274

მწუხარებაში მყოფნი მშობლები გერასიმე და პელაგო სანაძეები, მეუღლე კლიო და შვილი ცუცუკა სანაძეები: ძმა დიმიტრი, დები: ქსენია, თამარ ქამუშაძის, და ცუცა ბახტაძისა, ბიძები: ყარამან და სარდიონ, მამიდები: ზეფორე ქუთათელაძისა, მაშიკო და დარიკო სანაძეები, სიძეები: აკაკი ქამუშაძე და გიგი ბახტაძე, შვილის-შვილი თინა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 28 ნოემბერს დღის 12 საათზე ქ. ხონში გადახდილი იქნება წირვა მათი ძვირფასი

მიშა გერასიმეს ძე სანაძის

გარდაცვალების 40 დღის შესრულების გამო ქვ. 709

მწუხარებაში მყოფნი დედა სალომე, მეუღლე მარო, და ბაბილა, ძმები: გერვასი და პიმენ სოხაძეები, ცოლის ძმა ანტონ გოცირიძე ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას 28 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

მიხა ივანეს ძე სოხაძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო ქვ. 711

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „კომუნისტზე“ დეკემბრისათვის

პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათუმი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან სიღნაღის მაზრისათვის.
13. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში კილასონიასთან.
14. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აფხაზეთისათვის.
15. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შ შნიაშვილი ესტატე
16. ოჩემჩირი—ვ. სოხელიას განყოფ. გამგეს
17. სად. ბორჯომი—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
18. ბორჯომი-პარკი—იაშა ტერტეროვთან
19. ცხინვალი—გაბილი ფავლენიშვილთან.

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

0—1

საჯარო ვაჭრობა

აღმასკომის უძრავ—ქონებათა სამმართველო კვირას 28 ნოემბერს დღის 12 საათზე აღმასკომის შენობაში ოთახი № 314 ნიშნავს საჯარო ვაჭრობას, სადაც გაიყიდება დარაბის ძველი ბლიახები ნარევი თუთის (ცინკა) დაახლოვებით 70 ფუთამდე—დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება აღმასკომში ოთახი № 314 ამხ. ბაქანიძესთან

უძრავ-ქონებათა სამმართველო
2—1 ნ. 275

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჩორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ა. წერეთლის ქუჩის ჩასახვევში სახლი № 30 დანიშნულია 8 დეკემბერს 1926 წ. დღით 12 საათზე მეორე **საჯარო ვაჭრობა** რაფიელ, ბენიამინ, მიხეილ, სამუელ, დორა და მარო თოფჩიაშვილების ერთი სამ სართულიანი ქვიტკირის შენობის, რომელიც შესდგება 16 საცხოვრებელი ოთახისაგან და სამი სამზარეულოსაგან, შეფასებული 12332 მან. 50 კაპ.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი და ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ.

ნ. 274

ქუთაისის 2-რე უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 8 დეკემბერს 1926 წელს დილის 11 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში [illegible] ქუჩაზე, ივანე ლუკასძე ბექაის სახლში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება ხსენებული ივანე ბექაიას მოძრავი ქონება: 1) ერთი პიანინო „Т/Д. Ө. І. Д[illegible] Кº Москва“, დაფასებული 450 მან., და 2) ერთი საწერი მაგიდა შვიდი უჯრით მწვანე მაუდით გადაკრული დაფასებული 67 მან. 60 კაპ. მიტროფანე ბექანისძე რუხაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ქონება გაიყიდება ცალცალკე დაფასებული თანხიდან.

ნ. 26[illegible]

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 30 ნოემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 13, პატარა ვანქის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სარქისა ტარდატიანცის მოძრავ ქონებას: ორი საკერი მანქანას შეფასებულს 100 მანეთად, ალექსანდრა ტარდატიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 24 თებ. 1926 წ. თარიღით, № 5762 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა.

701

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 27 ნოემბერს, დუბროვსკი
მონაწილეობენ ბოკოვა, კანსბურგ, გორელოვი, მესხიაევი.
დირიჟორი—სახალხო მსახიობი ი. ფალიაშვილი.
კვირას, 28 ნოემბერს, მე-3 აბონემენტის მე 4 წარმოდგენა გუგენოტები
მზადდება ოპერა მაზეპა ა. ეისენშტადის დადგმით.
ნ. 273

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 27 ნოემბერს, ან. [illegible]
ზაგმუკ
5 მოქ. თარგმანი ს. შანშიაშვილის.
მუსიკა იონა ტუსკიასი
დადგმა ალ. ახმეტელის, დეკორაციები ირ. გამრეკელის.
კვირას, 28 ნოემბერს ი. გედევანიშვილის
სინათლე 1-ლი ნაწილი
მუსიკა თ. ვახვახიშვილის
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის
დეკორაციები ირ. გამრეკელის
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
3—1 ნ. 270

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)
ნ. 157 0—20

საუკეთესო სურათი უკანასკნელად თბილისში
რობინ გუდ
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
პირველად თბილისში
სიყვარულის სიმღერა
კინო პოემა 7 ნაწ. ნატ. კოვანკოს მონაწილეობით
საუკეთესო სურათი დედა რეჟ. ვ. პუდოვკინის
სურათი გამოშვებულია „მეჟრაბპომრუს“-ის მიერ
მეტად საუკეთესო ფრანგული კინო-რომანი
ა. დიუმას რომანის მიხედვით
გრაფი მონტე-კრისტო
6 სერიად (1 და 2 სერია ერთად)
ანონსი: ჩქარა „სამანიშვილის დედინაცვალი“

[illegible]
გამოვიდა და იყიდება
[illegible]
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, [illegible] ქ., № 24 25—21

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.
25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. [illegible]), [illegible] 25—16 26—5

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7.
ტელეფ. 14—56 13—

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
მძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. [illegible] 25—1

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი ხისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი“).
გარდა [illegible], სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების [illegible], სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—1

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59,

ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნარის ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5.

ექიმი ა. დ. შახბაზიანი
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.
25—1

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
პროსის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

ექიმი
ე მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა ანთება და ქრონიკული დაავადებებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა
კლინიკაში
პლეხანოვის პროსპექტი № 16). საღამოობით 4—6 საათამდის
ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 12—5

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქვ. 379

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი
იღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

დაკარგვა სარეგისტრაციო ბარათი ქ. რაპეტ გულასპაროვის სახელზე. ჩ. გ. 703

დაკარგვა პირადობის მოწმობა, აღრიცხვის ბარათი, დაზღვევის წიგნაკი, კლუბის წიგნაკი და საანგარიშო ბარათი ალექსანდრე ამბარდონოვის სახელზე, ჩ. გ. 704

დაკარგვა ლომბარდის ქვითარი № 46028—ანნა აპრიამოვის სახელზე, ჩ. გ. 705

დაკარგვა პარტიული საკანდიდატო ბარათი № 10132—შალვა გიორგის-ძე ჰამულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 702

დაკარგვა სამხედრო ბეგრის მოხდის მოწმობის წიგნაკი და საარიცხვო ბარათი ანტონ ივანეს-ძე სხირტლაძის სახელზე, ჩ. გ. 706

დაკარგვა კავშირის წიგნაკი № 7040. რეგისტრაციის წიგნაკი და სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების საბუთი—გრიგოლ ვასილის-ძე ნარიმანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 710

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 4995, ექიმის მოწმობა და კავშირის წიგნაკი კოწია ტაბიძეს სახელზე, ჩ. გ. 707

დაკარგვა 115 მანეთი ფული და შემდეგი საბუთები: თამასუქი სამი ცალი: ერთი სამტრედიის ეპოს გამგის ხელმოწერილი 3200 მან. ერთი ცინცაბაძის ხელმოწერილი 1300 მან თი. 2 ცინცაძის 1000 მან. 3 მინდაძის 200 მანეთის და ნაგანის რევოლვერი № 19941, სეფე ცინცაბაძის სახელზე, ჩ. გ. 700

დაკარგვა ქუთ. მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 6234, სიღარიბის მოწმობა № 794 და 20 მანეთის მიბარების ქაღალდი ამბერკი რუსაძის ხელმოწერილი ბიქტორ კონსტანტინეს-ძე ჟურაბელიძის სახელზე, ჩ. გ. 275

დაკარგვა პენსიის წიგნაკი № 2867 ნიკო ბებურიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 274

დაკარგვა პენსიის წიგნაკი № 1691 მათე ხოჯავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 274

დაკარგვა პირადობის მოწმობა და სამხედრო საარიცხვო ბარათი, მოცემული მეჯვრის ხევის თემ-აღმასკომის მიერ, გიორგი გაბრიელ ს-ძე გოგიაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 276

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 63.